



საეკლესიო გალობისათვის



ავთანდილ უნგრაძე
მუსიკოსი, მუსიკათმცოდნე, ლოტბარი



საეკლესიო გალობისათვის

წარმომავლობა, არსი, დანიშნულება;
რვახმათას კანონიკა, თეორიისა და ნოტაციის
ელემენტები



თბილისი
2005

ავტორის შესახებ

წინამდებარე წიგნი, თავისი შინაარსის მიხედვით შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: ერთ ნაწილში გადმოცემულია კვლევის მასალები, მეორეში – ბიზანტიური მუსიკის, ბიზანტიური გალობის თეორიის ელემენტები. ამ უკანასკნელში მოცემულია რვახმათას, ანუ დამასკელისეული საეკლესიო კანონიკის აღწერა, კერძოდ, აღწერილია რვახმათას ხმების მუსიკალური კილოები, მოცემულია რვახმათას ხმების დახასიათება, ასევე აღწერილია და დახასიათებულია სხვა მუსიკალური ელემენტები.

წიგნში მოწოდებული მასალა თანამედროვე ქართულ მუსიკალურ სივრცეში ბიზანტიური გალობის მუსიკალური ელემენტების გადმოცემის ერთ-ერთ პირველ მცდელობას წარმოადგენს. ამიტომ ძნელია იმსჯელო მის ავ-კარგზე. აღბათ თავად ეს წიგნი იქცევა საწყის, ერთგვარ ათვლის წერტილად და ერთგვარ საზომად მომავალი გამოცემებისათვის.

ჩვენი აზრით, აუცილებელია, რომ მკითხველმა იცოდეს წიგნის ავტორის, როგორც მუსიკოსისა და შემსრულებლის, პროფესიონალიზმისა და კვალიფიკაციის შესახებ. ამიტომ მოკლედ, ორიოდე სიტყვით შევეხებით ამ საკითხს.

წიგნის ავტორი, ავთანდილ უნგიაძე, არის პროფესიონალი მუსიკოსი. 1993 წელს ექსტერნად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი და მიენიჭა ვოკალისტისა და ლოტბარის კვალიფიკაცია. ამავე ფაკულტეტზე ასწავლიდა ქართულ ხალხურ სიმღერებსა და პოლიფონიური იმპროვიზირების ხელოვნებას. 1992-93 წლებში მუშაობდა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მუსიკალურ სტუდიაში. მეგობრებთან ერთად მუსიკალურად გააფორმა რეჟისორ რობერტ სტურუას რამდენიმე სპექტაკლი, ასევე სხვა სპექტაკლები სხვა სცენებზე. 1993-1996 წლებში ეწეოდა აქტიურ საერო მუსიკალურ მოღვაწეობას ევროპაში. არის რამდენიმე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის მონაწილე, მათ შორის - ფრაიბურგის, მიუნხენის, ვუპერტალისა და სხვა, ასევე ბახის კვირულისა - ჰაიდელბერგში და მსოფლიო მუსიკის ფესტივალისა - შვეიცარიის ქალაქ სოლოტონში. ამ უკანასკნელზე, გარდა ორიგინალური პროექტისა, მეგობრებთან და ინდოელ მუსიკოსებთან ერთად წარმოადგინა პროექტი “ქართული პოლიფონია და ინდური რიტმები”, რომელიც ფესტივალის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და ორიგინალურ პროექტად აღიარეს. მეგობრებთან ერთად გამოშვებული აქვს კომპაქტდისკი - სახელწოდებით “შინ”, რომელმაც 1994 წელს ევროპულ კლასიფიკაციაში (სამი ნომინაციური პარამეტრის მიხედვით) მაღალი შეფასებები მიიღო, ხოლო ჯამური შეფასებით ერთ-ერთი პირველი იყო.

1995 წელს ავთანდილ უნგიაძე მიიწვიეს გერმანიის ქალაქ ლაუფაში ჩამოყალიბებული სასიმღერო გუნდის ლოტბარად და გერმანელ მუსიკოსებს ქართული ხალხური სიმღერები შეასწავლა.

ავტორის პროფესიონალიზმისა და მუსიკალური ხელოვნების შესახებ არსებობს მრავალი პუბლიკაცია ევროპის გაზეთებსა და უურნალებში. მაგალითისთვის მოვიყვანთ ფრაგმენტს პუბლიკაციიდან “Heidelberger Bach-Festwochen, 1995”, რომელშიც ჰაიდელბერგში ბაზის კვირულის პროგრამით ქართველ მუსიკოსთა ჯგუფის გამოსვლას ავთანდილისა და მისი ოთხი მეგობრის შემადგენლობით მაღალი შეფასება მიეცა: “ქართული ელემენტი ჯგუფში განსაკუთრებით წარმოდგენილია მომღერალ ავთანდილ უნგიაძის მეშვეობით. . . მაგრამ მაინც განსაკუთრებულია მისი ხმა, არასტანდარტული, თავისი ქვეყნის ხალხური მუსიკის ინტონაციებში ფესვგადგმული, ასევე მისი მანერა და ხერხები, რომლითაც იგი ამკობს ნამღერს. იქ, სადაც ჩვენი ყურისთვის ორიენტალური კავკასიურს ხვდება, ეს მომღერალი აუცილებლად ავითარებს თავისი ქვეყნის ავთენტურ ხმას. დროგამოშვებით მასთან ერთად მღერიან მისი კოლეგები და მით ქმნიან საიდუმლოებით აღსავსე ვოკალურ მრავალხმიანობას, რომელსაც ძნელად თუ მოსწყვეტს კაცი ყურს”. მსგავსი შეფასებებია სხვა პუბლიკაციებშიც ავთანდილისა და მისი მეგობრების სხვა გამოსვლებთან დაკავშირებით ევროპის დიდ სცენებზე, საერთაშორისო ფესტივალებზე.

აქტიური მუსიკალური მოღვაწეობის პარალელურად, ავთანდილი იკვლევს მუსიკალურ გამებსა და კილოებს, განსაკუთრებით – აღმოსავლურ - ინდურ, პალესტინურ, არაბულ, ჩინურ და სხვა მეტ-ნაკლებად ცნობილ, ასევე მეტად ეგზოტიკურ კილოებს. კვლევისას მას ეხმარება მისი მეორე პროფესია – იგი არის მათემატიკოსი (1976 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. კილოთა კვლევისას იგი იყენებს ეფექტურ რაოდენობრივ (მათემატიკურ) მეთოდებს, რაც, სხვა კანონზომიერებათა დადგენასთან ერთად, იძლევა ტემპერირების შედეგად ძველ კილოთა ცვლილებების და მათგან გამოწვეული ხასიათის ანალიზის საშუალებას.

1996 წელს ავთანდილ უნგიაძემ თავი დაანება აქტიურ საერთო მუსიკალურ მოღვაწეობას. ამის შემდგომ მისი ცხოვრება უკავშირდება ეკლესიასა და საეკლესიო მუსიკის კვლევას.

ვფიქრობთ, რომ ავთანდილ უნგიაძის წინამდებარე წიგნი დააინტერესებს საეკლესიო გალობის კანონიკით დაინტერესებულ პირებსა და ბიზანტიური მუსიკის მოყვარულებს.

ზაზა მიმინოშვილი
მუსიკოსი.



წინასიტყვაობა

ძვისრფასო მკითხველო, წიგნი, რომელიც შენ ახლახან გადაშალე, რამდენიმე წლის კვლევა-ძიების შედეგს წარმოადგენს. შვიდიოდე წლის წინ, როდესაც საპატრიარქოში ქართულ ტექსტებზე გაწყობილი კანონიკური მელოდიის რამოდენიმე ნიმუში წარმოვადგინეთ, მაშინ ჩვენი ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ მოგვცა კურთხევა, უფრო ღრმად შეგვესწავლა წარმოდგენილი სახის გალობა, რის აღსრულებასაც დიდი სიამოვნებით შევუდექით. წინამდებარე ნაშრომი შეგვიძლია ამ კურთხევის აღსრულების შედეგად მივიჩნიოთ.

კვლევისას ჩვენს ძირითად მიზანს საეკლესიო გალობის კანონიკის საკითხების შესწავლა შეადგენდა. ამ საკითხებისადმი მიძღვნილი კვლევები ქართულ წყაროებში, სამწუხაროდ, არ შეგვხვედრია. ამიტომ ვფიქრობთ, წიგნი დააინტერესებს გალობის კანონიკითა და საეკლესიო ხელოვნებით დაინტერესებულ მკითხველს.

ნებისმიერ კვლევას თავისი მეთოდი და პრინციპები უნდა გააჩნდეს. ჩვენი მიღვომა ამ საკითხისადმი შემდეგია: საეკლესიო გალობა ღვთივგამოცხადებითი ხასიათის მატარებელია და ეკლესის წმინდა გადმოცემის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. კანონიკის შემუშავებასა და დადგენას ეკლესიაში გამორჩეული, სული წმიდით განბრძნობილი წმიდა მამები ესწრაფვოდენ. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ის იყო, რომ სწორედ ეს ღვთივგამოცხადებითი ხასიათი ყოფილიყო დაცული და შენარჩუნებული საეკლესიო ხელოვნებაში და მის ნიმუშებში. ამიტომ საეკლესიო გალობის კანონიკის კვლევისას უპირველესი და უმთავრესი სწორედ ეკლესის წმინდა გადმოცემა და სწავლებაა. მაცხოვის სიტყვები - **“ბჭენი ჯოჯოხეთისანი კერ ერეოდიან მას”** – უთუოდ იმასაც გულისხმობს, რომ ეკლესია დაიცავს და დაიმარხავს ყველაფერს, რაც ღვთივგამოცხადებითია ეკლესიაში. მართალია, ღრო-ჟამი თავის კვალს ტოვებს საეკლესიო ხელოვნებაზე და მისი ანარეკლი საეკლესიო ხელოვნების ნიმუშებშიც აისახება, მაგრამ ეკლესია ძირითადად იცავს და ინარჩუნებს საეკლესიო ხელოვნების კანონიკურ არსე – მის სულს, პრინციპებსა და ძირითად ნიშან-თვისებებს. საეკლესიო გალობასთან და ხატწერასთან დაკავშირებით ბერი პაისი მთაწმინდელი ასე ამბობს: **“გავა დორო და ადამიანები დააფასებენ, რომ დღეს ქრისტიანები ინახავენ ეკლესიის ღირსებას, რწმენასა და სიღიადეს. ათ ნახავთ, ისინი ისევ ძველს დაუბრუნდებიან”**.

ძირითადი დასკვნა, რომელიც საეკლესიო გადმოცემის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს შემდეგია: საეკლესიო კანონიკური გალობა და ბიზანტიური გალობა სინონიმები არიან. ეს გალობა ეკლესიაში დღემდეა დაცული. ამ გალობას

მიშვავსებულ გალობას უწოდებენ, რაც ნიშნავს, რომ იგი ეკლესიის მიერ მიჩნეულია ანგელოზების ზეციური გალობის ანარეკლად. ამის შესახებ არსებობს პირდაპირი დამადასტურებელი ცნობებიც. მაგალითად, ათონის მთის ერთ-ერთი მონასტრის ბერს მეორე (მსუბუქად ქრომატული) ხმის “ღირს არსი” ანგელოზმა ასწავლა. მიმსვავსებულობა პირდაპირაა განცხადებული საგალობელში “რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით”. ამ საგალობელით მართლმადიდებელი ქრისტიანები ამბობენ, რომ ქერუბიმებს გალობაში ვემსგავსენით”. მართლმადიდებლობაში კი ფორმალური, ფიგურალური და შინაარსისაგან დაცლილი არაფერი არსებობს.

გალობის შესახებ უმნიშვნელოვანეს ცნობებს წმინდა წერილი იძლევა: განკაცებულმა ღმერთმა დედამიწაზე ეკლესია დააფუძნა, შეასრულა პირველი მსახურება - დიდ ხუთშაბათს აღასრულა წმინდა ევეკარისტია - რომლის შემდეგაც მან მოციქულებთან ერთად იგალობა. მოციქულები ამაღლების შემდეგაც გალობდნენ, ანუ მემკვიდრეობითობა ქრისტეს ეკელსიაში გალობის მხრივაც დაცულია. ეს ცნობები მკაფიოდ მიგვითთებენ საეკლესიო გალობის გვარ-სახეობაზე. სახარებისეული “გალობად წართქვეს” (მათე, 26, 30) ის სიტყვებია, რომელიც მორწმუნები აღძრავს სურვილს, ყური მიუგდოს საეკლესიო გალობას და შეიგრძნოს მასში ქრისტიანობის გარიურაჟზე აღსრულებული პირველი ღვთისმსახურების მადლი, ქრისტესა და მოციქულების მიერ აღვლენილი გალობის ინტონაციები. ამ ხმებში და ამ საგალობლებში განცხოველებულია ცისა და მიწის ურთიერთობითი სიხარული, თითქოს იშლება დრო და სივრცე, და ქრისტიანები თავის ხმას მაცხოვრისა და მოციქულების გალობას უერთებენ.

წმინდა გადმოცემის სხვა უმნიშვნელოვანეს წყაროს წმინდა მამათა ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ეკლესიის მიერ დაცული ცნობები შეადგენს. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წმ. ოოანე დამასკელის ცხოვრება და მოღვაწეობა. იგი გვამცნობს, რომ საეკლესიო გალობისა და კანონიკის დადგენა და დაფუძნება ქრისტეს ეკლესიაში - საყოველთაოობისა და კანონიკური ერთიანობის მიზნით - აღსრულა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კურთხევითა და სულიერიდის შემწეობით.

ასევე გალობასთან დაკავშირებული სხვა უმნიშვნელოვანესი ცნობებია დაცული სხვა წმინდა მამათა ცხოვრებათა შესახებ საეკლესიო გადმოცემებში. ვფიქრობთ, ღვთისმშობლის წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ დამასკელისეული გალობა ქრისტეს ეკლესიაში საყოველთაო იქნება და ვიდრე მეორედ მოსვლამდე იარსებებს, ფრიად მნიშვნელოვანია მართლმადიდებელთათვის. ეს საყოველთაობა ეკლესიაში დღემდეა დაცული - სწორედ წმ. ოოანე დამასკელისა და სხვა საეკლესიო პიმნოვრაფების ტექსტებს იყენებს ყველა ადგილობრივი და მათ შორის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიაც. თუმცა, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ამ მამათა მიერ შექმნილი მელოდიები ჩვენში ისტორიული ძნელებდობისა გამო დავიწყებას მიეცა.

ეკლესიის სწავლების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წყაროა საეკლესიო ტიპიკონი და საღვთისმსახურო წიგნები – რვახმათა, თთვენი, მარხვანი, ზადიკი და სხვა. ისინი განსაზღვრავენ ღვთისმსახურების წესსა და შემადგენლობას, ღვთისმსახურება ეკლესიაში ამ წიგნების მიხედვით აღესრულება. ისინი კი პირდაპირ მიგვითოთებენ, რომ ღვთისმსახურების დროს უნდა შესრულდეს ბიზნტიური გალობა. თუკი ხატწერის კანონიკა განხორციელებულია უძველეს ხატებში, საეკლესიო გალობა ასახული და შემონახულია საღვთისმსახურო წიგნებში, რომლებიც ცალსახად გვიჩვენებენ, რომ საეკლესიო კანონიკურ გალობას (დამასკელისეული კანონიკით შექმნილი) ბიზანტიური გალობა წარმოადგენს, ხოლო საღვთისმსახურებო საგალობლები ბიზანტიური გალობის შემოქმედთა, ბიზანტიელ ჰიმნოგრაფ-მელოდიოსთა¹ საგალობლები არიან. საღვთისმსახურო წიგნებში პირდაპირაა მითითებული ამ შემოქმედთა სახელები, ხოლო ყოველი საღვთისმსახურო საგალობელი ამ ავტორებს უკავშირდება.

ამგვარად, საეკლესიო გალობის არსის, ისტორიის, წარმომავლობისა და კანონიკის შესწავლის უპირველესი და უმთავრესი წყარო ეკლესიის წმიდა გადმოცემაა. ეკლესიის წმიდა გადმოცემის შემდეგ კი საყურადღებოა და მხედველობაში მისაღები ცნობები ისტორიოგრაფიიდან. როგორც მეთოდი, ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ის ფაქტი, რომ ადგილობრივ ეკლესიებში რიგი მოვლენებისა პარალელურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს, თუმცა ადგილი აქვს ხოლმე ქრონოლოგიურ წინსწრებას ან ჩამორჩენას. ამიტომ თეთრი ლაქები შეიძლება შეივსოს სხვა ქვენისა თუ სხვა ადგილობრივი ეკლესიის ისტორიოგრაფიიდან მოყვანილი ცნობებით. მნიშვნელოვანი მსგავსებები და პარალელებია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებში ბოლო 3-4 საუკუნის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებს შორის. ამიტომ რუსეთის ეკლესიის მაგალითები და ისტორიულ-მეცნირული კვლევის შედეგები საინტერესოა ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისათვის და მხედველობაშია მისაღები. საკუთრივ საქართველოს ისტორიოგრაფია კი იმ დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა, რომ საქართველოშო მრავალი საუკუნის განმავლობაში, მათ შორის სახელმწიფოსა და ეკლესიის ზეობის ხანაში, ბიზანტიური გალობა იყო დამკვიდრებული, რომელიც მოგვიანებით პარტესული ტიპის გალობით იქნა ჩანაცვლებულ.

საეკლესიო სფეროში კვლევის მეთოდიკაში მნიშვნელობით (რანჟირებით) შემდეგია მეცნიერული კვლევის შედეგების გამოყენება. მეცნიერები ქმნიან ჰიპოთეზებს, თეორიებს, ანალიტიკურ მასალას და ა.შ. ეს სფერო გამორჩეულია სუბიექტივიზმით და ყველაზე ხშირად განიცდის არაეკლესიური ცნობიერების ნაკადის საფრთხეს. მაგალითისათვის, საბჭოთა პერიოდში ოფიციალური იდეოლოგით უარყოფილი იყო ღმერთი, ეკლესია და მისი ჭეშმარიტი სწავლება. თუკი სულიერებაში მართლმადიდებლობის პყრობა დაფარულად მაინც იყო შესაძლებელი, აზროვნებაში და თეორიებში მათი გამოვლენა დაუშვებელი და სახითვათო იყო. ამიტომ საბჭოთა პერიოდის ნაშრომებს, მიუხედავად მათ

¹ ჰიმნოგრაფ-კომპოზიტორთა

ავტორთა კომპეტენტურობისა და რეგალიებისა, სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. საბჭოთა მეცნიერების მიერ საერთოდ უარყოფილი და უგულებელყოფილია ღვთივგამოცხადებითობა, ხოლო “ევოლუციონისტური დიალექტიკა”² ხშირ შემთხვევაში იმდენად დამახინჯებულ სურათს იძლევა, რომ მას რეალობასთან თითქმის არაფერი აქვს საერთო. გამოჩენილი მეცნიერები უდავოდ გრძნობდნენ ამ ნაკლს და წმინდა გადმოცემისა და ეკლესიის სწავლების ადგილს, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ეთნიკურ ტრადიციებს, მითოლოგიასთან წილნაყარ ჰიპოთეზებსა და ოურიებს უთმობდნენ.

ამგვარად, ჩვენს წიგნში საეკლესიო გალობის რაობის კვლევის დროს სწორედ ზემოთ მოყვანილ რანჟირებასა და პრიორიტეტულობას ვიცავდით. ამასთან, ვცდილობდით, მაქსიმალურად დაგვეძლია სუბიექტივიზმი. კვლევისას ცალსახად მივედით დასკნამდე, რომ საეკლესიო კანონიკურ გალობას – ამ ცნების ზუსტი გაგებით – წარმოადგენს ბიზანტიური გალობა. მაგრამ გვინდა დავარწმუნოთ ჩვენი ოპონენტები, რომ ჩვენ არ მოვითხოვთ ბიზანტიური გალობის ერთადერთობას და მის საყოველთაო დამკვიდრებას საქართველოში. გალობა კანონიკის სფეროს განეკუთვნება და უშუალოდ არ უკავშირდება სულის ცხონების საკითხს. ამიტომ ჩვენ არავის განვიკითხავთ და მივიჩნევთ, რომ გალობის ყველა მეტ-ნაკლებად ტრადიციულ სახეობას აქვს არსებობის უფლება. ჩვენ არავის მოვუწოდებთ, რომ მოვგაბაძონ. მაგრამ ასევე გაუგებარია და დიდ უხერხულობებს იწვევს თავად ეკლესიისთვის, როდესაც ხდება კანონიკური გალობის აკრძალვა, გალობისა, რომელიც ყველა ადგილობრივ ეკლესიაში არსებობს, თანაარსებობს სხვა გვარის გალობებთან.

წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბიზანტიური მუსიკის თეორიასა და კანონიკის ელემენტებს. ჩვენ შევცადეთ, რომ საკითხთა ფართო სპექტრს შევხებოდით. ამიტომ მასალის მოძიება სხვადასხვა წყაროში მოვიხდა, ძირითადად ბერძნულ, ბულგარულ, რუსულ და ინგლისურ წყაროებიში. იყო სირთულეები – მაგალითად ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. ერთბაშად ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია. ვფიქრობთ, ამ მიმართებით მომავალშიც ბევრი იქნება გასაკეთებელი.

გვინდა მადლობა გადაუქადოთ ყველას, ვინც თანადგომა და დახმარება გაგვიწია ამ წიგნის შედეგის დროს. მათი რეალური შეწევნის გარეშე ამ ნაშრომის დაძლევა შეუძლებელი იქნებოდა.

დასასრულ აღვნიშნავ, რომ ჩვენ მზადა ვართ კონსტრუქციული დაილოგისა და თანამშრომლობისათვის. მივიღებთ ყველა მიუკერძოებელ შენიშვნასა და რჩევას. ვსასოებთ დმტრის და გვაქვს დიდი სურვილი, რომ არავინ განვიკითხოთ. და თუკი ამ მიმართებით ზოგჯერ სისუსტეს ვიჩენთ და ვცოდავთ ხოლმე, შენდობას ვითხოვთ.

ავთანდილ უნგიაძე


² ამ ტერმინით პირობითად აღვწერთ ამ პერიოდის მეცნიერთა კვლევის მეთოდსა და მიღვომებს




თავი I
რათა ჩვენც მსგავსად
ვიგალობოთ

ეყვითას წილი იკი, რომელმან იქის გალობა შენ,
n უდიბლო.

ქსოვილი 88, პეტ 16





თავი I რათა ჩვენც მსგავსად ვიგალობოთ

1. “გალობა წართქვეს”

საეკლესიო გალობის გარშემო მიმდინარე პოლემიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ მოპაექრეთაგან მრავალს ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვს თვით საეკლესიო გალობის არსი, მისი დანიშნულება და ადგილი ღვთისმსახურებაში. მათ არგუმენტებში იკვეთება, რომ ისინი საეკლესიო გალობას არ განიხილავნ კანონიკურობის პრინციპიდან გამომდინარე. და თუ მაინც საუბრობენ კანონიკურობაზე, გულისხმობენ ტრადიციასა და ტრადიციულობას, ეს მაშინ, როდესაც საეკლესიო გალობის კანონიკა ამ კანონიკის დამდგენის - წმ. იოანე დამასკელის დროიდან დღემდე ეკლესიის მიერ მკაფიოდ გარკვეული, დაცული და შემონახულია. კანონიკურობის უგულებელყოფის ერთ-ერთი მაგალითია ის, რომ გალობას ღვთისმსახურების ერთგვარ მუსიკალურ გაფორმებად მიიჩნევენ. ამიტომ დასაშვებად მიაჩნიათ ადგილობრივ ეკლესიებში ადგილობრივი ერის, მეტიც, ერის რომელიმე ეთნიკური ჯგუფისა თუ გვარტომის მუსიკალური ტრადიციიდან გამომდინარე (იმის მიუხედავად, რომ ეს ტრადიციები და ფორმები ეპოქისა და ამა თუ იმ გარე ზეგავლენისაგან რადიკალურად შეიძლება შეიცვალოს), შესაძლებელია იყოს განსხვავებული სახის გალობაც. და რაც ასევე საკვირველია, მიაჩნიათ, რომ თვით ადგილობრივ ეკლესიაში შეიძლება არსებობდეს კანონიკური გალობის რამდენიმე სისტემა, კუთხურობის ნიშნის მატარებელი. აქედან გამომდინარე, საეკლესიო გალობას ერის კულტურულ მონაპოვრად მიიჩნევთ და ეროვნულობას (კუთხურობასაც კი) ზოგადეკლესიურზე წინ აყენებენ.

დავსძენდით, რომ გალობის ეკლესიურობისა და კანონიკურობის საკითხი სცილდება ესთეტიკისა თუ ხელოვნების, ასევე ადგილობრივი ტრადიციებისა თუ მუსიკალური შეხედულებებისა და გემოვნების სფეროებს, ვინაიდან მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური გალობა ღვთისმსახურების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და ღვთივგმოცხადებითი ხასიათის მატარებელია. ღვთის სადიდებელი გალობა რომ ზეციური წარმომავლობისაა, წმიდა მამებს ამის დასტურად მრავალი საბუთი მოჰყავთ. საზოგადოდ ეკლესიაში, მათ

შორის საქართველოს ადგილობრივ ეკლესიაში, მოქმედ ტიპიკონსა და საღვთისმსხურებო წიგნებში დაცული და მითითებული გალობა არის საეკლესიო კანონიკური გალობა (რომელსაც შემდგომ ბიზანტიური გალობა ეწოდა), წმ. იოანე დამასკელის მიერ დადგენილი და მის სიცოცხლეშივე ქცეული ერთიანი ეკლესიის (აღმოსავლეთის ეკლესიის) კანონიკურ გალობად. საღვთისმსახურო წიგნებში სრულიად მკაფიოდა მითითებული, თუ რომელი გვარის საგალობლები უნდა იგალობებოდეს: ესაა დამასკელისული, ანუ წმ. იოანე დამასკელის მიერ დადგენილი კანონიკით შექმნილი საგალობლები, ანუ ბიზანტიური საგალობლები. ამიტომ საეკლესიო კანონიკური გალობისა და ბიზანტიური გალობის ცნებები სინონიმებს წარმოადგენს.

ეკლესიის სწავლებით, საეკლესიო კანონიკური (ბიზანტიური) გალობა



სათავეს იღებს დავითის ფსალმუნთა გალობიდან, ბერებრაული, პალესტინური, სირიული და ელინური მუსიკალური ხელოვნებიდან. რაც შეეხება ახალი აღთქმის ეკლესიას, მასში გალობა თავად იესო ქრისტემ და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხეს, მოციქულებმა დააფუძნეს, შემდეგ წმიდა მამებმა განავრცეს და განამრავლეს საგალობლები. გალობა მსახურებაში თავად მაცხოვარმა გამოიყენა: როცა მაცხოვარმა დიდ წუთშაბათს პასქალური საღამო აღსარულა და ევქარისტიის საიდუმლოების დადგენით მას განსაკუთრებული, სრულიად ახალი, პირველი ქრისტიანული ღვთისმსახურების მნიშვნელობა შესძინა, მან და მოციქულებმა “**გალობა წართქვეს და განვიდეს მთასა მას ზეთისხილთასა**” (მათე, 26, 30). ასე ჩაეყარა

საფუძველი გალობას ქრისტეს ეკლესიაში. ღვთისმსახურებაში მისი გმოყვნება კურთხეულია თავად მაცხოვრის პირადი მაგალითით. წმიდა მოციქულებმა ეს მაგალითი მიიღეს და განამტკიცეს: ისინი ამაღლების შემდეგ, უამნობებზე ლოცვისას ღმერთის უგალობდნენ (საქმე 16,25).

წმ. იოანე ოქროპირი აღნიშნავს, რომ მე ღმრთისამ ადამიანებს მოგვიტანა “**წყალობის სიუხვე, მოვვიტანა ზეციური საგალობლები**” და მით მიწა ზეცად აქცია. “**მსხელმა ივალობა, რათა ჩვენც მსგავსად ვივალობოთ**” (მათეს სახარების განმარტება). ეს ჭეშმარიტ ქრისტიანთა უპირატესობაა, და “**უკუთვნით მათ ქრისტეს წყალობით**”. წმ. ათანასე დიდი ამბობს: “**უფალს უნდოდა, რომ მელოდია სულიერი ჰარმონიის სიმბოლო ყოფილიყო და ამიტომ დაგვიწესა ფსალმუნთა გალობა**”. საკითხი იმის თაობაზე, რომ სწორედ ბიზანტიურ გალობაშია შემონახული და დაცული გალობის ის გვარი და სახე, რომელიც მაცხოვარმა პირადი მაგალითით დაგვიწესა, ასევე, რომ ყველაზე მეტად მასშია შემონახული მაცხოვრის, მოციქულებისა და ეკლესიის წმიდა მამების მიერ გადმოცემული თუ შექმნილი საგალობლების

მელოდიები, “რათა ჩეკნც მსგავსად ვიგალობოთ”, ეკლესიის მიერ ცალსახად გარკვეული, აღწერილი და დადასტურებულია, ეფუძნება ღმრთისა და ღვთისმშობლისმიერ კურთხევებს, ეკლესიისა და წმიდა მამების სწავლებებსა და გაღმოცემებს, და მრავალი სასწაულითა და ნიშნით არის განმტკიცებული. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, მართლმადიდებელ ქრისტიანებს უჩნდებათ სურვილი, მიიღონ და შეუერთდნენ ეკლესიის გამოცდილებას.

მაცხოვრის პირადი მაგალითი, თვით გვარ-სახეობა გალობისა მოციქულებმა მიიღეს, დაიცვეს და ეკლესიას გადმოსცეს. თავდაპირველი ეკლესია თავისი ღვთიური მოძღვრების მაგალითს მოელი გულმოდგინებით მისდევდა და, როგორც აღმოსავლეთის პატრიარქები ამბობენ, მით ეკლესია საღვთო, სამოციქულო და საწინასწარმეტყველო საქმეს ასრულებდა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შორეულ წარსულში წმიდად ინახავდა და იცავდა თავის საგალობლებს. პატრიარქები სიტყვებიდან გამომდინარე (1 კორ. 14, 40) შეიძლება ვითიქოროთ, რომ გალობას თავისი წესი და რიგი ჰქონდა და მოციქულების მიერ დადგენილი წესის მიხედვით სრულდებოდა.

მოციქულების შემდგომ, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კურთხევითა და სული წმიდის შემწეობით, წმ. ოონე დამასკელისა და სხვა წმ. მამების ღვაწლით, ეს საგალობლები, კანონიზებული, ტიპიკონსა და საღვთისმსახურო წიგნებში შეტანილი და აღნიშვული, დადგინდა მართლმადიდებელ ეკლესიაში. ქრისტეს ეკლესიას ღვთივკურთხეული და უფლის მიერ ბოძებული არასდროს არაფერი დაუკარგავს. დღეს ათონის მთაზე და სხვა ადგილობრივ ეკლესიებში არსებული გალობას სახით დაცულია სწორედ ეს კანონიკური, საეკლესიო გალობა. საქართველოში XVIII საუკუნის შუა წლებამდე მოქმედ ტიპიკონს ეწოდებოდა საბატიმინდური ტიპიკონის ათონური რედაქცია, რომელიც შემდგომ სლავური ტიპიკონის მიხედვით ანტონ კათალიკოსმა შეასწორა. ამ შესწორების მიუხედავად ტიპიკონსა და საღვთისმსახურო წიგნებში საგალობლების აღნიშვნა-მითითებები არ შეცვლილა, თუმცა, როგორც ჩანს, ამ პერიოდიდან მოყოლებული, ფართოდ გაერო კარი რუსეთიდან შემოსულ მრავალ სიახლესა და ტრადიციას, რომელიც შემდგომ, ეროვნულ თარგზე მორგბებული, დამკვიდრდა როგორც ქართული ტრადიცია. საღვთისმსახურო წიგნებში საგალობლის ხმის, მელოდიის, ავტორის შესახებ არსებული მითითებები კარგავს თავის შინაარსა და მნიშვნელობას და ფორმალობად იქცევა.

ქართული, რუსული და ბერძნული წყაროები ცალსახად აჩვენებენ, რომ საქართველოში ღმრთისმსახურება საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ ერთი ფორმით, ბიზანტიური გალობით აღესრულებოდა, ვიდრე მოგვიანებით ეს გალობა მრავალ ხმიანი გალობით არ იქნა ჩანაცვლებული. (ამ ფაქტს არავინ უარყოფს, უთანხმოება ჩანაცვლების ვადებს ეხება. ისტორიული ცნობები, რუსეთში განვითარებულ მოვლენებთან პარალელები, მეცნიერული კვლევები საკმაოდ დიდი დამაჯერებლობით აჩვენებენ, რომ ეს ჩანაცვლება მოხდა არა უადრეს მე-17 საუკუნისა, სავარაუდოდ მე-18 საუკუნეში). მრავალი წმინდა მამა იღვწოდა საქართველოში ბიზანტიური გალობის დამკვიდრებისათვის.

საეკლესიო ტრადიციის თანახმად, ბიზანტიური საგალობლები ითარგმნა მრავალ ადგილობრივ, მათ შორის, ქართულ ენაზე. ათონისა და სრულიად საბერძნეთის გარდა ეს გალობა დღემდე დაცულია იერუსალიმის, სირია-პალესტინის, ბულგარეთის, რუმინეთისა და სერბეთის ადგილობრივ ეკლესიებში. რუსეთში იგი ზოგიერთ მონასტერში იგალობება, იგალობება ერშიც, სადაც შექმნილია ბიზანტიური გალობის შემსრულებელი გუნდები.

ბიზანტიური საგალობლები ბოლო პერიოდში ითარგმნა სხვა ენებზეც და ევროპის, ამერიკისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების მრავალ ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიაში გადაიღეს და დაამკვიდრეს.

2. ანგელოსთა გალობას მიმსგავსებული

გალობა ღვთისადმი არის არა მხოლოდ ადამიანის სულის ლოცვითი გრძნობებისა და მისწარაფებების გამოვლინება, არამედ ასევე ზეციური უსხეულო ძალებისა და წმიდა ანგელოზებისაც. შესაბამისად, ეკლესიური გალობა ზეციური წარმომავლობისაა. იობის სიტყვის თანახმად (იობი, 38, 7), ხილული სამყარო შემოქმედისადმი სადიდებელი გალობით მისი შექმნისთანავე ახმიანდა. შემდგომ რჩეულ ადამიანებს – წინასწარმეტყველებს - აღტაცების ჟამს სამჰიპოსტასური ღვთისადმი უსხეულო არსებების გალობა ესმოდათ.

ესაია წინასწარმეტყველმა (ეს. 6, 2. 3.) იხილა უფალი, მაღალ ტახტზე მჯდომარე. იგი გარშემორტყმული იყო ექვსფრთოვანი სერაფიმებით, ოომლებიც ერთიმეორეს ეხმიანებოდნენ და ამბობდნენ: “წმიდა არს! წმიდა არს! წმიდა არს! უფალი საბაოთ”, ანუ სერაფიმები ერთმანეთს ღმრთის სადიდებლად განაწყობდნენ, ურთიერთ შეხმიანებით თავიანთ შინაგან სიხარულსა და ნეტარებას ამრავალკეცებდნენ.



გარდა ამისა ანგელოზების ციური გალობა გაიგონეს ბეთლემელმა მწყემსებმა ქრისტეს შობის ჟამს. მაშინ ზეციურმა მხედრობამ მათი ყურთასმენა აღავსო მიწიერი ბგერებითა და ადამიანური ხმებით და აღავლინა ახალი გალობა: “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ქუცანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათხოება ”. ღვთისმშობლის მიძინების დროს მოციქულებს ესმოდათ უხორცო ძალთა გალობა. მწყობრ გუნდად მგალობელი სერაფიმები ციდან, ხოლო ანგელოზები მიწაზე გვასწავლიან ღმრთის ჭვრეტასა და გალობით მის დიდებას.

საეკლესიო სწავლებით (რაც დამოწმებულია უამრავი სასწაულებრივი გამოცხადებით), სწორედ ბიზანტიური გალობა წარმოადგენს ზეციური გალობის ანარეკლს. ზოგიერთი გალობა უშუალოდ ანგელოზებმა ასწავლეს თუ უკარნახეს ადამიანებს. მაგალითისათვის, ცნობილია, რომ X საუკუნეში ათონის მთის, კარიესის იმ მონასტრის ბერს, რომელშიც “ღირს არსის” წმ. ხატი იყო

დაბრძანებული, გამოეცხადა ანგელოზი და ასწავლა საგალობელი “ღირს არსი” მეორე ხმის ქრომატულ კილოში. ამ მონასტერში დღემდე მხოლოდ ამ მეორე ხმის “ღირს არს” გალობენ, მასვე გალობენ სხვა მონასტრებსა და ტაძრებში. ეს ის ქრომატული კილოა, რომელიც წმ. იოანე დამასკელმა რვახმათას მეორე ხმას დაუდო საფუძვლად. ამ და სხვა უამრავ შემთხვევათა გამო ეკლესია ბიზანტიურ გალობას უწოდებს ანგელოზებრივ გალობას, ზეციურისადმი მიმსგავსებულ გალობას, ქერუბიმთა გალობას. საღმრთო ლიტურგის ერთ-ერთ ყველაზე ამაღლებულ წუთებში მთელი ეკლესია და ეკლესის ყოველი წევრი ერთხმად დაღადებს:

**“რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით და
ცხოველსმყოფელისა სამებისა სამწმიდა არსობისა
გალობასა შევსწირავთ”**

ვფიქრობთ, ქერუბიმი სწორედ იმ გალობით ადიდებენ ღმერთს, რომელიც ღმრთისთვის მეტად სათნოა. ბიზანტიური გალობა კი, როგორც ვთქვით, სწორედ ამ გალობის ანარეკლია. და განა ღვთივკურთხეულ გალობას განუწყვეტლივ, ყოველდღიურად **“რომელნი ქერუბიმთას”** მღაღადებელი ეკლესია არ დაიცავდა და არ დაიცავს? და განა სიტყვებმა “საიდუმლოდ ვემსგავსენით”, რომელიც ქერუბიმთა გალობას ეხმანება, ხოლო მიმსგავსება ბიზანტიურ გალობასაც გულისხმობს, დაკარგეს თავისი მნიშვნელობა და შინაარსი?

3. ბიზანტიური თუ ბერძნული

ქველთაგანვე საგალობლებს, უძველეს მელოდიებს თხზავდნენ ეკლესიის აღმშენებლობის სიბრძნით გასხივოსნებული, ღვთისმოსაობითა და წმინდა ცხოვრებით, ასევე მრავალი სულიერი ნიჭით გამორჩეული ადამიანები, ძველი აღთქმის, პირველ და მოღვაწე უდიდესი ლი ეკლესიის კანობლების შემქმნელ და მამებს ღმერთი შეეწესასწაულით არის დაგალითად: წმ. რომანოზ ბელს გალობის ნიჭიჩუქარი გრაგნილით ღვთისმშობელმა განიონა დამასკელი და ხალიფას მიერ მოკვეთილი ხელი გაუმთელა, ღვთისმშობლისგანვე მიემადლა ფეხის კურნება ათონელ მგალობელ იოანე კუპრისაც.



შუა საუკუნეებში
მამები. ქრისტიანუ-
ნიკური საგალო-
დამდგენ წმინდა
ოდა, რაც მრავალი
დასტურებული. მა-
ტკბილადმგალო-
ღვთისმშობლის ნა-
მიემადლა, ასევე
კურნა ღირსი მამა

საეკლესიო გალობის ჩამოყალიბების პროცესის გვირგვინად იქცა წმ. იოანე დამასკელის შემოქმედება. იგი თავად ყოვლადწმიდა ღვთისმშობელმა აკურთხა, შეექმნა გალობა, რომელიც მთელი ეკლესის გალობად იქცეოდა და ვიდრე მეორედ მოსვლამდე იგალობებოდა. საბაწმიდის მონასტერში მოღვაწე დამასკელმა, კოსმა მაიუმელთან და მონასტერში მოღვაწე სხვა მამებთან ერთად, სულიწმიდის შემწეობითა და დახმარებით, ამ საღვთო საქმეს წარმატებით გაართვა თავი და მის მიერ დადგენილი გალობა მის სიცოცხლეშივე იქცა აღმოსავლეთის (რაც იგივეა მართლმადიდებელი) ეკლესის კანონიკურ გალობად. მან სრულყო “წმ. საბა განწმენდილის ფასდაუდებელი ტიპიკონი¹, რომელიც მოიცავს



ტველთაგანვე კურთხეულ საგალობლებს და რომელმაც გადმოგვცა საეკლესიო მსახურების მთელი წესი. დამასკელამდე თითოეულ ადგილობრივ ეკლესიასა და თითოეულ მონასტერს საკუთარი ტიპიკონი ჰქონდა, ხოლო წმ. იოანე დამასკელის შემოქმედებით დამყარდა საეკლესიო ერთიანობა” (გიორგი პაპადოპულოსი, “ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ისტორიული მიმოხილვა მოციქულთა დროიდან ჩვენს დრომდე”, ათენი, 1904წ.). “VIII საუკუნიდან ბიზანტიური პიმნოვრაფიის ისტორიაში იწყება ახალი, ე.წ. საბაწმიდური პერიოდი. საბაწმიდის შესანიშნავი პოეტ-მელოდოსების – იოანე დამასკელისა და კოზმა იერუსალიმელის სახელებთანაა დაკავშირებული ამ დროის ბიზანტიის პიმნოვრაფიისა და მუსიკის დარგში ჩატარებული დიდი რეფორმა; პიმნოვრაფიის ადგილი ღვთისმსახურებაში განუზომლად გაიზარდა, კანონმა მოიღო დაზღვნილი სახე” (ელენე მეტრეველი, “ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი”, გვ. 07-08).

წმ. იოანე დამასკელი წარმოშობით სირიელი იყო – დამასკოდან. ასევე მის წინამორბედ, თანამედროვე თუ შემდგომ მოღვაწე მამათავან, რომლებიც ქმნიდნენ, ავსებდნენ და სრულყოფნენ ეკლესის კანონიკურ – ბიზანტიურ გალობას, იყვნენ არაბერძენი წარმომავლობისა და არაბერძნული კულტურის მიმდევარი მამები. თვით წმ. იოანე დამასკელის მოღვაწეობის დროს საბაწმიდის მონასტერში იყვნენ პალესტინელი, სირიელი და სხვა ბერები, მათ შორის, ქართველი მამებიც, რომლებიც, ბუნებრივია, მონაწილეობდნენ კანონიკური საგალობლების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესში, გალობასა და საგალობლებში მათვის დამახასიათებელი მუსიკალური ელემენტები შეჰქონდათ. “პალესტინის საბაწმიდის მონასტერი, სახელმოხვეჭილი კერა ბიზანტიური მწერლობისა, უძველესი ქართული სამწერლო ცენტრიც

¹ წმ. საბა განწმედილის ტიპიკონი ჩვენს ეკლესიაში დღესაც ხმარებაშია

იყო, სადაც ინტენსიური მთარგმნელობითი მუშაობა გაიშალა VIII (შეიძლება უფრო ადრე) საუკუნიდან (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ I, 1960, გვ. 89-91; P. Peeters, *Le trefonds oriental de l'hagiographie byzantine*, Bruxells, 1950,

გვ. 202-3). როგორც ჩანს, უძველესი ლიტურგიკული ძეგლებიც აქ ითარგმნა და შედგა. ამას მოწმობს საბაწმიდურ-სინური წარმომავლობა ისეთი უნიკალური ძეგლებისა, როგორიცაა იოანეზონიმეს კალენდარი (Sin.34), იერუსალიმის ლექციონარი (Sin.37), ე.წ. ჭილ-ეტრატის იადგარი (ხელნაწერთა ინსტ. H - 2123) და საბაწმინდურ-

სინური იადგარები” (ელნე მეტრეველი, “ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი”, გვ. 07). “იერუსალიმის საბაწმიდური ჰიმნოგრაფიის სკოლასთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, მომდევნო (VIII-X) საუკუნეების ეტაპი ქართული ჰიმნოგრაფიის განვითარებაში, როდესაც ლიტურგიკაში ფართოდ იკიდებს ფეხს ბიზანტიური რიტმული პოეზია. საბაწმიდის სახელმოხვეჭილი ჰიმნი-მელოდოსების გვერდით და მათთან შემოქმედებით კონტაქტში საბაწმიდის ქართველ ჰიმნოგრაფთა კოლექტივში იქმნებოდა პირველი ქართული იადგარები, სადაც თავი მოეყარა ადრეული ბიზანტიური რიტმული პოეზის ნიმუშებს. აქეე და სინის მთაზე შეიქმნა ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ბევრი ბრწყინვალე ნაწარმოები. IX-XI საუკუნეების ადგილობრივმა და ათონის ჰიმნოგრაფიულმა სკოლებმა დააგვირგვინეს ქართველთა მდიდარი შემოქმედება სასულიერო პოეზის დარგში” (ელნე მეტრეველი, “ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი”, გვ. 03). საეკლესიო გალობის რეფორმამ – კანონიკის შექმნამ “მოთხოვა სამღვდელმსახურო წიგნების ახალი თვალსაზრისით გადასინჯვა და გადახალისება. ეს საქმიანობაც მიმდინარეობდა VIII-IX საუკუნეების საბაწმიდურ ჰიმნოგრაფების წრეში, იქ, სადაც ქართველები უკვე VIII საუკუნიდან დიდ შემოქმედებითსა და მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდნენ ბერძენ პოეტებთან, მელოდოსებთან და ლიტურგიისტებთან კონტაქტში. ამ ინტენსიური მუშაობის შედეგია ჩვენამდე მოღწეული X საუკუნის სინური იადგარები, რომლებიც საბაწმიდური სკოლის ახალი მოთხოვნილებების გათვალისწინებით არიან შედგენილნი და ამ დროისათვის ჰიმნოგრაფიისა და ლიტურგიის უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენენ. ამრიგად, ქართულ ლიტურგიკულ ხელნაწერებში წარმოდგენილია ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის განვითარების უწყვეტი ხაზი ადრებიზანტიური ხანიდან (VI-VII სს.) საბაწმიდური ჰიმნოგრაფიული სკოლის (VIII-IX სს.) ჩათვლით . . . მიქაელ მოდრეკილის ცნობილმა იადგარმა, რომელიც შეიქმნა შატბერდის ლავრაში X საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, დააგვირგვინა ქართული



ჰმინგრაფიის რთული და საინტერესო გზა” (ელენე მეტრეველი, “ძლისპირი და ღვთისმშობლისანი”, გვ. 08).

აი, ასეთი მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი იყო აღმოსავლეთის ეკლესიის ხალხებს შორის, რომელთა ერთობლივი ღვაწლი საეკლესიო კანონიკური, ბიზანტიური გალობის შექმნითა და აღმოსავლეთის ეკლესიაში დამკვიდრებით დაგვირგვინდა. ამიტომ ბიზანტიური გალობის მხოლოდ ბერძნულად მიჩნევა არაეკლესიურია, არამეცნიერულია და სავსებით უმართებულო მიდგომაა. აქედან გამომდინარე, ამ გალობის მიმთვისებელი ბერძენი, ბიზანტიურ მუსიკაში ბერძენთა დღიდი ღვაწლისა და ბერძნული კულტურის მნიშვნელოვანი წვლილის მიუხედავად, ასევე არაბერძენი, რომლებიც ბიზანტიურ გალობას ბერძნულად წარმოადგენენ და მხოლოდ ბერძენთა კუთვნილებად თვლიან, არამართებულად იღვწიან და ეკლესიის ერთიანობას არღვევენ.

მნიშვნელოვანი და არსებითია განსხვავება იმ ბერძნებსა და არაბერძნებს შორისაც, რომლებიც ბიზანტიურ გალობას ბერძნულს უწოდებენ. არაბერძენი ამ გალობას პოსტბიზანტიური საბერძნეთის მიერ შექმნილ გალობად მიიჩნევენ. ბერძნები კი, ძირითადად, ბიზანტიამდელს, ძველს, ელინურს გულისხმობენ. ისინი, საზოგადოდ, ბიზანტიურ კულტურას ბერძნულ ფენომენად მიიჩნევენ, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ჩვენი აზრით, არამართებულია. მაგალითისათვის მოგვყავს ამონაწერი სერვეთისა და კოზანის მიტროპოლიტის – ეპისკოპოს დიონისიოს ლ. ფსარიანოსის ნაშრომიდან “ბიზანტიური მუსიკა ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიაში”, ათენი, 1960 წ.: “**“ბიზანტიური მუსიკა არის ლიტურგიკული საგალობელი ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიაში და მისი შემოქმედება, საუკუნეთა განმავლობაში არასასურველი გავლენის მიუხედავად, მოწმობს მის ძველ ანუ ბერძნულ წარმომავლობას. ტერმინი (ბიზანტიური მუსიკა – ა.უ.) გაიაზრება იმ თვალსაზრისით, რომ აღნიშნული ხელოვნება ისტორიულად ბიზანტიას უკავშირდება და მისი ელემენტებიც ასევე ბიზანტიური წარმომავლობისაა.”** ეპისკოპოსი მიიჩნევს, რომ ბიზანტიური გალობის ელემენტები ბიზანტიური წარმომავლობისაა, ოღონდ საზოგადოდ ბიზანტიურ მუსიკალურ ხელოუნებას ძველბერძნულად მიიჩნევს. მოგვყავს კიდევ ერთი ამონარიდი იმავე ნაშრომიდან, რომელიც სავსებით სწორად განმარტავს ბიზანტიური გალობის რაობას: “**მართლმადიდებლური ბიზანტიური მუსიკა არის ძეგლი განსაზღვრული საეკლესიო მელოსი, რომელსაც აქვს სამღვდელმსახურებო და ლიტურგიკული ხასიათი. მისი შესრულების არეალი შემოსაზღვრულია ტაძრის შიდა სივრცით და უწმიდური პროფანური ელემენტისაგან გამიჯნულია, იგი საერო სიმღერისაგან აშკარად განსხვავდება, არის მართლმადიდებლური მსახურების “თანაარსი”, . . . ისიც ეკლესიის წიაღში იშვა და ხელოვნურად გარდან არაფერს იკარებს”.** ბერძენთა მხრივ “დასაკუთრების” ასეთი ტენდენციის მიუხედავად, ისინი არ უარყოფენ, რომ ბიზანტიური გალობა არის მთელი აღმოსავლეთის ეკლესიის კანონიკური გალობა, მასში შობილი და

ღვთისმსახურების “თანაარსი”. ამიტომ ეს თვალსაზრისი, რომელიც, ჩვენი აზრით, მიკერძოებულია, მაინც არ არღვევს ეკლესის კანონიკურ მთლიანობას.

რაც შეეხება ძველბერძნულ ხელოვნებას, ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარგვიოთ კანონიკურ გალობაზე ძველი ბერძნული კულტურის, მუსიკალური აზროვნებისა და მუსიკალური სისტემების ძლიერ გავლენას და კანონიკური გალობის საფუძვლებში მისი ელემენტების ჩართვას. მაგრამ, როგორც ზემოთ უკვე აღვინიშნეთ, ბიზანტიური გალობის კანონიკის შექმნაში მონაწილეობდნენ არაბერძნი მამებიც. ბიზანტიური ხელოვნების შექმნაში მათი წელილი და ღვაწლი სრულიად აშკარაა. თავი რომ დავანებოთ ბიზანტიური მუსიკალური ხელოვნების ფენომენის ჩამოყალიბების, დახვეწისა და განვითარების პროცესზე ქართველი, სომეხი და სხვა ერების ხელოვნების გავლენას, სრულიად გაუგებარია მასზე ძველებრაული, პალესტინური და სირიული ხელოვნების გავლენის უარყოფა. ბიზანტიურ მუსიკაში ამ გავლენის კვალი და მუსიკალური ელემენტები შეუძლიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს. ზოგიერთი ამას პოსტბიზანტიურ, თურქულ გავლენად მიიჩნევს, რაც საგვებით მცდარი და ალოგიკურია. სინამდვილეში სრულიად საპირისპირო მოვლენას ჰქონდა ადგილი: მაღალგანვითარებული ბიზანტიური კულტურის გავლენით ჩამოყალიბდა კულტურისა და ხელოვნების არმქონე თურქული ტომების კულტურა და ხელოვნება; თურქული მუსიკალური ხელოვნების ჩამოყალიბებაში საყოველთაოდ არის ცნობილი კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელი ეკლესიის ცნობილი მგალობლებისა და მუსიკოსების როლი. ასევე საყოველთაოდ, დოკუმენტურადაა ცნობილი კონსტანტინეპოლის მართლმადიდებელ ეკლესიაში მკაცრი კონტროლის არსებობა, რომლის მიზანი არა მხოლოდ კანონიკური გალობის

გარეშე ელემენტების შეჭრისაგან დაცვა იყო, არამედ ეკლესიის წიაღშივე შობილი, მაგრამ კანონიკური გალობისათვის მიუღებელი ელემენტების გავრცელების აღკვეთაც.

ჩვენ ასევე არ უგულებელვყოფთ დღევანდელ გალობაში პოსტბიზანტიური პერიოდის ბერძენი მოღვაწეების, განსაკუთრებით პეტრე პელოპონესელის († 1777), შემოქმედებასა და წვლილს. მაგრამ აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მათ მიერ გადამუშავებული და ადაპტირებული თუ შექმნილი საგალობლები დაწერილია ბიზანტიური გალობის კანონიკის სრული დაცვით; ანუ ეს მეორედიები და კილოგბი დამასკელისეულ კანონიკურ ხმებს მიეკუთვნებიან და კანონიკური მელოდიური ფორმულების, სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენებითა და მკაცრად დადგენილი წესების დაცვით არიან აგებულნი. საეკლესიო კანონიკის ღირსება სწორედ ის არის, რომ ისტორიულ მეტკვიდრეობასთან ერთად იგი იძლევა ცოცხალი, შემოქმედებითი მოღვაწეობის საშუალებას, საზოგადო ფორმებისა და ელემენტების მატარებელიც არის და ცალკეული მართლმადიდებელი ერებისათვის დამახასიათებელი თავისებურებების დამტევიც. კანონიკა სწორედ იმისთვის დადგინდა, რომ შემოქმედება დასაშვებ ზღვარს არ გასცდენოდა და ეკლესიისთვის მიუღებელი ესთეტიკა, შინაარსი და ფორმები არ წარმოეშვა.



რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიას, ისტორიულ ცნობებში “ბიზანტიურის” მაგივრად სიტყვა “ბერძნულის” გამოყენება არავითარ გაუგებრობას არ იწვევს . ისტორიულად ისინი სინონიმებად დამტკიდრდნენ და ასეთი მიდგომა საზოგადოდ მთელი ლვოისმსახურების წესსა და მის ელემენტებზე ვრცელდებოდა.

გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც “ბიზანტიური ტრადიციით გალობის” რუბრიკით გამოდის და ღირსი ითანე დამასკელის ქმნილებას - პასექის კანონს ეძღვნება, გამოცემის ავტორი, ი. ბოლდიშევა წერს: “**ბერძნული ეკლესიის თანამედროვე გალობა ამჟამად წარმოადგენს ცოცხალ მართლმადიდებლურ საეკლესიო-სამგალობლო ტრადიციას. თავისი სათავეებიდანვე და შემდეგ განვითარების პროცესში მან შეითვისა მრავალი ხალხის (ბერძენის, სირიელების, არაბების, ბულგარელების და სხვ.) შემოქმედითი მიღწევები და ამდენად, მთელი მართლმადიდებელი მსოფლიოს მონაკოვარს წარმოადგენს. ის მოიცავს არა მარტო მრავალსაუკუნოვანი ლოცვითი გამოცდილების სიმდიდრეს, არამედ, ასევე, საეკლესიო გალობის უმაღლეს კულტურას, მისთვის დამახასიათებელი უმწიკვლო ბუნებრიობით, საღვთისმსახურო სიტყვის ნათელი წარმოთქმით და ხმის თავისუფალი ფლობით ლოცვითი განცდის უნატიფესი ნიუანსების გადმოცემისას”.**



4. რვა ხმათა

ეკლესიაში ღვთისმსახურება გაწყობილია რვა ხმაზე. “რვა ხმათა” (ანუ პარაკლიტონი, იგივე ოქტოიხოსი) წმ. იოანე დამასკელმა შეადგინა და დაამკვიდრა აღმოსავლეთის ეკლესიაში. ყოველი დღის ტიპიკონის განსაზღვრა რვა კვირის ციკლურ მონაცემობას ემყარება, რომელშიც თითოეულ კვირას თავისი საკუთარი ხმა აქვს, და რომელიც მკაფიო მითითებებს შეიცავს იმის თაობაზე, თუ რომელი საგალობელი რომელ ხმაში და რომელ მელოდიაზე უნდა ვიგალობოთ. საგალობლის კანონიკურობის ერთ-ერთ პირობას სწორედ საგალობლის ხმასთან შესაბამისობა წარმოადგენს.

საეკლესიო ტიპიკონში და საღვთისმსახურო წიგნებში - პარაკლიტონში, ჟამნში, მარწვანში, სადღესასწაულოსა და ა.შ. - მითითებული საგალობლების ხმები სწორედ წმ. იოანე დამასკელის მიერ დადგენილ მუსიკალური ხმებია. “რვა ხმათა” ეს საგალობლები არის არა რომელიმე ერის, არამედ ერთიანი მართლმადიდებელი ეკლესიის, მისი ყველა წევრის საკუთრება და ღვთისმსახურების აუცილებელ სახელმძღვანელო ელემენტს წარმოადგენს. ამიტომ ვუწოდებთ მათ საეკლესიო, კანონიკურ ხმებს².



ტექსტურ-მუსიკალური თვალსაზრისით, თითოეულ ხმაში საგალობელთა საკმაოდ დიდი მოცულობა შედის (ხმათა უმრავლესობისათვის მათი რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს ათასს). საგალობლები ორი საწყისის - სიტყვისა და მელოდიის ერთიანობას ქმნის. წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით, ხმა წარმოადგენს ყალიბს, ჩარჩოს, თარგს, რომლის ფარგლებში და რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოყალიბდეს და აიგოს კანონიკური საგალობელი. ყოველ ხმას აქვს მისთვის დამახასიათებელი მუსიკალური ელემენტები: მუსიკალური გამა და კილო, ძირითადი ბგერები (ტონიკა, ღომინანტ-სუბდომინანტები), მელოდიური და ინტონაციური ფორმულები, მელოდიური კადენციები, დასაწყისი, შუალედური და დამასრულებელი მუხლების საწყისი და ბოლო ბგერების განლაგებები, მოდულაციები - ე.წ. გადახრის მუხლები, ასევე ემოციური ხასიათი და სხვა ელემენტები. ეს ელემენტები ბიზანტიურ გალობას, მის ხმებს ანიჭებენ გვარის ძღვრადობასა და სიმყარეს, სიმწყობრესა და წესრიგს, გალობის ხასიათის ერთობასა და ცნობილ იდეალთან სიახლოვეს. “რვა ხმათას”, როგორც მუსიკალურ-სამგალობლო სისტემისა და საეკლესიო გალობის ძირითადი კანონის, ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა, დაიცვას საეკლესიო გალობა თვითნებობისაგან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შეუფერებელი ბგერათრიგების ან სასიმღერო სახეობების არჩევაში, ისეთი მელოდიების

² მრავალ ეკლესიაში, სადაც დასავლეთის გავლენით პოლიფონიური გალობა დამკვიდრდა, ველარ ვხვდებით კანონიკურ ხმებსა და კილობს. ისინი ფაქტობრივად დაყვანილია ევროპულ მაჟორსა და მინორზე.

შექმნაში, რომლებიც ეკლესიაში დადგენილ გალობას არ მიესადაგება; ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაიცვას იგი ნებისმიერი შემოქმედებისაგან, რომელიც გალობის კანონიკასთან, მის კრიტერიუმებთან შეუთავსებელია.

წმ. ოთანე დამასკელის სიღიადე იმაშიც ჩანს, რომ მან პარაკლიტონში შეტანილ საგალობლებს, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ისეთი მუსიკალური კილოები და მელოდიები შეურჩია, რომლებიც მლოცველისათვის საგალობლის ლოცვით შინაარს მეტად მისაწვდომსა და აღქმადს ხდის. წმ. ოთანე დამასკელმა საეკლესიო გალობის ხმებისთვის ოთხ დიატონურ კილოსთან ერთად შეარჩია და დადგინა აღმოსავლეთის ეკლესიის არეალისათვის (მათ შორის ებრაელი, სირია-პალესტინელი, არაბი და სხვა ხალხებისთვის) ნიშანდობლივი და ჩვეული ორი ქრომატული და ორი ენარმონიული კილო³. მან გამოარჩია და დააკანონა ამ კილოების შესაბამისი და ეკლესიისთვის მისაღები მელოდიები, ასევე სხვა მუსიკალური ელემენტები; განსაზღვრა მელოდიის კომპონირების წესები, ანუ შექმნა კანონი, რომლის მიხედვითაც უნდა ჩამოყალიბდეს საგალობლის მელოდია. ეკლესიის სხვა წმიდა მამების მიერ სრულყოფილი და განმტკიცებული ეს კანონიკა მიიღეს აღმოსავლეთის ეკლესიაში აუცილებელ სახელმძღვანელო ელემენტად და საყოველთაო წესად. წარმოადგენს რა ტექსტისა და კანონიკური მუსიკალური ხმის მიხედვით დაწერილი მელოდიის ერთობას, გალობის ორი ელემენტიდან რომელიმე ერთის გამოკლება ან უგულებელყოფა არღვევს საეკლესიო წესსა და გალობის კანონიკას, შეუძლებელს ხდის ღვთისმსახურების აღსრულებას ტიპიკონის სრული დაცვითა და დაურღვევლად.

5. მეხელენი

საქართველო იმთავითვე უფრთხილდებოდა დედა ეკლესიასთან ერთიანობას და მისი ღვთივკურთხეული განაწესის მიღებისა და საქართველოში დამკვიდრებისათვის ზრუნავდა: “**მაშინ იერუსალიმით მოიწია კაცი, რომელმაც მოართვა (გრიგოლ ხანძთელს)** საბაწმიდისა განგება დაწერილი” (გრ. ხანძთელის ცხოვრება); “**ადრეული ქართული ლიტურგიკული კრებული და უძველესი იადგარი საბაწმიდური წარმომავლობისაა**” (პროფ. ელენე მეტრეველი “ხმეანი გალობა უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში”); “**საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისა დაუკლებლად აღესრულებოდის (ვითარცა) ტვიბიკონი მოასწავებდა პალესტინისა მინასტრისა - ყოველი სრულიად**”. (ფ. ფორდანია. მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძი, შიომღვიმის ლავრისთვის მიცემული 1123 წელს, გვ. 10-11).

³ იმდროინდელმა დასავლეთის ეკლესიამ, რომელიც ჯერ კიდევ ეკლესის წიაღში იმყოფებოდა, აღმოსავლეთის ეკლესიის მიბაძვით ასევე შექმნა “რვა ხმათას” კანონი. მან ხმებისთვის ოთხი დიატონური კილო შეარჩია, ხოლო შემდგომ ამ ოთხ ხმას მისივე მსგავსი ოთხი გვერდითი ხმი დაუმატა.

სიტყვა “მეხელის” ეტიმოლოგიას გვიჩნის კ. კეკელიძე, რომელიც საუბრობს “მეხელის” “ეხოს”-იდან (ჩიოც-ხმა) წარმომავლობის შესახებ. აյ “ჩიოც” – “ხმა” -აღნიშნავს კანონიკურ, დამასკელისეულ მუსიკალურ ხმას, ხოლო თავად მეხელეობა - კანონიკური საგალობლის თარგმანას, ანუ თარგმნილ ტექსტზე საგალობლის კანონიკური მელოდიის დადებას, გაწყობას. წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძი ნათელს ჰუნის მეხელეობის არსება და მეხელეების მოღვაწეობას. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი კარგად არის შესწავლილი. “**X საუკუნის მეხელეებმა ბერძნულიდან გადმოიღეს იმ დროს ლიტურგიკული პრაქტიკისათვის აუცილებელი თითქმის მთელი პიმნოვრაფიული რეპერტუარი (ძლისპირები, გალობანი, სტიქარონები). მიქაელ მოღრეკილის იაღვარი მეხელეთა შემოქმედების შემაჯამებელი და დამაგვირგვინებელი ეტაპი” (პროფ. ე. მეტრეველი “ხმეანი გალობა უძველეს ქართულ ლიტურგიკულ ძეგლებში”).**

ამგვარად, საქართველოს ისტორიოგრაფია ადასტურებს, რომ მე-12 საუკუნის ჩათვლით საქართველოს ეკლესიაში გალობდნენ კულესის კანონიკურ, ბიზანტიურ მელოდიებს, ხოლო ორიგინალური ქართული საგალობლები ამ კანონიკის სრული დაცვით იქმნებოდა. იმას, რომ მამები ერული ტრადიციების ეკლესიაში შეჭრის წინააღმდეგ იბრძოდნენ და რომ მე-12 საუკუნეში საეკლესიო გალობის გახალხურება არ მომხდარა, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ “**რუს-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრებამ მონასტრების დღესასწაულების დროს ყოველგვარი საერო ზნეჩვეულების გამოხატულების წინააღმდეგ გაიღაშქრა და აკრძალა: “სხუა სამოქალაქო და სოფლიო წესი”.** (ივანე ჯავახიშვილი “ქართული მუსიკის ძირითადი საკითხები).

ათენის უნივერსიტეტის პროფესორმა, გრიგორი სტათისმა დაგვიდასტურა, რომ საბერძნეთშიც მსგავსი ცნობებია დაცული. მანვე ძველბერძნულ და ქართულ ხელნაწერებში დაცული ნევმების შედარებისას არამცუუ მათი მსგავსება, ზოგიერთი მათგანის იდენტურობაც დაადასტურა. გაცილებით ადრე ნევმების მსგავსებაზე მოსაზრება ცნობილმა მკვლევარმა თიბომ გამოთქვა (Abbe J. B. Thibaut): “**ქართული სამგალობლო ნიშნების ეს სისტემა ბერძნულ ფონეტიკურსა და ჰაგიოპოლურს ანუ იერუსალიმისას მიაგავს.**” ამასვე ადასტურებს გერმანელი მეცნიერ-მუსიკოსი, ოსკარ ფლაიშერი, რომელიც ამბობს, რომ ქართული ნევმები ბიზანტიური წარმოშობის ყოფილა (“Neue Musik-Zeitung”, Stutt.. 1920. Das georgische Volkslied und die Kultur der Georgier).

XIII-XVII საუკუნეებში საეკლესიო გალობის შესახებ ცნობები შედარებით მწირია. მიუხედავად ამისა, მათში მაინც ჩანს, რომ ბიზანტიური გალობის კვალი საქართველოში XVII- XVIII საუკუნეებშიც გვხვდება⁴.

⁴ უფრო დეტალურად ეს საკითხები გადმოცემულია ბიზანტიური გალობის შემსწავლელი ჯგუფის მიერ გამოცემულ ნაშრომში “ასე გალობდნენ ძველად საქართველოში”, თბილისი, 2001 წ. ამ გამოცემის შემდეგ სხვა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მასალა იქნა მოპოვებული და დამუშავებული. ისინი დასახელებულ ნაშრომში გადმოცემულ მასალას აზუსტებენ და მნიშვნელოვნად ავსებენ, ასევე ოპონენტთა მიერ გამოთქმული მოსაზრებების უსაფუძვლობასა და არამეცნიერულობას ადასტურებენ.

6. დასავლეთის ეკლესიაში

დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიოგრაფიამ და მეცნიერებმა, XIII-XVI სს პერიოდის შესახებ მასალებმა, განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მეტად ზუსტი და სარწმუნო ცნობები და ნაშრომები შემოვთინახეს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თვალი გაგადევნოთ ზეციური გალობის მიწიერ მუსიკად გადაქცევის ისტორიას, რაც არსობრივად და ქრონოლოგიურად დასავლეთის ეკლესიის განდგომას, დაცემასა და მიწიერი, კაცობრივი განგებულების ორგანიზაციად გარდაქმნას უკავშირდება.

იმის გამო, რომ მუსიკალურ მხარეს აქვს ასეთი საპასუხისმგებლო დანიშნულება და მის მიმართ წაყენებულია ასეთი დიდი მოთხოვნები, მართლმადიდებელ ეკლესიაში გალობა კანონიზაციის პროცესს დაექვემდებარა და წმ. მამებმა ეს საკითხი ტიპიკონი შეიტანეს. ზემოთქმული პროცესი, რომელიც ძველი აღთქმის ეკლესიაში დაიწყო, ქრისტეს ეკლესიაში 7 საუკუნე გაგრძელდა: მოციქულთა დროიდან წმ. ოთანე დამასკელის დრომდე, აღმოსავლეთის ეკლესიაში კანონიკური გალობის ჩამოყალიბება-დადგინებამდე. გიორგი ი. პაპადოპულოსი⁵ თავის საყოველთაოდ ცნობილ წიგნში აღნიშნავს:

“ღვთაებრივმა დამასკელმა, როგორც ჰიმნოგრაფმა და გამოცდილმა მუსიკოსმა, მიმოიხილა თავისი ეპოქისდოროინდელი სადა, მარტივი სახის ფსალმოდია⁶ და ხელი მიჰყო მის მოწესრიგებასა და კანონიზაციას. მან რვა ხმის მიხედვით შეადგინა რვახმათა⁷. ეს ხმები ნასაზრდოები იყო ბერძნული მუსიკის მრავალრიცხოვანი სახეობის მელოდიებით⁸, რომლებიც შესწორებისა და შეცვლის შემდეგ თავისი შინაარსით უკვე შეესაბამებოდნენ ეკლესიურ წმინდა გრძნობებს. ლირის მამა წინ აღუდგა უჯერო, უხამს, ეკლესიისთვის შეუფერებელ, ბობოქარ მელოდიებს, რომლებიც იწვევდნენ აღმაფრენას, შფოთს, მძაფრ, დაუკეტებლ, საბრძოლო გრძნობებს და დატოვა ისეთი მელოდიები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ღვთის განდიდებასა და სინანულს. მან უბრალო, სადა მელოდიებით აღჭურვა თავისი რვახმათა, რომელიც შედგებოდა თანაბარი სიღილეის ნაწილებისაგან, და თითოეულ ნაწილს სათაურად უწოდა თითო ხმის სახელი”. (გიორგი ი. პაპადოპულოსი, “ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ისტორიული მიმოხილვა მოციქულთა ხანიდან ჩვენს დრომდე” (1-1900 ა.წ.), გამომც. “ტერტიოს”, კატერინი, 1-ლი

⁵ გიორგი ი. პაპადოპულოსი - ქრისტეს დიდი ეკლესიის მუსიკალური სკოლის დირექტორი, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა XIX-XX სს.

⁶ ფსალმოდია, პირდაპირი მნიშვნელობით, ფსალმუნთგალობას ნიშნავს. პირველ საუკუნეებში ძირითადად ფსალმუნებს გალობდნენ. ამიტომ ფსალმოდია გალობის სინონიმად დამკვიდრდა.

⁷ ოქტოიქოსი, იგივე პარაკლიტონი.

⁸ თავის მხრივ, ძველი ბერძნული მუსიკა, მისი კილოები და მელოდიები ნასაზრდოება სხვა ხალხების კოლო-მელოდიებით: დორიელების, ფრიგიელების, ლიდიელების და სხვ. ასევე, ბიზანტიური ხელოვნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ბიზანტიის იმპერიის სივრცეში მოქცეული და მის გარეთ მყოფი ხალხები: სირიელები, არაბები, ებრაელები, ქართველები, სომხები, და სხვა.

გამოცემა, ათენი., 1904 წ. თავი: შუა საუკუნეების საეკლესიო მუსიკა (700-1453), პერიოდი მე-3, ოთანე დამასკელი – ღვთ. ბიზანტიური მუსიკის მომწესრიგებელი და განმაახლებელი).

ნათქვამს დავამატებთ, რომ კანონიგური გალობის განვითარებისა და ჩამოყალიბების პროცესი მიმდინარეობდა ბიზანტიის მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში, რომლის დროსაც გალობამ შეითვისა ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ხალხების მუსიკალური კულტურის ელემენტები, დაიწმინდა, შეივსო, სრულიყო სხვადასხვა ეროვნების წმინდა მამების მიერ და აღმოსავლეთის ეკლესიის კანონიგურ გალობად დადგინდა. ამიტომ დღესაც, ამა თუ იმ ერთის ზოგიერთი წარმომადგენლის პრეტენზიისა თუ სურვილის მიუხედავად, იწოდება ბიზანტიურად და არა ბერძნულ, უბრალო, პალესტინურ თუ სირიულ აღმობად.

მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურებები არაჩვეულებრივად მდიდარია სხვადასხვა შინაარსისა და ტექსტების საგალობლებითა და საკოლეგი-

სამგალობლო ფორმებით. ეს საგალობლები ჩართულია სხვადასხვა ლოცვებსა და საკითხავებს შორის, თანმხლებია გამოსვლებისა, სხვადასხვა სახის მსვლელობებისა (პროცესიებისა), ერთვება ფსალმუნის ლექსებს შორის დადგენილი რიგისა და წესების შესაბამისად. თავისი შინაარსით საგალობელები მსმენელთა ყურადღებასა და ფიქრებს უნდა მიმართავდნენ მთავარი თემისაკენ, რომელსაც შეიცავს დღესასწაულისა თუ წმინდანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტექსტები; მსმენელთ მართლმადიდებელი სარწმუნოების დოგმატებს უნდა ასწავლიდნენ პოეტური, გალობისათვის ადაპტირებული, მაგრამ დოგმატურად უმწიკვლო ფორმით. შეიძლება ითქვას, რომ საგალობლები, რომელებიც ღვთისმსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია და ასახავს მის შინაარსს, გალობისათვის მოსახურხებელი ფორმით მოიცავს მართლმადიდებლი ეკლესიის საღვთისმეტყველო სწავლებას. ამრიგად, საკმარისია მსახურებისას დამსწრებ ყურადღებით უსმინოს გალობასა და საკითხავებს, რომ სარწმუნოებისა და ღვთისმეტყველების შესახებ ძირითადი, ძირეული სწავლებანი მიიღოს. საგალობლის ტექსტთან ორგანულად დაკავშირებული და შერწყმული კანონიკური მელოდია კი მიმის საშუალებას იძლევა, რომ საგალობლის შინაარსი ღრმად ჩაებეჭდოს მსმენელს მეხსიერებასა და ცნობიერებაში, და იმავდროულად მისცეს მას ემოციური განმარტება სიტყვისა, რომელსაც ის მსახურებისას ისმენს.

მუსიკალური ელემენტის, მელოდიის ტექსტთან კავშირისა და შესაბამისობის მნიშვნელობის შესახებ წმ. ბასილი დიდი აღნიშვნას¹¹: “**კინაიდან სულიწმიდამ იცოდა, რომ ძნელი იქნებოდა ადამიანთა მოდგმის სათნოების გზით ტარება, . . . სწავლებას შეურევს გალობის (μελωδίა) ტკბილ ხმოვანებას, რათა ყურისთვის დამატკბობელთან და კეთილხმოვანთან ერთად შეუმჩნევლად მივიღოთ ისიც, რაც არის სიტყვაში**”. ანუ გალობაში სულიწმიდის მიერ დაშვებული მუსიკალური ელემენტი – მელოდია უნდა ესახურებოდეს მსმენელამდე სიტყვის მიტანას და ხელს უწყობდეს სიტყვის შინაარსის, მისი მნიშვნელობის შეთვისებას. ამგვარად, რაკი საღვთისმსახურო გალობა წარმოადგენს სიტყვას, აუღერებულს მუსიკალური ბეგრების, მელოდიების საშუალებით, რომლებიც აძლევენ მას გამოსახველობას და აძლიერებენ მის ემოციურ მხარეს, ამიტომ გასაგებია, რომ მუსიკალური ელემენტი უნდა იმართებოდეს სიტყვებით და ამ სიტყვებით გამოხატული იდებით¹². დავუძრუნდეთ ჩვენს ძირითად თემას. მართლმადიდებელ ეკლესიაში ნებისმიერი ღვთისმსახურება გალობის თანხლებით აღესრულება, იქნება ეს გალობა შესრულებული ერთი მგალობლის, მგალობელთა გუნდის, თუ ყველა დამსწრის მიერ; და იქნება გალობა გამშვენებული, თუ ყველაზე მარტივი ფორმით, - ისეთით, როგორიცაა ერთ ბეგრაზე, ერთ ნოტზე კითხვა (“recto tono”). მართლმადიდებელ ეკლესიაში, ლათინთა მსახურებისაგან

¹¹ იხ. მაცი თ ანებე ა. ა., ტაბეტ აი თ ა ეა აუ მ რებე, 1867 პ I, გმბ. 26

¹² გარკვეული სირთულეები წარმოიქმნება საგალობელთა თარგმნისას. ამის შესახებ იხ. დამატება 2 - “ორიგინალი და თარგმანი”

განსხვავებით, არ არსებობს “ჩუმი მესები”, ანუ ღვთისმსახურება გალობის გარეშე. ამიტომ შეიძლება ითქვას, **რომ მართლმადიდებელი ეკლესიის საღვთისმსახურო გალობა წარმოადგენს თვით ღვთისმსახურების ერთ-ერთ ფორმას.** ეს ასახულია ტიპიკონში და საღვთისმსახურო წიგნებში, რომლებშიც დადგენილია მსახურების დროს რა, როდის და როგორ, რომელ ხმაში და რომელი მელოდიით უნდა იგალობებოდეს. საეკლესიო გალობა არის ღვთისმსახურების ერთ-ერთი სახე. მისი ფორმები საღვთისმსახურო ფორმებით უნდა იმართებოდეს, ანუ წარმოადგენდეს: ქადაგებას, ლოცვას, დიდებისმეტყველებას და ა.შ. ამიტომ ის არის სარწმუნოების საფუძვლების, დოგმატებისა და მართლმადიდებლური მსოფლმხედველობის სწავლების ქმედითი საშუალება. თან ეს სწავლება ხორციელდება ყველასათვის ხელმისაწვდომი გზით – სიტყვის ადვილად დასამახსოვრებელ მელოდიასთან შეერთებით. ამგვარად გადმოცემული სიტყვა მორწმუნებს ღრმად ებეჭდებათ ცნობიერებასა და მეხსიერებაში.

4. საგალობელთა ჯგუფები, სახეები, ფორმები, შესრულების ხერხები

საგალობლები შეიძლება დავაჯგუფოთ მისი ორი ელემენტის - სიტყვიერისა და მუსიკალურის მიხედვით.

4.1. სიტყვის შინაარსის მიხედვით დაჯგუფებული საგალობლები

ლოცვითი (ევქოლოგიური) და იმავდროულად დიდაქტიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით საგალობლები შეიძლება დავყოთ შემდეგ ექვს ჯგუფად:

4.1.1. დოგმატური ხასიათის საგალობლები

ამ საგალობლებში პოეტური ფორმით გადმოცემულია მართლმადიდებელი სარწმუნოების სწავლება. მათ განეკუთვნება, მაგალითად, ღვთისმშობლის დოგმატიკონები, რომლებიც იგალობება შაბათის მწუხრეზე, ღარადვების ბოლოს, აწდა-ს შემდეგ. დოგმატიკონებში გალობისთვის მისადაგებული პოეტური ფორმით გადმოცემულია დოგმატური სწავლება ღვთისმშობლისაგან იესო ქრისტეს განკაცებაზე. მაგალითად, მე-5 ხმის დოგმატიკონი:

“ზღუას მას ზედ მეწამულსა, უქორწინებელისა სძლისა სახე გამოისახა ოდესტე.
მუნ იყო მოსე განმპეტელი წყალთა , ხოლო აქა გაბრიელ მსახური
საკვირველებისა .”

მაშინ ისრაილი წიაღხდა უფსკრულსა დაულტოლველად,
ხოლო აქა ქალწულმან გვიშვა ქრისტე უთესლოდ.

ზღუა შეძღვომად წიაღსლეთასა ისრაელთასა დაადგრა უვალად
და უბიწო შეძღვომად შობისა ემმანუილისა დაადგრა უხრწნელად.
რომელი იყავ და პირველითგან იყავ, და გამოჩნდი ვითარცა კაცი,
შევიწყალენ ჩვენ”.

ანდა, მე-2 ხმის დოგმატიკონი, - საგალობელში ძველი აღთქმის წინასახელი
გამოსჭვივის:

“წარხდა სახე სჯულთა მათ პირველთა ,
და გამოჩნდა მადლი დღეს,
და ვითარცა მაყუალი არა შეწუა ცეცხლმან აღგ ზებულმან,
ეგრეთვე ქალწული ეგო ქალწულად
უკნებელად შეძღვომად შობისა,
სუეტისა მის წილ ცეცხლისა
მზე სიმართლისა,
მოსესწილ ქრისტე გამოჩნდა,
მაცხოვრად სულთა ჩუენთათვის”.

4.1.2. თხრობით-ისტორიული ხასიათის საგალობლები

ამ სახის საგალობლებში ისტორიული ფაქტების თხრობასთან ერთად
გადმოცემულია დოგმატური სწავლება. მოგვყავს ლიტის დასდებელი დიდებაზე,
ხმა მე-5, როგორც ნიმუში საგალობლისა, რომელიც მიმართულია მსმენელისაკენ
და რომლის შინაარსი წმინდა დოგმატური ხასიათისაა:

“სპარსთა მეფეთა
სცნეს ჭეშმარიტად
და გულის-ხმა-ყვეს,
ვითარმედ იშუა მეუფე ცათა ,
ბრწყინვალისა ვარსკულავისა ძღომითა,
და მოიწივნეს ბეთლემს მოსწრაფედ,
და ძღუენი რჩეული მიუპყრეს,
გუნდრუკი, მური და ოქრო წმიდა ,
და შიშით მსგავსად მეუფისა
თაყვანის-სცეს,
რამეთუ იხილეს
ჩჩილად დაუსაბამო ”.

4.1.3. ზნეობრივ-დიდაქტიკური ხასიათის საგალობლები

მაგალითად: სტიქარონის დასდებელი, იგალობება დიდმარხვის პირველი
შვიდეულის ორშაბათს, მწუხრად, ხმა გ:

“ვიძარხოთ მარხვა , წმიდა სათნო უფლისა .
 ჭეშმარიტი მარხუა არს ბოროტთა უცხო ყოფა,
 დამჭირვა ენისა , აღ რ-სხმა გულისწყრომისა ,
 და განშორება ბოროტთა გულის-თქუმათა, და ძვირის-ზრახ სა,
 და ტყუილისა, და ცრუ-ფიცისა.
 ამათგან უკუ კრძალვა ,
 არს მარხვა ჭეშმარიტი და სათნო ,
 და მომტევებელი ბრალთა სიმრავლისა ”.

4.1.4. ჭვრეტითი ხასიათის საგალობლები

ამ სახის საგალობლის მაგალითს წარმოადგენს აქებდითის დასდებელი, რომელიც იგალობება დიდ შაბათს, ხმა ბ:

“დღეს შეიცავს საფლავი დამბადებელსა,
 და ელითა შემცველსა დაბადებულთასა,
 და შუ ნიერებითა დამფარველსა ცათასა
 დაფარავს ლოდი იგი უნდო საფლავისა .
 დაიძინებს ცხორება და სძრწის ჯოჯოხეთი,
 და ადამ საკრუ ლთაგან განი სნების შ ლითურთ,
 დიდება განგებულებასა შენსა, მ სნელო,
 რომლითა ყოველი სრულჰყავ და მოგვმადლე ჩუენ,
 ვითარცა ღმერთ ხარ, შაბათობად საუკუნოდ,
 მკუდრეთით აღდგომა შენი, უფალო, დიდება შენდა”.

1.1.5. მცირერიცხოვანი საგალობლები, რომლებიც ლიტურგიული მოქმედების თანხმლები არიან

ეს საგალობლები, ძირითადად, მიმართულია მსმენელისაკენ. ისინი იგალობება საღვთისმსახურო ქმედებების დროს და ხსნიან მათ სიმბოლურ მნიშვნელობებს. ამ სახის საგალობლის მაგალითია “რომელნი ქერუბიმთა”, რომელიც იგალობება ლიტურგიაზე მსხვერპლშეწირვისათვის მომზადებული პურისა და ღვინის სამკვეთლოდან ტრაპეზზე გადატანისას:

“რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით
 და ცხოველსმყოფელისა სამებისა სამწმიდა არსობისა გალობასა შევსწირავთ,
 ყოველივე მსოფლიო დაუტევოთ ზრუნვა :
 რა თა შევიწყნაროთ მეუვე ყოველთა ,
 ანგელოზთა წესთა შორის ლახვარმოსილთა უხილავად მომავალი,
 ალილუა”.

4.1.6. მკაფიოდ გამოხატული საღიდებელი (დოქსოლოგიური) და ლოცვითი (ევქოლოგიური) ზასიათის პიმნი-საგალობლები

ამ სახის საგალობელთა რიგს განეკუთვნება მაგალითად, “ნათელო მხიარულო”, რომელიც იგალობება დიდ მწუხარზე ღვთისმსახურთა საკურთხეველში შესვლის წინ:

“ნათელო მხიარულო, წმიდისა,
უკუდავისა მამისა ზეცათა სა,
წმიდისა ნეტარისაო,
იესუ ქრისტე,
მოსრულნი დასლვასა მზისასა,
მხილველნი ნათლისა სამწუხრო სანი,
ვაქებთ მამასა და ძესა
და წმიდასა სულსა ღმერთსა,
ღირსმცა ვართ ყოველსა უამსა,
გალობად შენდა ხმითა ტებილითა,
ძეო ღმრთისაო, ცხორების მომცემელო,
რომლისათვისცა ყოველი სოფელი შენ გადიდებს”.

ან საგალობელი, რომელიც იგალობება ლიტურგიაზე წმ. ძლვენის გარდაქცევის დროს:

“შენ გიგალობთ,
შენ გაკურთხევთ,
შენ გმადლობთ, უფალო
და გევედრებით შენ, ღმერთო ჩუენო”.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან თვალნათლივ ჩანს, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს მსახურებაზე დამსწრეთა დამოძღვრისათვის საგალობელთა საღვთისმსახურო ტექსტებს, გალობით გადმოცემულ სიტყვას. ასევე ჩანს, თუ რა მცდარია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თითქოს გალობა ძირითადად წარმოადგენს დამსწრეთა სმენის დამატებობელ და გასართობ საშუალებას, ერთგვარ “სასულიერო მუსიკის კონცერტს”.

4.2 მუსიკალური ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული საგალობლები

ბიზანტიური გალობა წარმოადგენს “ხმეან” გალობას, ანუ მისი საგალობლები იგალობება მოცემული დღის ტიპიკონით განსაზღვრულ ამა თუ იმ კანონიკურ (დამასკელისეულ) ხმაში, რაც საღმრთისმსახურო წიგნებში მკაფიოდ არის მითითებული. ე. ი. საღმრთისმსახურო საგალობელს მიკუთვნებული აქვს ესა

თუ ის ხმა, რაც დაკავშირებულია მის მელოდიასთან, ანუ მუსიკალურ ელემენტთან და არა ტექსტთან. ბოლო საუკუნეებში დამკიდრებულმა მრავალხმიანმა გალობამ და საგალობლებმა “ხმეანობა” ფორმალურად შეინარჩუნა: ის არ ასახავს ხმის მუსიკალურ, კილო-მელოდიურ თავისებურებას, განსაზღვრულობას, შესაბამისობას დამასკელისეული კანონიერის, დამასკელისეული ხმების კილო-მელოდიებთან. მეტიც, მათ არ აქვთ მუსიკალური ნიშნით რვახმიანობა.

ბიზანტიური საგალობლები ურთიერთმელოდიური დამოკიდებულების მიხედვით შეიძლება ჯგუფებად დაიყოს:

- **თვითხმოვანი (ιδιόμελος - იდიომელონი)** – საგალობელი, რომელიც იგალობება საკუთარ მელოდიაზე. ეს მელოდიები, როგორც წესი, სხვა საგალობელთათვის არ წარმოადგენს ნიმუშებს, ანუ ამ მელოდიებზე, ჩვეულებრივ, არ იგალობება სხვა საგალობლები. ამ ჯგუფს განეკუთვნება, მაგალითად, კვირის დასდებლები, დიდი დღესასწაულების დასდებელები და ა.შ. არის თუ არა თვითხმოვანი ესა თუ ის საგალობელი, უპირატესად – დასდებელი, ამის შესახებ მითითებულია საღვთისმსახურო წიგნებში. ასეთი მითითება აწერია უშუალოდ საგალობლის ტექსტს.
- **სათვითხმოვნო, იგივე თვითსამსგავსო (αυτόμελος - αυτόმელონი)** – საგალობელი, რომელსაც ასევე აქვს საკუთარი მელოდია, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მისი მელოდია წარმოადგენს ნიმუშს სხვა საგალობელთათვის (მსგავსთათვის). სახელწოდება – თვითსამსგავსო – მიანიშნებს, რომ საგალობლის მელოდია თვითივე თავის მსგავსია, ანუ წარმოადგენს ნიმუშს. თვითსამსგავსოთა უდიდესი ნაწილია ძლისპირების მელოდიები, ე.წ. ორმოსები.
- **მსგავსი (ποσόμελος - πρωτισმოსი)** – საგალობელი (უპირატესად დასდებლები და ტროპარები), რომელიც იგალობება თვითსამსგავსოთა მელოდიით, ანუ ნიმუშის მიხედვით. მსგავსის ტექსტის ზომა (მეტრიკა) უნდა შეესატყვისებოდეს მისი პირველსახის (პროტოტიპის) ტექსტის ზომას, მაგრამ პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს გადახრები (როგორც ორიგინალში, ასევე და განსაკუთრებით - თარგმანებში). თუ რომელი მელოდიური ნიმუშის მიხედვით უნდა იგალობებოდეს მსგავსი, ამის შესახებ მითითებულია საღვთისმსახურო წიგნებში, სადაც მსგავსის ტექსტებს წანამდღვრის, ანუ ეწ. **პროლოგის** სახით აწერია თვითსამსგავსოთა ტექსტის პირველი სიტყვები. ამგვარად პროლოგი – ესაა სიტყვიერი წანამდღვარი, რომელიც არის თვითსამსგავსოზე მითითება. ეს მითითება ლიტურგიკულ წიგნებში მოცემულია ამ თვითსამსგავსო საგალობლის საწყისი სიტყვების სახით, რომელიც წინდართული აქვს უშუალოდ მსგავსის ტექსტს. ასე მაგალითად, პარაკლიტონსა და სხვა საღვთისმსახურო წიგნებში მრავალ მსგავსს აწერია მითითება თვითსამსგავსოზე შემდეგი წანამდღვრის სახით: “მარჯუენა შენი”. ეს ნიშნავს, რომ ეს მსგავსები იგალობება კვირის ცისკრის აღდგომის კანონის ძლისპირის “მარჯუენა შენი უძლეველის”

მელოდიაზე. როგორც აღვნიშნეთ, თვითსამსგავსოთა უდიდეს ნაწილს (80%-მდე) ძლისპირები წარმოადგენს.

- **ძლისპირი (είρμος - ορθοί)** – ესაა კანონის თითოეული გალობის პირველი ტროპარის მელოდია, რომელიც ამავე გალობის დანარჩენი ტროპარებისთვის არის სათვითხმოვნო, თვითსამსგავსო. ანუ თითოეული გალობის მომდევნო ტროპარები წარმოადგენენ მსგავსებს, რადგან იგალობებიან ამავე გალობის ძლისპირის მელოდიაზე. არსებობს კრებული - οრმოლოგიონი, რომელიც სხვადასხვა კანონების ძლისპირებს მოიცავს. უმრავლეს ძლისპირთა მელოდიები ასევე გამოიყენება სხვა მსგავსების საგალობლად(და არა მხოლოდ კანონის ტროპარების). დედანში კანონის ძლისპირსა და მის ტროპარებს ტოლი ზომები (მეტრიკა) აქვთ, თუმცა ხშირია გადახრებიც, განსაკუთრებით სადღესასწაულო კანონებში. თარგმანში მეტრიკული თანაფარდობების ზუსტად შენარჩუნება, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია. ამიტომ მსგავსთა გალობა ძლისპირის მელოდიაზე გარკვეულ პრაქტიკას მოითხოვს. ასეთი გაგალობებისათვის შემუშავებულია გარკვეული წესები და მეთოდები, რომლებიც გამოიყენება არა მარტო თარგმანებში, არამედ ორიგინალებშიც, რადგან მსგავსის მეტრიკა თვითსამგავსოს მეტრიკისაგან არც თუ იშვიათად განსხვავდება.

გვაქვს მელოდიების სხვაგვარი კლასიფიკაციაც (საგალობლის ტემპის მიხედვით):

- **სწრაფი (σύντομος - ισοδρομοί)** – მელოდიები, რომლებიც გამოიყენება სილაბური ტიპის საგალობლებში, ანუ თითო მარცვალს, როგორც წესი, შეესაბამება ერთი მუსიკალური ბგერა.
- **ნელი (α'ργοσύντομος - αρχωνικός)** – საზეიმო მელოდიები, რომლებშიც ყოველ მარცვალს შეესაბამება ორი ან სამი მუსიკალური ბგერა, ან უფრო გრძელი, გამშვენებული მუსიკალური ფრაზა.
- **ძალიან ნელი¹³ (α'ργος - αρχωνი)** – ძლისპირის ტიპის დამუშავებული ან სხვა სახის გამშვენებული მელოდია, რომელშიც სიტყვის მარცვალი შეიძლება იგალობებოდეს მრავალი მუსიკალური ბგერის გამოყენებით. ამავე სახით იგალობება ე.წ. **კრატიმები** – “ტერიტორი”, “ტო-ტო”, “ანენა” და სხვა. ესაა გრძელი, გამშვენებული საგალობლები, რომლებიც ერთი რომელიმე სიტყვის (“ტერიტორი”, “ტო-ტო”, “ანენა”) მარცვლებზე იგალობება.

გვაქვს მელოდიების სხვაგვარი დაჯგუფებაც (საგალობელთა სახეობების ის. ქვემოთ) მიხედვით):

- **ძლისპირის სახის (ე.წ. ορθολογιούρი – είρμοιλογιαχά)** – მელოდიები, რომლებიც კანონის ტროპარებისნაირად იგალობება. ირმოლოგიური საგალობლები მოკლე მელოდიებისაგან შედგება. ძლისპირის სახის საგალობელი სილაბური წყობისაა, ე.ი. თითოეულ მარცვალს, როგორც წესი, ერთი მუსიკალური ბგერა შეესაბამება. იშვიათ შემთხვევაში მარცვალზე

¹³. ზოგჯერ საგალობელთა ამ ჯგუფს ტეტილხმოვანებსაც (კალოფონიკა) უწოდებენ.

შეიძლება რამდენიმე ბგერა მოღიოდეს. ეს განსაკუთრებით დამასრულებელ მუსიკალურ ფრაზებში (კადენციებში) ხდება. საგალობელთა ამ ჯგუფში შედიან: სწრაფი “ლალადვყავები” (Κεχραγάრια) და სწრაფი “ყოველი სულები” (Πασαπνοάρια), სტიქარონისა და აღვივსენითის დასდებლები (ე.წ. აპოსტიქები, - თა ‘Απόστιχα), სწრაფი “დიდება მაღალიანები” (διξιλογία), კანონები, ტროპარები და კონდაკები, და ა.შ. თავის მხრივ, ირმოლოგიური საგალობლების მელოდიებში ორი ჯგუფი გამოიყოფა: სწრაფი და ნელი კატავასიები.

- **დასდებლის ტიპის (Στιχηρικά)** - შედარებით ნელი მელოდიები, რომლებშიც თითოეულ მარცვალს ეთანადება ორი ან სამი (იშვიათად მეტი) მუსიკალური ბგერა. ამ ჯგუფს განეკუთვნება ნელი “ლალადვყავები” და ნელი “ყოველი სულები”, ასევე ნელი “დიდება მაღალიანები” და დიდების მუხლები (ე.წ. დოქსასტიკები - διξιαστικά) და ა.შ. თვითხმოვნები ყოველთვის დასდებლის სტილში იგალობება.
- **გამშვენებული (ე.წ. პაპადიური, ანუ სამღვდელო (Παπαδικά))** – ესაა დამუშავებული, ნელი, მელიზმატური საგალობლები, ნელი დასდებლის ან დამუშავებული ძლისპირის ტიპის, რომლებიც გამოიყენება ყველაზე გრძელ და გამშვნებულ საგალობლებში, როგორიცაა საზემო ქერუბიკონები, “განიცადენი” და სხვა. ამ ჯგუფის საგალობლებში სიტყვის მარცვალზე შეიძლება მთელი მუსიკალური ფრაზა იგალობებოდეს. ასევე გვაქვს მელოდიების კლასიფიკაცია მათი ემოციური ხასიათის მიხედვით:
- **დიასტალტიკური** – მხიარული მელოდიები
- **სისტალტიკური** – მწუხარე, ტკივილიანი მელოდიები
- **ისიხასტიკური** – წყნარი, ნათელი მელოდიები.

4.3. საღვთისმსახურო გალობის შესრულების სახეები

4.3.1. მუსიკალური ელემენტის გრადაციები

როგორც აღვნიშნეთ, საღვთისმსახურო გალობის ჩამოყალიბების მიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ღვთისმსახურების წესი, ღვთისმსახურების დროს მიმდინარე ქმედებები და საიდუმლო მოქმედებები. მრავალი საგალობელი, განსაკუთრებით ლიტურგიაზე, საიდუმლო ლოკვების დროს სრულდება (ანუ იმ ლოკვების დროს, რომელსაც კითხულობებ ღვთისმსახურნი ჩუმად, თავისთვის) და წყდება ღვთისმსახურთა ასამაღლებლებით, რომლებიც საგალობლებთან ერთად ქმნიან მუსიკალურ მთლიანობას. ზოგიერთი საგალობელი ტაძრის გარშემო თუ ტაძრის შიგნით სასულიერო პირთა მსვლელობების დროს სრულდება. ამიტომ საგალობლები, შესრულების ადგილისა და დროის მიხედვით, უნდა შეესაბამებოდეს ღვთისმსახურების იმ ეპიზოდს, რომელსაც ისინი თან სდევენ ან ასახავენ.

მართლმადიდებლური ღვთისმსახურების სისტემაში მწუხრი და ცისკარი განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი დიდაქტიკური (სწავლებითი, ქადაგებითი) ხასიათით. ეს მსახურებები მდიდარია საგალობელთა ცვალებადი პიმოგრაფიული ტექსტებით. ამ მსახურებების დროს, რომელთა ძირითად ნაწილს ფსალმუნთა გალობა წარმოადგენს, ფსალმუნთა ლექსებს შორის საგალობელთა სახით ჩაერთვება მდიდარი დიდაქტიკური და ევქოლოგიური მასალა. ეს საგალობლები გამუდმებით იცვლება კვირის ხმისა და დღის მიხედვით და გადმოსცემს ამ დღის მთავარ საღვთისმსახურო შინაარსს, და მლოცველის აზრი, რომელიც საგალობლის შინაარსს სწვდება, გარკვეული მიმართულებით მიჰყავს. ამ საგალობლებშია მოცეული მოცემული დღის და ღვთისმსახურების ძირითადი იდეური შინაარსი. ლიტურგიაში ასეთი ცვალებადი დიდაქტიკური მასალა შედარებით მცირეა. ისიც გამოიყენება მხოლოდ მის პირველ ნაწილში, კათაკმეველთა ლიტურგიაში, მაშინ როდესაც მართალთა ლიტურგია ამ მხრივ უცვლელია და თავისი შინაარსით მთლიანად ევქოლოგიურ ხასიათს ატარებს. ამრიგად, ღვთისმსახურებაში საგალობელთა მელოდიური მრავალფეროვნება - ხმათა, ხმის მელოდიათა, შესრულების სახეთა სხვადასხვაობა – ძირითადად მუღავნდება მწუხრსა და ცისკარში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ღვთისმსახურება ეკლესიაში რვა ხმაზეა გაწყობილი. რვა ხმა განისაზღვრება როგორც კალენდარულად და ლიტურგიკულად, ასევე მუსიკალურადაც. ყოველი დღის ტიპიკონის განსაზღვრა უმყარება რვა კვირის ციკლურ მონაცემებისა, რომელშიც თითოეულ კვირას თავისი საკუთარი ხმა აქვს. ამგვარად, წლის ყოველ კვირასა და კვირის ყოველ დღეს აქვს განსაზღვრული ხმა. ამა თუ იმ დღის ღვთისმსახურების ძირითადი საგალობლები იგალობება ამ დღისთვის განსაზღვრულ კანონიკურ ხმაში, თუმცა, საღვთისმსახურო წიგნებში არსებული მითითებების შესაბამისად, რიგი საგალობლებისა იგალობება სხვა ხმებშიც. ეს, ძირითადად, ის საგალობლებია (მაგ. სადღესასწაულო საგალობლები), რომელთა მელოდიებიც არ იცვლება ხმების მიხედვით, რომელთაც აქვთ საკუთარი, განსაზღვრული და უცვლელი ხმები და ამ ხმებში დაწერილი მელოდიები. შესაძლოა, რომელიმე ასეთ საგალობელს რამდენიმე საკუთარი მელოდიაც ჰქონდეს - იმ კანონიკურ ხმაში დაწერილი, რომელიც განსაზღვრულია ამ საგალობლისთვის. ეს მელოდიები შემონახულია ეკლესიის მიერ და თაობიდან თაობას გადაეცემა.

4.3.2. შესრულების ძირითადი სახეები

საზოგადოდ, მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველი კანონიკური საგალობელი რომელიმე კანონიკურ ხმაშია დაწერილი. სხვა სიტყვებით, კანონიკური ხმის გარეშე კანონიკური საგალობელი არ არსებობს. რიგი საგალობლების ტექსტები და მელოდიები ხმების მიხედვით იცვლება, ზოგისა მხოლოდ მელოდიები იცვლება ხმების მიხედვით, ხოლო ტექსტი უცვლელია,

ზოგისა კი უცვლელია როგორც ტექსტები, ისე მელოდიები - მათთვის განსაზღვრულ ხმაში დაწერილი.

ღვთისმსახურებაში სიტყვის მუსიკალური გაფორმება შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს:

1. ერთი მკითხველის, ან მგალობლის, ან ღვთისმსახურის მიერ შესრულება.
ამ ჯგუფს მიეკუთვნება ფსალმუნთა კითხვა და ეკფონეტიკა - ის, რაც არ შეიძლება შესრულდეს გუნდის მიერ. აქ გვაქვს სამი სახეობა:
 - ა) კითხვა - მაგალითად, წმინდა წერილის, სამოციქულოსა და სახარების კითხვა, რომელიც უკვე მოიცავს სუსტად გამოხატულ მუსიკალურ ელემენტს;
 - ბ) მოკლე ლოცვებისა და ასამაღლებლების აღვლენა; მაგალითად, პერექსები და ასამაღლებლები;
 - გ) გამღერებები, ანუ რაიმე ლოცვითი სიტყვის გამღერებით წარმოთქმა; მაგალითად კანანარხის წართქმები და მისთ.;
2. გუნდური შესრულება.

სანამ საღვთისმსახურო გალობის კონკრეტულ ფორმებზე ვისაუბრებთ, ჯერ შევეხოთ საკუთრივ მუსიკალურ ფენომენს, მუსიკალურ სტიქიას ღვთისმსახურებაში და დავიწყოთ მისი უმარტივესი ფორმებიდან, როგორიცაა აკლამაციები, კითხვა ერთ ტონზე და ასამაღლებლები. ეს გრადაციები არ წარმოადგენს მყაცრი გაგებით გალობას, მაგრამ ისინი უკვე აღარც მეტყველებას ეკუთვნიან. იმის გამო, რომ ღვთისმსახურებისას ჩვეულებრივი მეტყველების ინტონაციის მანერა, ასევე ტექსტის კითხვის დეკლამაციური¹⁴ წესი (მხატვრული კითხვის მანერა) არ გამოიყენება, ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ღვთისმსახურება მიმდინარეობს ამა თუ იმ ფორმის მუსიკალური ელემენტის თანხლებით. მაგალითად, უმარტივესი ფორმა – ერთ ტონში კითხვა ჩვეულებრივი მეტყველებისაგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდება. კერძოდ:

- ტონის მუდმივი სიმაღლე, რომელზეც ტექსტი იკითხება;
- რამდენადმე (მცირედ) გაგრძელება ხმოვნებისა, რომლებიც არ არღვევნ კითხვის დინამიკას და არ არიან ისეთი “ფეთქებადნი”, როგორც ჩვეულებრივი მეტყველებისას, რომლის დროსაც ხმოვნების გრძლივობა უმნიშვნელოა და, მიუხედავად ამ სიმოკლისა, მათი ტონალური სიმაღლეები თვით ამ ხმოვნების გრძლივობის ფარგლებშიც კი განსხვავებულია.

4.3.3. გუნდური შესრულება.

ღვთისმსახურების დროს საეკლესიო ტიპიკონით გათვალისწინებულია გალობის შესრულების სხვადასხვა სახე, მათ შორის, საგალობლის გუნდური

¹⁴ მსახურებისას ზოგიერთი ლოცვა ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით წარმოთქმება. ასეთია, მაგალითად, მრწამსი, მამაო ჩვენი და სხვა. ძველი ტრადიციით, რომელიც შემონახულია ათონის მთაზე, როდესაც ფსალმუნი არ სრულდება გალობით, არამედ იკითხება, ასევე ჩვეულებრივ სალაპარაკო ენას იყენებენ.

შესრულება (უკიდურეს შემთხვევაში, თუ სხვა საშუალება არ არსებობს, გუნდისთვის განკუთვნილი საგალობელი შეიძლება ერთი მგალობლის მიერაც შესრულდეს). გამოვყოფთ საგალობელთა გუნდური, ერთობლივი შესრულების ხუთ სახეს.

1. ანტიფონური სახე

საგალობლის ამ სახით შესრულებისათვის, როგორც წესი, განსაზღვრულია ორი გუნდი. ისინი განლაგდებიან კანკელის მარჯვნივ და მარცხნივ, ტაძრის ამბიონის ნაპირების გასწვრივ (ათონის მთაზე – უმთავრესად მარჯვენა და მარცხენა (სამხრეთისა და ჩრდილოეთის) გვერდით აფსიდებში).

მარჯვენა და მარცხენა გუნდები რიგრიგობით, მიმოგდებით გალობენ საგალობლებს (მაგ. დასდებლებს, კანონის ტროპარებს და ა.შ.) ან ერთი საგალობლის ნაწილებს (მაგალითად, ფსალმუნის მუხლებს ან გრძელი საგალობლის ნაწილებს).

2. ეპიფონური ან იპოფონური სახე

სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვებიდან **ξπι ‘ φωνη**‘ და **ύπο ‘ φωνη**‘. პირველი, ეპიფონი, ნიშნავს ფსალმუნის ყოველი მუხლის წინ უცვლელი წანამდერის წამდლვარებას, ანუ წინამდერს (მაგ., “კურთხეულ ხარ შენ, უფალო, მასწავენ მე სიმართლენი შენნი”). მეორე, იპოფონი, კი ნიშნავს ფსალმუნის ყოველი მუხლის შემდეგ მინამდერის დართვას, ანუ მინამდერს (მაგ., “ალილუია”, ან “გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ლგოსაო . . .”, ან “მეოხებითა ღმრთისმშობელისა თა . . .” და ა.შ.).

3. რესპონსორული სახე

ეს ნიშნავს გუნდის ან მრევლის მიერ უცვლელი ტექსტით პასუხებს მღვდლის ან მედავითის ასამაღლებლებზე. მაგალითად:

- ა) კვერექსის ყოველ მუხლზე გუნდი პასუხობს – “უფალო შეგვიწყალენ” ან “მოგვმადლენ, უფალო”. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ერთ კვერექს პასუხობს ერთი გუნდი, მეორე კვერექს – მეორე გუნდი. ზოგჯერ ერთი კვერექსი იყოფა: პირველ ნაწილს ერთი გუნდი გალობს, მეორე ნაწილს – მეორე გინდი. ასე მაგალითად, ყოველი მსახურების დასაწყისში მშვიდობიანი კვერექსი იყოფა.
- ბ) პასუხები წარდგომებზე; - როდესაც მკითხველი კითხულობს ფსალმუნის მუხლებს, ხოლო გუნდი ყოველ მუხლის პასუხად გალობს პირველ მუხლს, ამასთან, ამ პასუხებს ორივე გუნდი მონაცვლეობით გალობს. ამ მიმოგდების (გადაძახილის) დასასრულ პირველი გუნდი გალობს პირველი მუხლის პირველ ნაწილს, ხოლო მეორე გუნდი ამ მუხლის დარჩენილ

ნაწილს. როგორც ვხედავთ, ეს სახე წარმოადგენს ანტიფონური და იპოფონური სახეების კომბინაციას, რომლის დროსაც ჩაერთვება მკითხველი.

4. კანანარხი

გალობა კანანარხთან ერთად ფრიად გავრცელებულია მონასტრებში და წარმოადგენს მონასტრული გალობის ტიპურ სახეს. მას შეიძლება ეწოდოს გალობა კარნახით, რადგან კანანარხის ფუნქციას შეადგენს მგალობლისათვის საგალობლის ტექსტის წინსწრებით კარნახი. კანანარხი წარმოთქვამს საგალობლის ტექსტის ფრაზებს თანმიმდევრობით და მონაცელებით ერთ ტონზე; ამასთან, ამ ტონის სიმაღლე ხშირად ემთხვევა საგალობლის ფუძე ტონს¹⁵. საგალობლის დაწყების წინ კანანარხი აცხადებს (წარმოთქმით) ხმას, რომელზეც იგალობება საგალობელი და საჭიროების შემთხვევაში, ასევე – წანამდღარს¹⁶ (მაგ., “პირველი, ზურისა განწესებულთა”, ან “შეოთხე, მხნეონი” და სხვა). ამ სახით, როგორც წესი, ის საგალობლები (ძირითადად დასდებლები) იგალობება, რომელთა ტექსტები ხმების მიხედვით იცვლება.

ზოგჯერ ადგილი აქვს ასეთ პრაქტიკასაც: გარკვეულ შემთხვევაში ორივე გუნდი თავს იყრიდა შუა ტაძრში და როგორც ერთი გუნდი (ან კანანარხის კარნახით) გალობდა საგალობელს. ამ დროს შეერთებული გუნდი დგებოდა ნახევარწრედ, პირით კანკელისაკენ, ხოლო კანანარხი დგებოდა ნახევარწრის ცენტრში, ზურგით კანკელისაკენ და პირით გუნდისაკენ.

კანანარხი უნდა განვასხვაოთ ე.წ. დამწყებისაგან. დამწყები იწყებს რომელიმე საგალობელს, ხოლო გუნდი, რაკი იცნობს საგალობლის მელოდიას, აჰევება მას და ასე აგრძელებს გალობას. დამწყები ტექსტს არ კარნახობს, არამედ, უბრალოდ, იწყებს საგალობელს და საცნაურს ხდის მას იქ მყოფთათვის.

5. ჰიმნური გალობის სახე

ამ სახით გალობისას გუნდი თავიდან ბოლომდე უწყვეტად გალობს საგალობელს. ასე სრულდება ძირითადად ის საგალობლები, რომელთა ტექსტები უცვლელია. მაგალითად, “რომელი ქერუბიმთა”, “ნათელო მხიარულო” და ა.შ.; ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგ. დღესასწაულებზე) - ცვალებადი ტექსტების მქონე საგალობლებიც. ამავე სახით სრულდება საგალობლები,

¹⁵ ზოგჯერ კანანარხის ტონი ემთხვევა სხვა რომელიმე გაბატონებულ ტონს, ხოლო იშვიათად, ძირითადად დიდ დღესასწაულებზე, მოძრაობს ამ ტონებზე.

¹⁶ რუსეთის მონასტრებში, როდესაც ღვთისმსახურებაში ორი გუნდი მონაწილეობდა, იყო ასეთი პრაქტიკაც, რომ კანანარხი დასდებლის წინამორბედ ფსალმუნის მუხლს წარმოთქმიდა ორ გუნდს შუა მდგომარე, ხოლო ამ დასდებელის ტექსტს უკვე კარნახობდა იმ გუნდს, რომელსაც უნდა ეგალობა ეს დასდებელი. საბერძნეთში და სხვა ეკლესიებში დასდებლის წინა ფსალმუნის მუხლს გუნდი გალობს.

რომლებიც მსახურებისას თან სდევნებ სხვადასხვა მსელელობებსა და მოქმედებებს. მაგალითად, ღვთისმშობლის დოგმატიკონები, საგალობლები, რომლის დროსაც ხდება ღვთისმსახურის საზეიმო შესვლა საკურთხეველში აღსავლის კარით, მღვდელმთავრის შემოსვა შუა ტაძარში ლიტურგიის წინ და ა.შ.

4.4. საგალობელთა სახეობები, მათი დასახელებები და ფორმები

საგალობელთა დასახელებები რამდენიმე ნიშნის მიხედვით განისაზღვრება. კერძოდ, საგალობლის დასახელება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული:

1. საგალობლის პოეტურ¹⁷ და მუსიკალურ ფორმებზე;
2. ღვთისმსახურების სისტემასა და მსახურების მყარ, უცვლელ განგებაში ამ საგალობლის ადგილზე;
3. საგალობლის შესრულების სახესა და ხერხებზე;
4. ასევე ამ საგალობლის შესრულებისას მგალობელთა და მლოცველთა განლაგებასა და მდგომარეობაზე (ფეხზე დგომა თუ ჯდომა).

შეიძლება მოხდეს, რომ ერთი და იგივე ტექსტი, იმისდა მიხედვით, თუ რა ადგილი უკავია მას მსახურების სქემაში, ერთ შემთხვევაში იწოდებოდეს ტროპარად, სხვა შემთხვევაში - წარდგომად და შეიძლება - ანტიფონადაც. ამასთან, ასეთი გადაადგილებისას მისი მუსიკალური ფორმა შეიძლება იცვლებოდეს ან უცვლელად რჩებოდეს. მაგალითად, მე-7 ხმის საგალობელი “ცხორება საფლავსა შინა მდებარე იყო” თომას კვირას იგალობება როგორც ტროპარი, ხოლო ყოველ მე-7 ხმის კვირას – როგორც წარდგომა შემდგომად ა სტიქოლოგიისა. ამასთან, პირველ შემთხვევაში მისი სახელწოდება დაკავშირებულია მისი შესრულების სახესა და ხერხთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – მის ადგილთან ღვთისმსახურების სქემაში. იგი ასევე დაკავშირებულია ტაძარში მყოფთა მდგომარეობასთან იმ თვალსაზრისით, რომ წარდგომების დროს, რომლებიც იგალობება სტიქოლოგიებისა და კანონის მესამე გალობის შემდგომ, ტაძარში მყოფთ შეუძლიათ დასხდომა. სხვა მაგალითია “შშუენიერმან იოსებ”, რომელიც არის ტროპარი, მაგრამ კვირაობით მეორე ხმის წარგომაცაა. მსგავსი მაგალითები გვხვდება სხვა ხმებშიც.

ახლა ჩამოვთვალოთ საღვთისმსახურო საგალობელთა ძირითადი სახეობები:

1. დასდებელი (τοῦ στιχερόν).

დასდებლები წარმოადგენენ ბიზანტიური პოეზიის სტროფებს. მათი შინაარსი და ზომა მრავალფეროვანია. ჩვეულებრივ, დასდებელი შედგება 8-12 სტრიქონ-ფრაზისაგან, რომლებიც ამავე დროს მელოდიურ ფრაზებსაც წარმოადგენენ.

¹⁷ საღვთისმსახურო ტექსტების უმრავლესობა ბიზანტიური პოეზიის ნიმუშებს წარმოადგენს.

ძირითადად დასდებელები ფსალმუნის მუხლებს შორის ისე ჩაერთვება, რომ ფსალმუნის მუხლი წინ უსწრებს მის შესაბამის დასდებელს. ანტიფონური გალობის დროს ფსალმუნის მუხლებს და მათ შესაბამის დასდებლებს გუნდები მონაცელებით ასრულებენ, ჩვეულებრივ, კანანარხთან ერთად. ხანდახან (ჭიპიკონის მითითებით) რომელიმე დასდებელი განმეორებით სრულდება (მაგ. 2-გზის), ამასთან, თუ ორი გუნდი გალობს, ასრულებს ჯერ ერთი გუნდი, ხოლო შემდგომ – მეორე. დასდებლის წინამორბედ ფსალმუნის მუხლებს ეწოდებათ დასდებლის **წინამღერი**. იმ შემთხვევაში, როდესაც ხმა იცვლება, კანანარხი ამ ცვლილებას დასდებლის წინამღერის წინ აცხადებს, რომლის შემდგომ წინამღერი და დასდებელი უკვე ახალ ხმაში იგალობება.

დასდებლები დავთისმსახურებაში შეადგენენ შემდეგ ხუთ ჯგუფს:

ა). დასდებლები, რომლებიც იგალობება მწუხრზე და მწუხრის ფსალმუნების (140, 141, 129 და 116) მუხლებს შორის ჩაერთვება. ამ ჯგუფს ეწოდება **“დადსდებელნი უფალო დაღად-ვყავსა ზედა”** (*στιχηρά εἰσ τὸ κύριε χάκεραξα*), ან უბრალოდ **“დაღადვყავი”**. მსახურების სადღესასწაულო-საზეიმო ხარისხების მიხედვით, დასდებელთა რაოდენობა განსხვავებულია. დიდ საზეიმო მსახურებაში მათი რაოდენობა, ჩვეულებრივ, ათია და ისინი 141-ე ფსალმუნის მეექვსე მუხლის შემდეგ ჩაერთვიან. სხვა სადღესასწაულო დღეებში დასდებელთა რაოდენობა, ჩვეულებრივ, 8-ს შეადგენს და 129-ე ფსალმუნის პირველი მუხლის შემდეგ ჩაერთვიან. ხოლო სადაგ დღეებსა და მცირე დღესასწაულებზე დასდებელთა რაოდენობა 6-ია და მათი ჩართვა 129-ე ფსალმუნის მე-3 მუხლის შემდგომ იწყება. დასასრულ, მცირე მწუხრზე 4 დასდებელი იგალობება, რომელთა ჩართვა 129-ე ფსალმუნის მე-5 მუხლიდან იწყება.

ბ). დასდებელთა მეორე ჯგუფი იგალობება მწუხრის მეორე ნახევარში, შესვლის შემდეგ, და ეწოდება **“დასდებელნი სტიქσαრωνსა ზედა”** (**“στιχηρὰ εἰσ τὰ στίχον”** ან **“στιχηρὰ ἀπὸ στιχούς”**), ან უბრალოდ **სტიქსარωνი**. ჩვეულებრივ, დადგენილია 4 დასდებლის გალობა. დასდებელთა ეს ჯგუფი იმით განსხვავდება **“დაღად-ვყავის”** დასდებელთაგან, რომ ისინი ფსალმუნის მუხლებს კი არ ჩაერთვიან, არამედ პირიქით - ფსალმუნის მუხლები ჩაერთვიან დასდებლებს შორის. ამასთან, თუკი პირველი ჯგუფის ფსალმუნები უცვლელია, მეორე ჯგუფის ფსალმუნები კვირის დღეებისა და დღესასწაულების მიხედვით იცვლება. ასევე, სადაგი დღეების ცისკრის მსახურებასაც აქვს დასდებელთა თავისი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება **“დასდებელნი აღვიგსენითსა ზედა”** (**“ἀπὸστιχα τῶν Αἰνων”**), ან უბრალოდ **“აღვიგსენითი”**¹⁸. ისინი 89-ე ფსალმუნის 14-17 მუხლებს შორის ჩაერთვება.

გ). შაბათ-კვირისა და სადღესასწაულო დღეების ცისკრის მსახურებაში გვხვდება დასდებელთა ჯგუფი, რომელთაც ეწოდებათ **“დასდებელნი აქებდითსა ზედა”** (**“στιχηρὰ εἰσ τοὺς Αἰνους”**), ან უბრალოდ

¹⁸ სადაგი დღის ამ დასდებლებს ბერძნულსა და რუსულში იგივე სახელწოდება აქვთ: **απὸστιχα** და მიერთება კი ეს, ქართულში კი – განსხვავებული: არა სტიქსარონი, არამედ აღვიგსენით.

"**აქებდითი**". საბერძნეთში ამ ჯგუფს ასევე უწოდებენ "**πασαπνοιάρια**", რაც მომდინარეობს სიტყვებიდან "**Πᾶσα πνοή αἰνεσάτο τὸν κύριον**", ანუ "**ყოველი სული აქებდით უფალსა**". ეს დასდებლები 148, 149 და 150 ფსალმუნთა ჯგუფის მუხლებს ჩაერთვიან. როდესაც განსაზღვრულია 6 დასდებელი, მაშინ ისინი ჩაერთვიან 149-ე ფსალმუნის მე-9 მუხლის შემდეგ. ხოლო როდესაც ტიპიკონით განსაზღვრულია 4 დასდებლის გალობა, მაშინ - 150-ე ფსალმუნის მე-2 მუხლის შემდგომ.

დ). "**დასდებელნი ლიტიასა ზედა**" (*στιχηρὰ εἰσ τὴν λιτήν*), ან უბრალოდ "**ლიტია**". ამ ჯგუფის დასდებლები ფსალმუნის მუხლების გარეშე იგალობება, მწუხრზე, ლიტიაზე, როდესაც გამოსვლა ხდება ტაძრის სტოაში (ან, თუ იგი არ არის, - ტაძრის დასავლეთ ნაწილში, ხოლო ზოგან, განსაკუთრებით მონასტრებში – ტაძრის გარეთ).

ე). განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენს "**მომიხსენენის დასდებლები**" (*μακαρισμόί*), რომლებიც, ლიტურგიაზე იგალობება, მესამე გამომსახველობით ანტიფონზე და ჩაერთვის სახარების ცხრა ნეტარების მუხლებს. კვირაობით ყოველი ხმისთვის გვაქვს 8-8 დასდებელი, სადაც დღეებში კი – 6-6.

ყველა დასახელებული ჯგუფის დასდებლების გალობა მთავრდება მცირე დიდებისმეტყველებით: "**დიდება . . . , აწ და . . . , ამინ!**", რის შემდეგაც იგალობება ჯგუფის ბოლო დასდებელი. როგორც წესი, ეს დიდებისმეტყველება განიყოფა ორ მუხლად: "**დიდება . . .**" და "**აწ და . . . , ამინ!**", და თითოეულის შემდეგ იგალობება დასდებელი. ამიტომ ამ დასდებლებს ეწოდებათ "**დასდებელი დიდება-აწდაზე**" (იმ შემთხვევაში, თუ დიდებისმეტყველება არ განიყოფა მუხლებად), ან "**დასდებელი დიდებაზე**" და "**დასდებელი აწდაზე**". ამ უკანასკნელს, ჩვეულებრივ, უწოდებენ "**ღმრთისმშობლისას**" (თეოტოკონს), რადგან აწდას შემდეგ ყოველთვის ღვთისმშობლის დასდებელი იგალობება.

დასახელებული ჯგუფების გარდა გვაქვს ასევე ცალკეული დასდებლები, რომელთაც ღვთისმსახურებაში გამორჩეული ადგილი უკავიათ და ამა თუ იმ ფსალმუნის ერთ-ერთი მუხლის შემდეგ იგალობებიან. ასეთია, მაგალითად, დასდებელი, რომელიც ცისკარზე, სახარებისა და 50-ე ფსალმუნის შემდგომ მცირე "**მიწყალეზე**" იგალობება. მას ეწოდება სახარების გერი.

გვაქვს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფი 11 დასდებლისა. ისინი თავიანთი შინაარსით უკავშირდებიან 11 საკვირაო სახარებას, რომლებიც იკითხება კვირის ცისკარზე და ამიტომ საცისკრო გერები ეწოდებათ. ეს დასდებლები ქმნიან "**ცისკრის დასდებელთა**" (*στιχηρὰ ἐωθινά*) 11 კვირიან ციკლს - ყოველი ამ დასდებელთაგანი იგალობება რვა ხმათაგან ერთ-ერთ ხმაზე შემდეგი მიმდევრობით: 1 – 2 – 3 – 4 – 5 – 6 – 7 – 8 და შემდგომ, მე-9, მე-10 და მე-11 გერი იგალობება კვლავ მე-5, მე-6 და მე-8 ხმებზე, რის შემდეგაც ციკლი ისევ თავიდან იწყება. ეს დასდებლები იგალობება აქებდითის "**დიდებაზე**". ზოგიერთ დღესასწაულზე, რომელსაც აქვს აქებდითის "**დიდების**"

საკუთარი დასდებელი, საცისკრო გერი პირველი უმნის წინ გადადის. საცისკრო გერები გამშვენებული, მდიდარი მელოდიებით იგალობებიან.

დასდებლები ძალზედ მნიშვნელოვან საღვთისმსახურო პიმნოგრაფიულ მასალას წარმოადგენენ. მათში გადმოცემულია დღის მსახურების მთავარი თემა, ან იმ წმინდანის დახასიათება და ცხოვრების ზოგიერთი შტრიხი, რომლის ხსენებაცაა მსახურებაზე. დასდებლები – ეს ის საგალობლებია, რომლებიც მსენელთა აზრებს მთავარ მიმართულებას აძლევენ. ისინი ძირითადად სილაბური ან სილაბურ-ნევმატური მელოდიებით იგალობებიან, ზოგჯერ – მელიზმატური ხასიათის ჩართვებით. დასდებელთა მელოდის აგების ხერხი მელოდის აგების დასდებლურ ხერხად იწოდება.

ბოლო დასდებელი, რომელიც იგალობება “დიდებაზე”, იწოდება “დიდებისად” (**“διξαστιχόν”**). ჩვეულებრივ, დიდ დღესასწაულებზე “დიდებისა” უფრო ფერადოვანი, გამშვენებული მელოდიით იგალობება, ვიდრე სადაგ დღეებსა და მცირე დღესასწაულებზე.

რაკი ბიზანტიურ გალობაში დასდებელთა ტექსტური შინაარსი ბუნებრივად ერწყმის საგალობლის მარტივ მელოდიას და ქმნის ერთ მთლიანობას, ამიტომ დასდებელთა ტექსტები უკეთ აღიქმება მსმენელის მიერ და მას გონებასა და მეხსიერებაში ებეჭდება.

2. ტროპარი (το‘ τροπάριον)

ტროპარი წარმოადგენს სტროფს, რომელშიც მსახურების მთავარი თემაა წარმოჩენილი. მსახურებაში განსხვავებული ხასიათის ტროპარები გვხვდება.

დღის ტროპარს, რომელიც მწუხრზე იგალობება, განსატევებელი (**ἀπολιτίκιον**) ეწოდება (იხ. მაგ., “პარაკლიტონი”, მესამე ხმის შაბათის მწუხრის ბოლოს, წერია – განსატევებელი, (რომელ-არს ტროპარი)), რადგან იგი უშუალოდ წინ უძღვის მწუხრის დასრულებას, განტევებას. თუმცა იგივე ტროპარი იგალობება ცისკარზეც და წირვაზეც. ბერძნულ წიგნებში იგი იმავე სახელით – განსატევებლით - იწოდება ცისკარშიც, უმნის თვენშიც და ა.შ.

განსატევებელი ტროპარი შინაარსობრივად დატვირთულია - მასში შეკრებილი და შეჯამებულია ყოველივე ის, რაც დღის სხვა საგალობლებში ითქვა. მაგალითისათვის მოვიყვანთ ღმრთის განცხადების (6 იანვარი) ტროპარს, რომელიც იგალობება პირველ ხმაზე:

“რაუამს ოორდანეს ნათელ-იღე შენ, უფალო,
მაშინ სამებისა თაყვანის-ცემა გამოჩნდა,
რამეთუ მამისა ხმა გეწამებოდა,
და საყვარელად ძედ სახელ გდვა შენ,
და სული წმიდა სახითა ტრედისა თა დაამტკიცებდა
სიტყვისა მის უცოომელობასა;
რომელი განსცხადენ, ქრისტე ღმერთო,

და სოფელი განანათლე, დიდება შენდა”.

როგორც აღვნიშნეთ, განსატევებელი ტროპარი დღის სხვადასხვა მსახურებაზე იგალობება (ან იკითხება), ხშირად ერთი მსახურების ფარგლებშიც მეორდება. მწუხრზე ის მსახურების დასასრულისკენ იგალობება, ცისკარზე – თავში (“ღმერთი უფალზე”) და ბოლოსკენ, დიდება მაღალიანის შემდგომ, ლიტურგიაზე – მცირე შესვლის შემდეგ, ხოლო დიდ სამეუფო დღესასწაულებზე მესამე ანტიფონის შემადგენელი ფსალმუნის მუხლებს შორის ჩაერთვის (იბრუნვის - “τρέπει”). ამ შემთხვევაში, დასდებლებისაგან განსხვავებით, ფსალმუნის ყოველი მუხლის შემდეგ ერთი და იგივე ტროპარი იგალობება.

ტროპარებს უწოდებენ ასევე კანონის (ცხრა გალობის) შემადგენელ სტროფებს. კანონის შესახებ შემდგომ ვისაუბრებთ. აქ კი აღვნიშნავთ, რომ კანონის თითოეულ ტროპარში არ არის შეჯამებული დღის თემა, არამედ ასახულია მისი ესა თუ ის მხარე. განსატევებელი ტროპარისაგან განსხვავებით კანონის ცალკეული ტროპარი ნაკლებ ტვალია და ნაკლებადაა შინაარსობრივად დატვირთული, მაგრამ ერთობლიობაში ისინი სრულყოფილად და მრავალფეროვნად აღწერენ დღის თემას.

სხვა შემთხვევაში, მაგალითად, კვირა დღის ცისკარზე ან მიცვალებულთა ხსენების დღეებში მეორდება ფსალმუნის ერთი და იგივე მუხლი (118-ე ფსალმუნის 12-ე მუხლი) და ამ მუხლის ყოველი განმეორების შემდეგ ახალი ტროპარი იგალობება. (ამიტომ ბერძნები ამ ტროპარებს, 118-ე ფსალმუნის 12-ე მუხლიდან გამომდინარე (“კურთხულ ხარ შენ, უფალი”), ევლოგიტარიას (*εύλογητάρια*) უწოდებენ.

ასევე შესაძლებელია, რომ ტროპარები იგალობებოდეს შუალედური მუხლების გარეშე, მიყოლებით. მაგალითად, ღმრთის განცხადების დღეს წყლის კურთხვისას ან მცირე წყლისკურთხევაზე. ამ შემთხვევაში ტროპარებსა და დასდებლებს შორის საზღვარი იშლება.

ერთი მსახურების განმავლობაში შესაძლებელია თავი მოიყაროს რამდენიმე ტროპარმა (წმინდანების რაოდენობიდან გამომდინარე). ტროპარების მუსიკალური ფორმა, ძირითადად, სილაბური სტრუქტურისაა, რომლის დამასრულებელი კადენცია რამდენადმე გამშვენებულია.

3. კანონი (σταύρων)

კანონად იწოდება ვრცელი საგალობელი, ლიტერატურული თვალსაზრისით – პოემა, რომელიც გარკვეული წესით შეერთებული სხვადასხვა საგალობლებისაგან შედგება. საგალობლის სახელწოდება – კანონი – გამოხატავს მისი აგებულების პრინციპს: სხვადასხვა თანაზომადი ნაწილების ერთ მთლიანობაში გაერთიანების სისწორესა და სიმწყობრეს. სრული კანონი ცხრა გალობისაგან (**Ωδή**) შედგება და ასახავს ზეციურ იერარქიასა და საგალობლებს. კანონის ყოველი გალობა 3-5 (იმვიათად მეტი) ტროპარისაგან

შედგება. პირველ ტროპარს ძლისპირი ეწოდება. მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და დატვირთვა აქვს, რის შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

კანონში იხსება ერთი რომელიმე თემა, აზრი; მაგალითად, ადიდებენ მაცხოვრის აღდგომას, ან უფლის პატიოსან ჯვარს, ან ღვთისმშობელს, ან რომელიმე წმინდანს და ა.შ. აქედან გამომდინარე, ყოველ კანონს აქვს თავისი განსაკუთრებული სახელი. მაგალითად, აღდგომის კანონი, ჯვრის კანონი, ღვთისმშობლის კანონი და ა.შ.

კანონი ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში საკმაოდ აღრეული პერიოდიდან გვხვდება, მაგრამ იმდროინდელი კანონები აერთიანებდნენ რამდენიმე ტროპარსა თუ დასდებელს და არ ჰქონდათ ძლისპირები, რის გამოც არ გააჩნდათ სიმწყობრე და მდგრადობა. წმ. ოოანე დამასკელმა კანონს საფუძვლად დაუდო ბიბლიური თემები (იხ. ქვემოთ), რომლებიც ღვთისმსახურებაში მანამდეც გამოიყენებოდა, და შეადგინა პირველი ძლისპირები, დაადგინა კანონის სტრუქტურა, მისი აგების წესი, პრაქტიკულად იმ სახით, როგორც ეს დღემდეა ეკლესიაში შემონახული, და დაწერა უმრავლესი დღესაწაულისათვის 64 კანონი.

ახლა გავეცნოთ კანონის აგებულებას. როგორც აღვნიშნეთ, კანონი შედგება ცხრა გალობისაგან, ხოლო ყოველი გალობა - 3, 4, 5, იშვიათად მეტი რაოდენობის სტროფისაგან – ტროპარებისაგან. პირველ ტროპარს ძლისპირი¹⁹ (*είρμος* – ირმოსი, “კავშირი”) ეწოდება. კანონის ძლისპირები ცხრა ბიბლიურ თემას უფრქნება:

“გალობა პირველი – თქუმული წინა სწარმეტყველისა მოსესი” (მოსეს გალობა, აღვლენილი უფლისადმი მეწამულ ზღვაში გასვლის გამო; გამოსლვათა, XV, 1-19);

“გალობა მეორე – მოსესი, მეორისა სჯულისა ” (მოსეს სამხილებელი საგალობელი, XXXII, 1-43);

“გალობა მესამე – ანასი, დედისა სამოელ წინა სწარმეტყველისა , უგალობს ბერწი ღმერთსა უცხო სა შობისათვის” (I მეფეთა , II, 1-10);

“გალობა მეოთხე – განხორციელებასა უფლისასა ღაღადებს ამბაკომ” (რომელმაც იწინასწარმეტყველა ქრისტეს მოსვლა; წინასწარმეტყველება ამბაკომისი, III, 1-19);

“გალობა მეხუთე – თქუმული წინა სწარმეტყველისა ისაია სი” (რომელმაც უგალობა ეკლესის დახსნას მტერთაგან; წინა სწარმეტყველება ისაია სი, XXVI, 9-19);

“გალობა მეექვსე – იონა წინა სწარმეტყველისა ” (რომელიც სიკვდილს ებრძოდა ვეშაპის მუცელში და მისი გალობა გამოსახავს ცოდვილის მდგომარეობას, რომლის სული აღივსო ბოროტებით; წინა სწარმეტყველება იონასი, II, 1-10);

¹⁹ ძალი – სიმი, ანუ ჰანგი; პირი – სახე; ე.ი. ძლისპირი – სახე, ანუ ნიმუში ჰანგისა, ანუ ნიმუში მელოდისა

“**გალობა მეშვიდე** – ლოცვა წმიდათა სამთა ყრმათა , რომელი დამშრეტელ ექმნა აღსა” (წინა სწარმეყტველება დანიელისი, III, 26-1/2-51);

“**გალობა მერვე** – გალობა წმიდათა სამთა ყრმათა , ყოველი დაბადებული მეუფესა აქებდით” (წინა სწარმეყტველება დანიელისი, III, 2/2 51-88);

“**გალობა მეცხრე** – წინა სწარმეყტველება ზაქარია სი, წინამორბედის მამისა ” (რომელსაც საფუძველად უდევს ლუკას სახარების ტექსტი – ლუკა, I, 63-79).

მერვე და მეცხრე გალობებს შორის ჩაერთვის “გალობა ღვთისმშობლისა , ქალწულებით მშობელი ჰმადლობს ძესა და ღმერთსა”. ამ საგალობელსაც საფუძვლად უდევს ლუკას სახარების ტექსტი – ლუკა, I, 46-55.

ძლისპირის მელოდია წარმოადგენს თარგს, ნიმუშს ამავე გალობის შემდგომი ტროპარებისათვის და ასრულებს მათოვის კავშირის ფუნქციას, - წარმოადგენს მათი სტრუქტურული აგებულების წესს; ანუ ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ კანონის თითოეულ გალობაში ძლისპირისა და მომდევნო ტროპარებს ერთნაირი მეტრული სტრუქტურა აქვთ; სტროფები ტოლი რაოდენობის სტრიქონებისაგან შედგება, ხოლო სტრიქონები – ტოლი რაოდენობის მარცვლებისაგან. მაგალითისათვის მოვიყვანთ სულთმოფენობის კანონის პირველ გალობას (ხმა ზ):

ძლისპირი:	1. <i>Πόντω</i>	2 მარცვალი
	2. <i>'Εχάλυψε φαραω' συ'ν ἄρμασιν</i>	11 მარცვალი
	3. <i>'Ο σιντρίβων πολέμους</i>	7 მარცვალი
	4. <i>'Ἐν ὑφηλῷ βραχίονι</i>	7 (8) მარცვალი
	5. <i>'Ἄσωμεν αὐτῷ</i>	5 მარცვალი
	6. <i>'Οτι δεδόξασται</i>	6 მარცვალი

ტროპარი 1:	1. <i>Ἐργω</i>	2 მარცვალი
	2. <i>'Ως πάλαι τοῖς ναθεταῖς ἐπηγγει'λω</i>	11 მარცვალი
	3. <i>To' Παράχλιτον Πεῦμα</i>	7 მარცვალი
	4. <i>'Εθαποστείλας Χριστε'</i>	7 მარცვალი
	5. <i>'Ἐλαμφας το' φῶς</i>	5 მარცვალი
	6. <i>Kόσμω φιλάνθρωπε</i>	6 მარცვალი

ტროპარი 2:	1. <i>Noμω</i>	2 მარცვალი
	2. <i>To' πα'λαι προκηρυχθε'ν και' προφήταις</i>	11 მარცვალი
	3. <i>'Ἐπληρώθη τοῦ θεῖου</i>	7 მარცვალი
	4. <i>Πνεύματος σήμερον</i>	6 მარცვალი
	5. <i>Πᾶσι γα'ρ πιστοῖς</i>	5 მარცვალი
	6. <i>Xάρις ἐκκέχυται</i>	6 მარცვალი

როგორც მოყვანილი მაგალითიდან ჩანს, გალობის ყოველი ტროპარი იმავე ზომისაა, რაც ძლისპირი და მისი ყოველი სტრიქონი ძირითადად იმავე რაოდენობის მარცვლებს შეიცავს, რამდენსაც ძლისპირის შესაბამისი სტრიქონები (გეხვდება მცირედი განსხვავებები). ამასთანავე, მოყვანილ მაგალითში ტროპარებში მახვილთა მონაცვლეობაც მიახლოებულია ძლისპირის მახვილთა განლაგებასთან, რის შედეგადაც ტროპარები რიტმულადაც მიმსგავსებულია ძლისპირს. ყოველივე ეს კი უზრუნველყოფს ტროპარების მელოდიურ მიახლოება-მიმსგავსებას ძლისპირთან. ამ პრინციპითაა აგებული ორიგინალში (ბერძნულში) კანონები, რომლებიც შეადგენენ ღვთისმსახურების ერთ-ერთ მნიშვნელოვან, ცენტრალურ ნაწილს.

კანონის ამ პრინციპით აგება საშუალებას იძლევა ძლისპირის, როგორც ტექსტურ-მელოდიური თარგის მიხედვით, ვიგალობოთ მომდევნო ტროპარები. ამიტომ ძლისპირები, როგორც ნიმუშები, სათვითხმოვნოები, მგალობელთათვის შესწავლის ერთ-ერთ ძირითად საგანს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ მათ მელოდიებზე, როგორც თვითსამსგავსოებზე, იგალობება საგალობელთა დიდი რაოდენობა (და არა მარტო კანონის ტროპარები). ამაზე მიგვითითებენ საღვთისმსახურო წიგნები, რომლებშიც მსგავსების წანამძღვარები (პროლოგები) აღნიშნავენ ამა თუ იმ ძლისპირის მელოდიას.

აღსანიშნავია, რომ კანონის გალობისას, როგორც წესი, მეორე გალობა არ იგალობება. ბიბლური გალობა, რომელიც საფუძვლად დაედო მეორე გალობის ძლისპირს, თავისი შინაარსით - “მეორე სჯულის” ტექსტიდან გამომდინარე - საკმაოდ მძიმე, მამხილებელი და მრისხანეა. ამიტომ იგი არ იკითხება. საგარაულოა, რომ იგივე ტრადიცია გავრცელდა კანონზეც და ცხრა გალობიდან მეორე გალობა, ხშირ შემთხვევაში, არ იგალობება. სრული კანონი, მეორე გალობის ჩათვლით, იგალობება ყველიერის შაბათს და აღდგომიდან მე-7 შაბათს (სულთმოფენობის წინა შაბათს), ასევე, ანდრია კრიტელის დიდ, სინანულის კანონში.

სრული კანონების გარდა (მეორე გალობასთან ერთად, ან მის გარეშე) ზოგჯერ იგალობება არასრული კანონებიც: ორსაგალობელი (მეტეორი), რომელიც შედგება მხოლოდ ორი - მე-8 და მე-9 გალობისაგან, მაგ.: - ვნების შვიდეულში; სამსაგალობელი (თრიტეორი), იგალობება დიდმარხვაში ორშაბთიდან პარასკევის ჩათვლით, - იგი სამი გალობისაგან შედგება, მათგან ორი იგივე მე-8 და მე-9 გალობებია, ხოლო ერთი კვირის დღეების მიხედვით იცვლება: ორშაბათს - პირველი, სამშაბათს - მე-2, ოთხშაბათს - მე-3, ხუთშაბათს - მე-4, პარასკევს - მე-5, ხოლო შაბათს - მე-6 და მე-7 გალობა, ანუ დიდმარხვაში შაბათობით იგალობება ოთხსაგალობელი (თეთრაშეორი). ეს ნაწილობრივი კანონები იგალობება ცისკრის მსახურებაზე უმცირესებთან ერთად (მაგალითად, უმნის სრულ 9 გალობას ჩაერთვის ორი სამსაგალობელი), რაც იმ თავისებურებით ხასიათდება, რომ გალობისას ადგილი აქვს ხშირ მოდულაციებს - გადასვლებს ერთი ხმიდან მეორე ხმაზე, რაც საცისკრო გალობის ამ ნაწილში ქმნის საკმაოდ მრავალფეროვან მუსიკალურ კომპოზიციას.

მოდულაციების არსებობა იმით არის გამოწვეული, რომ ნაწილობრივი კანონის ხმა განსხვავდება სრული კანონის ხმისგან (იშვიათია ხმების დამთხვევები).

საცისკრო კანონი დაყოფილია სამ ჯგუფად, რომლებიც ერთმანეთისაგან იყოფა მცირე კვერექსებით, ასევე ზოგიერთი მოკლე საგალობლით (როგორიცაა წარდგომა, იპაკო, კონდაკი და იკოსი). დაჯგუფება ასეთია: I ჯგუფი: პირველი (მე-2, როგორც წესი, არა გვაქვს) და მე-3 გალობები; II ჯგუფი: მე-4, მე-5 და მე-6 გალობები; III ჯგუფი: მე-7, მე-8 და მე-9 გალობები, ამასთან, მე-9 გალობის წინ, უმრავლეს შემთხვევაში, იგალობება ღვთისმშობლის საგალობელი “**ძიღვებს სული ჩემი უფალსა**”, “**უპატიოსნესსა ქერუბიმთასა**” - მისამლერთან ერთად. ათორმეტთაგან დღესასწაულებზე ამ ადგილას იგალობება სხვა საგალობელი.

დღესასწაულის ხარისხის მიხედვით, კანონის ზოგიერთი ან ყოველი გალობა დასრულდება განსაკუთრებული ძლისპირით – დასაფარებით (ეწ. კატავასიით). ზოგჯერ კატავასიად აღებულია დღის კანონის რომელიმე ძლისპირი, მაგრამ ხშირად დაეფარება სხვა კანონის ძლისპირი არა იმ კანონიდან, რომელიც შედის დღის კანონთა კომბინაციაში, არამედ სულ სხვა, საღვთისმსახურო წიგნებით განსაზღვრული კანონიდან. კატავასია, სადაც ეს შესაძლებელია, ორივე გუნდის მიერ შეუძლია სრულდება.

როგორც აღვნიშნეთ, საცისკრო მსახურების დროს, იმისდა მიხედვით, თუ რა დღესასწაული აღესრულება იმ დღეს და რამდენი წმინდანის ხსენებაა, შესაძლოა თავი მოყაროს რამდენიმე კანონმა. მაგალითად, რომელიმე კვირა დღეს შეიძლება ტიპიკონით ასეთი კომბინაცია იყოს განსაზღვრული: კვირის კანონი მდგომარე ხმაში ღვთისმშობლის კანონთან ერთად და ერთი ან ორი წმინდანის კანონი. ამ შემთხვევაში ჯერ იგალობება ყველა კანონის პირველი გალობები, შემდეგ – იმავე წესით მომდევნო გალობები. კანონთა კომბინაციები დიდმარხვის შვიდეულებში შედარებით რთულია.

თავდაპირველად კანონის ძლისპირები და ტროპრები სრულდებოდა შესაბამისი ბიბლიური გალობების მუხლებთან ერთად, მონაცელეობით²⁰. ზოგიერთ მონასტერში დღესაც ასე სრულდება კანონები. სამრევლო ტაძრებში კი ეს ტრადიცია მხოლოდ დიდმარხვაში შემორჩა. დღევანდვლი პრაქტიკით, კანონის გალობის ყოველ ტროპარს წინ უძღვის ჩასართავი (ეპიფონი - წინამდერი), რომელიც შეესაბამება სადაგი დღის ან დღესასწაულის თემას (მაგ., “**დიღება ჰატიოსანსა ჯუარსა შენსა, უფალო**”, ან “**ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო გვაცხოვნენ ჩუებ**”²¹, ან “**წმიდაო მღვდელმთავარო ნიკოლაოს ევედრე ღმერთსა ჩუენთვის**” და ა.შ.). ბოლო ორი ტროპარის წინ იგალობება, შესაბამისად, “**დიღება**” და “**აწდა**”.

ძლისპირთა მნიშვნელობიდან გამომდინარე, ისინი მოთავსებულია კრებულში, რომელსაც ბერძნულად ირმოლოგიონი (*Eίρμολόγιον*) ეწოდება.

²⁰ ამ ბიბლიურ მუხლებს უმცირესებს უწოდებენ. უნდა დავაზუსტოთ, რომ უმცირესი ეწოდება ამ ბიბლიური მუხლებიდან პირველ მცირე მუხლს.

²¹ ბერძნები გალობენ: “წმიდაო ღმრთისაო, ევედრე ჩვენთვის”

საქართველოში ხელნაწერების სახით დაცულია ძლისპირთა რამდენიმე უძველესი კრებული, მათ შორის – ნევმირებულიც: ისინი, ძირითადად, ბერძნულიდან თარგმნილ ძლისპირებს, ასევე ორიგინალურ ქართულ საგალობლებს მოიცავს და წარმოადგენს ბიზანტიური საგალობლების კრებულებს. ამ პერიოდის ორიგინალური ქართული საგალობლები, საეკლესიო კანონიკის დაცვით, დამასკელისეული რვახმათას კილო-მელოდიების შესაბამისად იქმნებოდა.

ბერძნულ ირმოლოგიონსა და ქართულ ძლისპირები ძლისპირები გაწყობილია (დამასკელისეული) ხმებისა და გალობების მიხედვით. ხმების აღნიშვნა როგორც ბერძნულ, ისე ქართულ კრებულებში მსგავსია:

ბერძნული	ქართული
'Ηχος α'	მა ა
„ β’	„ ბ
„ γ’	„ გ
„ δ’	„ ღ
'Ηχος πλ. α'	მა ა გ ~ ი (გუერდითი)
„ πλ. β’	„ ბ გ ~ ი
„ πλ. γ’	„ გ გ ~ ი
„ πλ. δ’	„ ღ გ ~ ი

გალობების ქართული სახელწოდებებისათვის აღებულია იმ ბიბლიურ გალობათა დასაწყისი სიტყვები, რომლებიც საფუძვლად დაედო კანონის გალობებს და რომლებზეც ზემოთ ვისაუბრეთ. გალობათა აღნიშვნა ბერძნულ და ქართულ ძლისპირთა კრებულებში განსხვავებულია:

ბერძნული	ქართული
'Ωδη' Α'	უგალობდითსა
„ Β’	მოიხილესა
„ Γ’	განძლიერდასა
„ Δ’	უფალო მესმასა
„ Τ’	ღამითგანსა
„ ζ’	ღალადვყავსა
„ Ζ’	კურთხეულარსა
„ Η’	აკურთხევდითსა
„ Θ’	ადიდებდითსა

ირმოლოგიონების სტრუქტურა, ანუ მათში ძლისპირების წყობა, სხვადასხვა კრებულში (ბერძნულში, სლავურში, ქართულში) განსხვავებულია. ბერძნულმა ხელნაწერებმა შემოგვინახა ირმოლოგიონთა ორი ტიპის კრებული. პირველში ძლისპირები ყოველი ხმის ფარგლებში ოდებად (გალობებად) არის დაჯგუფებული. ამ ტიპის ირმოლოგიონებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში

მიღებულია OdO (Odes Order) აღნიშვნა. მეორეში ძლისპირები ხმის ფარგლებში ცალკეულ ძლისპირთა კანონების (აკოლუთიების) სახით არის შესული, ოდებად დაშლის გარეშე. ამ ტიპის ირმოლოგიონიებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია KaO (Kanons Order)²² აღნიშვნა. KaO ითვლება ირმოლოგიონის უფრო ადრეულ სახედ, ხოლო OdO წარმოადგენს ოდებად გაწყობილ KaO ირმოლოგიონს.

ქართულ ძლისპირთა უძველეს (X ს.) ხელნაწერებში გვხვდება როგორც OdO, ისე KaO ტიპის კრებულები. X საუკუნის II ნახევრის იადგარებში მონოპოლია მოუპოვებია OdO ძლისპირთა კრებულს, რომელსაც ხმარებიდან განუდევნია KaO ძლისპირი. KaO ძლისპირის უნიკალური ნუსხა შემოგვინახა X საუკუნის საბაწმინდურმა ხელნაწერმა Sin 34-მა.

4. კონდაკი (*το' κοντάκιον*) და მასთან დაკავშირებული იკოსი (იტაი)

არსებითად, კონდაკად იწოდება მთელი პოემა, რომელიც კანონის მსგავსად ბიბლიურ გალობებზე არ არის დამყარებული. იგი კიდევ უფრო ავითარებს დღის თემას, დღესასწაულისა თუ მოსახსენებელი წმინდანის თემაზიკას. თავდაპირველი სახით ეს პოემა ძირითადად შედგებოდა დიდი რაოდენობის (24-მდე) მეტრულად თანაბარი ზომის სტროფებისაგან – იკოსებისაგან, რომლებიც ერთი და იმავე სიტყვებით – მინამდერით მთავრდებოდა. პოემას იწყებდა ერთი სტროფი, რომელიც მეტრულად განსხვავდებოდა იკოსებისაგან, მაგრამ მთავრდებოდა იმავე სიტყვებით, როგორითაც იკოსები. ამ შესავალ სტროფს ეწოდებოდა “კუკულიონი” (ან “პროიმიონი”). ამ სტროფში მოკლედ გადმოიცემოდა მთელი პოემის მთავარი თემა და იდეა, ხოლო შემდგომი იკოსები ავითარებდნენ ამ თემას, ხანდახან დიალოგის ფორმითაც კი. კუკულიონი და იკოსები ერთსა და იმავე ხმაში იგალობებოდა. დროითა განმავლობაში კონდაკის (ანუ მთლიანი პოემა-საგალობლის) გამოყენება ღვთისმსახურებაში იმგვარად შეიკვეცა, რომ მთელი პოემიდან დარჩა მხოლოდ კუკულიონი და პირველი იკოსი; ამასთან მთელი პოემის სახელწოდება – კონდაკი – მიეწერა ამ კუკულიონს, იკოსება კი თავისი სახელწოდება შეინარჩუნა.

დღეისთვის იშვიათია შემთხვევა, რომ კონდაკს ერთზე მეტი იკოსი მოჰყვებოდეს. ასე მაგალითად, ყველიერის კვირის კონდაკს, რომლის მთავარი თემაა ადამის განდევნა სამოთხიდან, გარდა კუკულიონისა (რომელსაც ახლა კონდაკი ეწოდება), აქვს ოთხი იკოსი, რომლებსაც ამჟამინდელ საღვთისმსახურო წიგნებში ეწოდება (ერთი) იკოსი. სრული კონდაკი (კუკულიონი და 24 იკოსი) შენარჩუნებულია ღვთისმსახურთა წესის აგებაში, ხოლო ჩვილთა წესის აგებაში გვაქვს კუკულიონი და ოთხი იკოსი, რომლებიც კურთხევანში ახლა ერთ იკოსად აღინიშნება.

²²Eerwin Koschmieder, “Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente”, Zweite Lieferung, Munchen, 1955, გვ.69

კონდაკის ზომის ასეთი შეკვეცა განაპირობა ღვთისმსახურებაში კანონის გამოყენების პრაქტიკის გაფართოებამ, რამაც უკვე IX-X საუკუნეებში კონდაკისთვის დატოვა ის ზომა, რაზეც ზემოთ ვისაუბრეთ, ხოლო მის შესრულებას ადგილი მიუჩინა კანონის მე-6 გალობის შემდეგ.

კონდაკები (საკუთრივ მათი შესავალი სტროფები – კუკულიონები) შეკრებილია საგანგებო სამგალობლო კრებულებში, რომლებიც კონდაკიონებად იწოდება. ძველი წყაროები გვიჩვენებენ, რომ მუსიკალურ-მელოდიური თვალსაზრისით კონდაკთა მელოდიები წარმოადგენდნენ მელიზმატურად განვითარებულ მელოდიებს, რომელთა შესრულებაც დიდ ხელოვნებას მოითხოვდა. კონდაკები დასდებლებისაგან და კანონებისაგან განსხვავებული მანერით იგალობებოდა; მათ ახასიათებდათ მრავალფეროვანი დინამიური და ტექნიკური ნიუანსები. ამიტომ ამ სახის გალობას “კონდაკარული გალობა” ეწოდა.

კონდაკთა შემქმნელთა შორის ყველაზე ცნობილი და გამორჩეულია რომანოზ ტკბილადმგალობელი, დიაკონი, რომელმაც შექმნა 1000-მდე კონდაკი, მათ შორის - შობის კონდაკი “ქალწული დღეს”, “ულო ჩემო”, მიძინების კონდაკი - “მეოხებათა შინა” და ა.შ.

5. დაუჯდომელი (აკათისტო, 0^o ორაზე მუნიკ – დაუჯდომელი გალობა)

არსებითად დაუჯდომელი სრულ კონდაკს წარმოადგენს და კუკულიონისაგან და 24 ერთმანეთთან მონაცვლე მომცრო და უფრო დიდი ზომის სტროფებისაგან შედგება. მომცროებს უწოდებენ “კონდაკებს” და უცვლელად მთავრდება სიტყვით “ალილუა”, ხოლო მოზრდილებს, რომლებიც იმავე სიტყვებით მთავრდება, რომლითაც კუკულიონი, უწოდებენ იკოსებს. ისინი ისე არიან განლაგებულნი, რომ კონდაკი და იკოსი მონაცვლეობით მისდევენ ერთმანეთს. სახელწოდება “აკათისტო” მომდინარეობს საგალობლის არა მუსიკალური ან ლიტერატურული მხრიდან, არამედ იმ მდგომარეობიდან, რომელშიაც მსმენელები იმყოფებიან: აკათისტოს შესრულების დროს დაჯდომა არ შეიძლება (როგორც ეს დაშვებულია, მაგალითად, წარდგომების გალობისას), ყველა ფეხზე უნდა იდგეს.

აკათისტოს როცა ვამბობთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ღვთისმშობლის აკათისტო – ღვთისმშობლის დაუჯდომელი, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ ბეჭედ და ნამდვილ (ორიგინალურ) აკათისტოს, ყველა სხვა მრავალი აკათისტო გვიანდელი წარმომავლობისაა და ნამდვილი აკათისტოს მიბაძვას წარმოადგენს. ღვთისმშობლის დაუჯდომელი შეიქმნა მე-7 საუკუნეში კონსტანტინოპოლის მტერთაგან დახსნასთან დაკავშირებით (626 წ.). დაუჯდომელის თემას გვამცნობს პირველი კონდაკი: “ზესთა-მბრძოლისა ჩემისათვის . . .” დაუჯდომელის პირველი ნახევარი ისტორიული ხასიათისაა, ხოლო მეორე ნახევარი – დოგმატური ხასიათის.

²³ ორაზე – დაჯდომა, α – უარყოფის ნაწილაკი

ტიპიკონით აკათისტო დიდმარხვის მე-5 შვიდეულის შპათს სრულდება. ამასთან, იგი ოთხ ნაწილად იყოფა, ყოველი მათგანი შეიცავს სამ კონდაკსა და სამ იკოსს და იწყება და მთავრდება კუკულიონით. ეს ნაწილები სრულდება: ა) ფსალმუნთა პირველი სტიქოლოგიის (კათიზმის²⁴) შემდეგ, ბ) ფსალმუნთა მეორე სტიქოლოგიის შემდეგ, გ) კანონის მე-3 გალობის შემდეგ და დ) კანონის მე-6 გალობის შემდეგ.

6. იპაკო (ύπακος)

იპაკო ტროპარული ხასიათის სტროფს წარმოადგენს. იგი სრულდება კვირის შუაღამიანზე კანონის შემდეგ, კვირის ცისკარზე აღსავლების წინ და ზოგიერთ დღესასწაულზე კანონის მე-3 გალობის შემდგომ (წარდგომის ნაცვლად). იპაკოს გალობის დროს დაჯდომა არ არის ნებადართული. იპაკოები თავდაპირველი სახით წარმოადგენდნენ კონდაკარული ტიპის მელოდიებს, ანუ განვითარებული მელიზმატური ხასიათის მელოდიებს, მაგრამ მოგვიანებით პრაქტიკაში შემოვიდა მათი კითხვა და იპაკოს, როგორც საგალობლის როლი შემცირდა.

7. აღსავალი (ანტიფონი - το' ἀντέφωνον)

საეკლესიო გადმოცემის თანახმად, წმ. ეგნატე ღმერთშემოსილმა ანგელოზები იხილა, რომლებიც წმიდა სამებას მონაცელეობით უგალობდნენ, რის შემდეგაც ანტიფონის ეკლესიაში მან ანტიფონური გალობა დაადგინა. აღსავლები (ანტიფონური საგალობლები) ეწოდება იმ საგალობლებს, რომლებიც აუცილებლად ორივე კლიროსზე იგალობება, ანუ ორი გუნდის მიერ მონაცელეობით, მიმოვდებით. გვაქვს რამდენიმე სახის აღსავალი:

- 1) ლიტურგიაში აღსავლები ეწოდება იმ ფსალმუნებს, რომლებიც იგალობება წირვის დასაწყისში დიდი კვერექსის შემდეგ. თავის მხრივ, ისინი განსხვავებულ დღეებში განსხვავებული არიან:
 - a) დიდ, სამეუფო დღესასწაულებზე იგალობება სხვადასხვა ფსალმუნის მუხლები, ამასთან:
 - პირველ აღსავალში ფსალმუნის მუხლებს შორის ჩაერთვის: “**მეოხებითა ღუთისმშობელისა თა, მაცხოვარ, გვაცხოვნენ ჩუენ**”. დამასრულებელ მუხლად იგალობება “**დოდება . . . აწდა . . .** და კვლავ ჩასართავი;
 - მეორე აღსავალში ფსალმუნის მუხლებს შორის ჩაერთვის: “**გვაცხოვნენ ჩვენ, ძეო ღუთისათ**”, ამ სიტყვებს შემდეგ მოსდევს დღესასწაულის სიტყვები (მაგ., პასექის დღესასწაულზე - **“აღვომილო მკუდრეთით”**, შობის დღესასწაულზე - **“შობილო**

²⁴ კათიზმა (ბერძნული ჯამი - დან, ითარგმნება - “დაჯდომა”). ასე იწოდება ფსალმუნთა კითხვა მსახურებაზე, რომლის დროსაც მსმენელებს ნება ეძღვათ, დასხდნენ.

- ქალწულისაგან”**) და დასასრულ: “**მგალობელი შენი, ალიღუია”**, ბოლოს წინა მუხლად იგალობება “**დიდება**”, ხოლო ბოლო მუხლად - “**აწდა**”, რომელსაც მოჰყვება “**მხოლოდშობილო ძეო**”; • მესამე აღსავალში მუხლებს შორის ჩაერთვის დღესასწაულის ტროპარი.
- ბ) კვირა დღეებში და სხვა დღესასწაულებზეც იგალობება აღსავლები. ამასთან, პირველი ორი აღსავალი 102-ე და 145-ე ფსალმუნის მუხლებისაგან შედგება. მათ ეწოდებათ გამომსახველობითი ანტიფონები; ხოლო მესამე აღსავლად იგალობება მომიხსენენი, რომლის მუხლებს ჩაერთვის ან საგანგებო დასდებლები ან დღესასწაულის კანონის მე-3 და მე-6 (შესაძლოა სხვაც) გალობის ტროპარები.
- გ) სადაც დღეებში ასევე იგალობება სამი აღსავალი, რომელიც შედგება მე-9, 92-ე და 94-ე ფსალმუნის მუხლებისაგან.
- 2) აღსავალად იწოდება ასევე ფსალმუნთა პირველი კანონის სამი “**დიდება**”, რომელიც იგალობება შაბათს მწუხრზე და დღესასწაულებზე.
- 3) აღსავლი ეწოდება სამ ტროპარული ხასიათის სტროფს, რომელიც იგალობება კვირის ცისკარზე სახარების წინ, ორივე გუნდის მიერ მონაცემლებით; ამასთან, ერთი გუნდის მიერ შესრულებულ ყოველ სტროფს აუცილებლად იმეორებს მეორე გუნდი (შეგახსენებთ, რომ გალობას ყოველთვის იწყებს მარჯვენა გუნდი). ყოველ ხმაში გვაქვს სამი ასეთი აღსავალი და ყოველი მათგანი სამი სტროფისაგან შედგება. მაგრამ მე-8 ხმაში გვაქვს არა სამი, არამედ ოთხი აღსავალი. ისინი შეადგინა წმ. იოანე დამასკელმა და ეწოდება **ხარისხის აღსავლები (აναβαθμი)**: თავისი შინაარისთ ისინი ემყარებიან 119-133 ფსალმუნებს, რომლებსაც ებრაელებთან ეწოდებოდა ხარისხის საგალოობლები. იმ დღესასწაულებზე, რომელთათვისაც ცისკარში დადგენილია სახარების წაკითხვა, ყოველთვის იგალობება მე-4 ხმის პირველი აღსავალი: “**სიყრმით ჩემითვან**”.

8. წარგომა (*το‘ προχείμενον*)

თავდაპირველად წარდგომა წარმოადგენდა ფსალმუნის ნაწილს (იშვიათად მთელ ფსალმუნს), ამჟამად კი – ფსალმუნიდან მხოლოდ ერთ ან ორ მუხლს. წარდგომა უშუალოდ წინ უსწრებს სახარების კითხვას და ანტიფონურ-რესპონსორული სახით სრულდება. მკითხველი (ტიპიკონის თანახმად – კანანარხი) აცხადებს ხმას და წარმოთქვამს ფსალმუნის მუხლს, რომელიც უნდა გაიმეოროს გუნდმა - მგალობლები ამ მუხლს გალობენ. გალობის შემდეგ მკითხველი წარმოთქვამს ფსალმუნის შემდეგ მუხლს, რაზეც მგალობლები (თუ არსებობს საშუალება – მეორე გუნდი) უპასუხებენ კვლავ პირველი მუხლის გალობით. დასასრულ მკითხველი წარმოთქვამს განმეორებადი მუხლის პირველ ნახევარს - ამით მგალობლებსა და მსმენელებს მიანიშნებს, რომ წარდგომა მთავრდება - რაზეც მგალობლები უპასუხებენ მუხლის დარჩენილი

მეორე ნახევრის გალობით²⁵. წარდგომის კითხვის დროს მკითხველი ყოველთვის დგას შუა ტაძარში (სახელწოდებაც აქედანაა წარმომდგარი – მკითხველი წინ წარდგება, რათა თქვას წარდგომის მუხლები), ხოლო მგალობლები – თავთავიანთ ადგილებზე.

არსებობს წარდგომის ორი განსხვავებული სახე:

- ა) ჩვეულებრივი წარდგომა, როდესაც ერთი განმეორებადი მუხლი სამჯერ იგალობება, ხოლო მკითხველი განმეორებად მუხლს შორის კითხულობს ერთ განსხვავებულ მუხლს;
 - ბ) დიდი წარდგომა, რომელიც შედგება ოთხი მუხლისაგან, რომელთა შორის მეორდება ერთი მუხლი. ეს წარდგომაც, ისევე როგორც ჩვეულებრივი წარდგომა, მკითხველისა და მგალობლების მიერ განმეორებადი მუხლის გაყოფილი წაკითხვა-გალობით მთავრდება. დიდი წარდგომები სრულდება შაბათს მწუხრზე (“უფალი სუფევს”) და ათორმეტთაგან საუფლო დღესასწაულების შემდგომ მწუხრებზე.
- ლიტურგიის წარდგომების ტექსტები შეეხება დღის (დღესასწაულის) მთავარ თემას. მაგალითად, სულთმოფენის დღესასწაულის წარდგომის ტექსტად აღებულია მე-18 ფსალმუნის მე-4 მუხლის პირველი ნახევარი:

**ყოველსა ქუეყანასა განხდა ხმა მათი
და კიდეთა სოფლისათა სიტყუანი მათნი**

ხოლო შუალედური მუხლისათვის აღებულია იმავე ფსალმუნის მე-2 სტროფი:

**დღე დღესა აუწყებს სიტყუასა
და ღამე ღამესა მიუთხრობს მეცნიერებასა.**

წარდგომათა მელოდიები, ჩვეულებრივ, არის მოკლე, სილაბურ-ნევმატური აგებულების.

ლიტურგიის გარდა წარდგომები დადგენილია მწუხრზეც (დღის წარდგომები) და ცისკარზეც. შვიდეულის ყოველ დღეს აქვს თავისი უცვლელი სამწუხრო წარდგომა. ცისკარზე კი წარდგომები დადგენილია იმ შემთხვევისთვის, როდესაც იკითხება სახარება. ისინი ხმებისა და დღესასწაულების მიხედვით იცვლებიან.

²⁵ დღესდღეობით, როდესაც სახეზეა ორი გუნდი, წარდგომა ასე იგალობება: კანარხი აცხადებს ხმას და წარდგომის პირველ ორ სამ სიტყყას (მაგ.: “მეექსე, უფალი სუფევს”); ა გუნდი გალობს წარგომის მუხლს; ბ გუნდი იმეორებს ამ მუხლს; კანარხი კითხულობს წარდგომის მეორე მუხლს მთლიანად; ა გუნდი გალობს წარდგომის პირველ ნახევარს, ბ გუნდი – წარდგომის მეორე ნახევარს, თუ წარდგომას ორზე მეტი მუხლი აქვს, როგორც “უფალი სუფევს”-ს ან დიდ წარდგომებს, მაშინ კანარხი აგრძელებს შემდეგ მუხლებს და გუნდებიც მონაცვლეობით იმეორებს პირველ მუხლს, ხოლო, როდესაც კანარხი იტყვის ბოლო მუხლს, მაშინ ა გუნდი გალობს პირველ ნახევარს, ბ გუნდი კი – მეორეს.

9. ალილუიარი²⁶.

იგი წარმოადგენს “ალილუიასა” და ფსალმუნის 1-2 მუხლის მონაცემებით გალობას. როგორც წესი, “ალილუია” 3-ჯერ იგალობება. თითოეულ მათგანს მოჰყვება ფსალმუნის შუალედური მუხლი. ეს შუალედური მუხლები თავიანთი შინაარსით დღის მთავარ მოვლენას უკავშირდებიან. საღმრთო ლიტურგიაზე ალილუიარი წინ უსწრებს სახარების კითხვას. უნდა ვიცოდეთ, რომ “ალილუიას” გალობა სამოციქულოს დამამთავრებელ გალობას კი არ წარმოადგენს, არამედ იგი შემდგომი სახარების წარდგომაა. ლიტურგიული ალილუიარი წარმოითქმის და იგალობება ზუსტად ისევე, როგორც წარდგომა: მკითხველი აცხადებს ხმას, რომელზეც უნდა იგალობებოდეს “ალილუია”, მგალობელთა (თუ ორი გუნდია – პირველი) გუნდი გალობს “ალილუიას”; მკითხველი კითხულობს ფსალმუნის დადგენილ მუხლს, მგალობელთა (თუ ორია – მეორე) გუნდი ისევ გალობს “ალილუიას”; მკითხველი კითხულობს შემდეგ მუხლს ფსალმუნიდან, რაზეც მგალობელთა (თუ ორი გუნდია – პირველი) გუნდი კვლავ უპასუხებს “ალილუიას”. მაგალითად, უფლის ამაღლების დღესასწაულის ლიტურგიაზე ალილუიარისთვის აღებულია 46-ე ფსალმუნის მე-5 მუხლი:

**ამაღლდა ღმერთი ღაღადებითა
და უფალი ხმითა საყვირისა თა.**

ხოლო შუალედური მუხლისათვის აღებულია იმავე ფსალმუნის პირველი მუხლი:

**ყოველთა წარმართთა აღიტყუელენით ხელნი თქუენნი,
ღაღადებდით ღმრთისა მიმართ ხმითა სიხარულისა თა.**

ალილუიარის თანამედროვე შესრულება დაყვანილია “ალილუიას” სამჯერად გალობაზე; ამასთან, ერთსა და იმავე ჰანგზე. სწორედ ასეთი შესრულების გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ ალილუიარი არის სახარების წინ დამთავრებული სამოციქულოს დაბოლოება და არა სახარების წარდგომა. ალილუიარის სწორი შესრულება შემდეგნაირია:

მკითხველი: “ხმა N, ალილუია”
I გუნდი: 3-ჯერ გალობს “ალილუიას” გამოცხადებულ ხმაზე
მკითხველი: კითხულობს ალილუიარის პირველ მუხლს
II გუნდი: გალობს 3-ჯერ “ალილუიას”
მკითხველი: კითხულობს ალილუიარის მეორე მუხლს

²⁶ ბერძნული ოლივის ებრაული hallelu jah-დან (აქებდით ღმერთსა)

I გუნდი: ისევ გალობს 3-ჯერ “ალილუიას”, რითაც სრულდება ალილუიარი²⁷.

10. დასაფარები, კატავასია (*καταβασία, καταβαίνω - დან - დაბლა ვეშვები*)

სახელდობრ, კატავასია ეწოდება შუა ტაძარში ორივე გუნდის ერთ გუნდად შეერთებას. ამ დროს გუნდები თავიანთი ადგილებიდან ჩამოდიოდნენ და შეერთებულნი შუა ტაძარში გალობდნენ ამა თუ იმ საგალობელს. კატავასია ასევე ეწოდებოდა საგალობელს, რომელსაც გალობდა ერთი მგალობელი, რომელიც მის საგალობლად ჩამოდიოდა ამბიონიდან. ჩვენს დროში კი კატავასია ეწოდება კანონის ძლისპირს, რომლითაც კანონის ზოგიერთი ან ყველა გალობა დასრულდება (იხ. ზევით).

11. განმანათლებელი, გამოავლინე (*φωταγωιχών*), ექსაპოსტელარიონი (*εξαποστιλάιον*)²⁸

ეს არის ტროპარის ტიპის სტროფი, რომელიც ცისკარზე კანონის შემდგომ იგალობება. მისი სახელწოდება “ექსაპოსტელარიონი” (*εξαποστέλω-დან – ვაგზავნი, წარვგზავნი*), სავარაუდოდ, აღნიშნავს შემდეგ მოქმედებას: მგალობელთა წრიდან ექსაპოსტელარიონის საგალობლად ერთი მგალობელი გამოიყოფა და შუა ტაძარში ან ამბიონზე წარიგზავნება. არსებობს სხვა ახსნაც: სახელწოდება ექსაპოსტილიარი წარმოდგება მისი შინაარსიდან - 11 საკვირაო ექსაპოსტელარიონში საუბარია მოციქულთა საქადაგებლად წარვგზავნაზე, მაგრამ ეს ახსნა მიესადაგება მხოლოდ ამ 11 საკვირაო ექსაპოსტელარიონს (რომელიც დაკავშირებულია 11 საკვირაო სახარებასთან), სადაც და სადღესასწაულო დღეებში კი ექსაპოსტელარიონს სხვადასხვა შინაარსი აქვს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სახელწოდება ისევ მისი გალობის ხერხიდან წარმოდგება – როგორც ზემოთ ითქვა, მის საგალობლად წარიგზავნება მგალობელი.

რაც შეეხება სახელწოდება “განმანათლებელს”²⁹, იგი შესაძლოა წარმოდგა ამ საგალობლის ტექსტის შინაარსიდან – მასში ხშირადაა საუბარი სინათლეზე და განათლებაზე. მაგალითად, ნათლისლების დღესასწაულის განმანათლებელი ამბობს:

²⁷ უმეტესწილად პრაქტიკაში ამას ემატება “დიდება . . . აწდაც” – მკითხველი ფსალმუნის მუხლებს რომ დაასრულებს, ამბობს: “**დიდება . . . აწდა . . .**” იმის ნიშანად, რომ ალილუიარი მთავრდება. მგალობლები ალილუიას შეოთხევდ გალობენ.

²⁸ ბერძნებს აქვთ დაყოფილი: “ექსაპოსტელარიონი” აწერია კვირისა და დღესასწაულის განმანათლებლებს, ხოლო “ფოტაგოიკონი” აწერია დიდმარხების განმანათლებლებს.

ქართულში კი, ძირითადად, “განმანათლებელი” გამოიყენება.

²⁹ პარაკლიტონში წერია: “დასაწყისი ექსაპოსტელარიონთა, ე.ი. განმანათლებელთა”.

განცხადნა მაცხოვარი, ნათელი ჭეშმარიტი,
მდინარესა იორდანისასა,
და ბნელსა შინა და აჩრდილთა
მძინარენი განარინნა,
მოვიდა და განცხადნა,
ნათელი იგი უსხეულო .

მაგრამ გვხვდება ისეთი განმანათლებლებიც (მაგ. მიძინების განმანათლებელი), რომლებშიც არ არის საუბარი სინათლესა და განათლებაზე.

12. განიცადენი (ჯოւოანიხონ).

ესაა მუხლი ფსალმუნიდან (იშვიათად - რამე სხვა ტექსტი წმიდა წერილიდან), რომელიც ღვთისმსახურთა ზიარების დროს იგალობება და “ალილუიას” ვრცელი და მელიზმატური გალობით მთავრდება. ზოგჯერ “ალილუია” რამდენიმეჯერ (მაგ. სამგზის) მეორდება. განიცადენი შინაარსით უკავშირდება დღის თემას. მაგალითად, სულთმოფენიბის განიცადენია 142-ე ფსალმუნის მე-10 მუხლის ნაწილი: “**სული შენი სახიერი მიძღოდენ მე ქუყანასა წრფელსა, ალილუია**”. იმის გამო, რომ განიცადენმა უნდა შეავსოს დრო, რომლის განმავლობაშიც ღვთისმსახური ეზიარებიან საკურთხეველში, მისი მელოდიები, ჩვეულებრივ, მელიზმატური სახისაა³⁰.

თანამედროვე პრაქტიკამ, განსაკუთრებით ევროპული მრავალხმიანი გალობის გავრცელებისა და თავისუფალი გალობათშემოქმედების დამკვიდრების შემდეგ, ღვთისმსახურთა საკურთხეველში ზიარების დროს დაუშვა სხვა საგალობელთა გალობაც, რომელთაც ხშირად არავითარი კავშირი არა აქვს დღის, დღესასწაულის თემატიკასთან³¹.

4.5. მითითებები ტიპიკონში

როგორც ზემოთ ითქვა, ერთ ტონზე კითხვა მუსიკალური ელემენტის გამოვლინების ყველაზე მარტივ ფორმას წარმოადგენს. მეორე პოლუსს

³⁰ ჩვენი დაკვირვებით, სახელწოდება “განიცადენი” დამკვიდრებულია დიდმარხვის ღვთისმსახურებიდან. დიდმარხვის განიცადენში ნათქვამია – “განიცადეთ და იხილეთ”. საკარაულო, აქდან დაერქვა “განიცადენი” ღვთისმსახურების ამ მომენტისათვის ნაგალობებ ყველა საგალობელს ყოველი დღისთვის.

³¹ ჩვენი თვალსაზრისით, ეს არასწორი პრაქტიკაა. გალობა არ უნდა იქცეს მუსიკალურ გაფორმებად. იგი არ უნდა დაშორდეს დღის თემას. მაგალითად, ათონის მთაზე “განიცადენთან” ერთად, როდესაც იგი არ არის საკმარისი იმ დროის შესავსებად, რომლის მანძილზეც ღვთისმსახური ეზიარებიან საკურთხეველში, იკითხება ზიარების ლოცვების გარკვეული ნაწილი.

წარმოადგენს საზეიმო, გამშვენებული, უხვად შექმობილი, გაფორმებული გალობა გუნდისა. ეს ორი სახე და მათ შორის მოთავსებული გრადაციები ერთობლიობაში ქმნიან მუსიკალურ მთლიანობას, რომელშიც ყოველ მათგანს აქვს მისთვის განსაზღვრული, მკვიდრი ადგილი. არ შეიძლება თვითნებურად, პირადი გემოვნების მიხედვით იცვლებოდეს შესრულების ერთი სახე მეორეთი, ერთი ხმა – სხვა ხმით. საღვთისმსახურო საგალობლების შესრულებისათვის წესდებით (ტიპიკონით) განსაზღვრულია მუსიკალური ელემენტის სხვადასხვა გრადაცია, სხვადასხვა თანმიმდევრობითა და სხვადასხვა კომბინაციით, რაც ღვთისმსახურებას მუსიკალურ-ლიტურგიული თვალსაზრისით ერთ იდეოლოგიურ და მუსიკალურ მთლიანობად აქცევს. ამ მთლიანობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია მსახურების ჩატარება ტიპიკონის მიხედვით, ანუ გალობის შესრულება ტიპიკონში მითითებული ხმებისა და მელოდიების შესაბამისად. ამ თვალსაზრისით, შეუძლებელია საღვთისმსახურო გალობის თავად ღვთისმსახურებისაგან განცალკევება და მისი მხოლოდ მუსიკალური თვალსაზრისით განხილვა, შეუძლებელია მისი გამოყოფა ტიპიკონისაგან, ღვთისმსახურების სტრუქტურისაგან, მისი რიგისა და წესისაგან. სტრუქტურა, ფორმა და ტექსტები იმ ფაქტორებს წარმოადგენს, რომელიც მუსიკალურ ფენომენს იყენებენ და საღვთისმსახურო რიგით დალაგებულ სიტყვას და ამ სიტყვით გამოხატულ იდეას შეესაბამებან. ამგვარად, მუსიკალური სტიქია ღვთისმსახურებაში გამომდინარეობს თავად ღვთისმსახურებიდან.

საღვთისმსახურო წესდება (ტიპიკონი) აწესრიგებს საღვთისმსახურო მოქმედებების, კითხვისა და გალობის რიგსა და წესს, შეიცავს გალობის შესახებ მითითებებს, რომელიც ასახავენ, თუ რომელ ხმაში იგალობება საგალობელი, რომელი საგალობელი წარმოადგენს თვითხმოვანს (ე.წ. აუტომელონი, რომელიც იგალობება საკუთარი მელოდიით), რომელი წარმოადგენს შეგავსს (ე.წ. პროსომია), ანუ იგალობება მითითებული თვითხმოვნის მელოდიით (ეს მითითება წინ უძღვის ამ საგალობებლს ე.წ. წანამძღვრის (პროლოგონის) სახით). ზოგიერთ შემთხვევაში წესდება ისეთ მითითებებსაც შეიცავს, თუ როგორ უნდა შეგასრულოთ საგალობელი. მრავალი რამ, რაც ტიპიკონში არ იწერებოდა, როგორც ყოველდღიური საღვთისმსახურო პრაქტიკიდან ყველასათვის კარგად ცნობილი, შეადგენდა და დღესაც შეადგენს საღვთისმსახურო-სამგალობლო პრაქტიკის ნაწილს, შესაბამისად - მართლმადიდებელი ეკლესიის გადმოცემას (იხ. ი. გარდნერის დასახლებული წიგნი, გვ. 77³²).

³² "m̄ n̄ðāâǣȳē̄ ī ē m̄ n̄ðāâǣȳō̄ ā ī n̄ð̄ō̄ ī ī ð̄ū ÷āñð̄ū āī āī n̄ð̄ō āé̄āá̄ ī -ī āâ̄ -āñ̄ē ī āī ī ð̄â̄āí̄ ēȳ; ī ī n̄ð̄āá̄ āâ̄ ǣā ī ð̄ī ī m̄ ñ̄ȳ ēū ī ð̄â̄āí̄ ēb̄ ī ð̄â̄ā ī ñ̄ð̄āí̄ ī ē ōð̄â̄ē āē āī ī āū ā".

კერძოდ, ივანე გარდნერი წერს (გვ. 78-79): “ამასთან მხედველობიდან არ უნდა გამოვვრჩეს, რომ რუსული ეკლესის თანამედროვე ტიპიკონი წარმოადგენს ღვთისმსახურების მონასტრულ წესს (გამოყოფა ტექსტში ავტორის ეულია – ა.უ.). სახელდობრ, მონასტრულ ღვთისმსახურებაში უფრო მეტადაა შემონახული გადმოცემა საღვთისმსახურო გალობის, როგორც შესრულების ხასიათის შესახებ. ამ თვალსაზრისით, საერთ ეკლესიები ძალიან დაშორდნენ საზოგადოდ საღვთისმსახურო-სამგალობლო გალობას . . . ამასთან, ტიპიკონისეული მითითებები ღვთისმსახურების ამა თუ იმ ნაწილის ან ცალკეული საგალობლების შესრულების შესახებ, აღნიშნავენ ამ ღვთისმსახურების მუსიკალურ-სამგალობლო გაფორმების სისრულეს . . . საღვთისმსახურო (ზოგჯერ კი არასაღვთისმსახურო, მაგ. “კონცერტები”) ტექსტებზე დაწერილი გუნდური სამგალობლო (იგულისხმება პოლიფონიური – ა.უ.) მუსიკის მიერ ტიპიკონისეული, რუსული ეკლესიის დაარსების დროიდან გადმოცემული, საღვთისმსახურო გალობის განვითარების შედეგად მრავალნი ანგარიშს აღარ უწევენ ტიპიკონის მითითებებს . . . ხოლო წესდება-ტიპიკონი, პრაქტიკულად, სახელმძღვანელოდ დარჩა მხოლოდ მონასტრებში, ისიც უფრო კეთილსინდისიერი და ლიტურგიკულად განათლებული წინამდღვრებისთვის და მოშურნე მგალობლებისთვის.”³³

საღვთისმსახურო ტიპიკონებში ცვლილებების გაჩენა გადაწერების დროს გადამწერთა მიერ დაშვებული უზუსტობებით არის გამოწვეული. ამ და ზოგიერთი სხვა ფაქტორის ზემოქმედებით ახალი ტრადიცია ცვლის ტიპიკონისეულ განსაზღვრულობას და საეკლესიო გადმოცემას. უფრო სერიოზული ცვლილებები კი სხვადასხვა დროის რეფორმატორულ ქმედებებთან არის დაკავშირებული.

შექმნა “რვა წმათა” (ოქტოიხოსი), ანუ პარაკლიტონი. ასევე მან სხვადასხვა დღესასწაულისათვის 60-ზე მეტი კანონი შექმნა. დროთა განმავლობაში დამასკელისეული მელოდიების საფუძველზე, კანონიკის დაცვით ექლესის წიაღში შეიქმნა მრავალი საგალობელი: დაემატა ისეთი დღეებისა და დღესასწაულების საგალობლები, რომლებიც დამასკელის ქმნილებათა სიაში არ იყო შესული. საქართველოში მოქმედ ტიპიკონსა და საღვთისმსახურო წიგნებში დამასკელისეული კანონიკური (ანუ ბიზანტიური) გალობა რომა დაცული და მითითებული, ამის უტყუარი დასტურია საღვთისმსახურო წიგნებში არსებული მითითებები საგალობლისა და მათი ავტორების შესახებ. ეს მითითება წარმოადგენს მოთხოვნას, რომ უნდა შესრულდეს ესა და ეს საგალობელი, შექმნილი ამა და ამ ჰიმნოგრაფ-კომპოზიტორის მიერ. რაც შეეხება საღვთისმსახურო წიგნებში დასახელებულ ჰიმნოგრაფ-კომპოზიტორებს, რომლებიც დამასკელისეული კანონიკით ქმნიდნენ საგალობლებს, არიან ბიზანტიურ საგალობელთა შექმნელები, ბიზანტიური გალობის ჰიმნოგრაფ-კომპოზიტორები. საქართველოში მოქმედ საღვთისმსახურო წიგნებში სწორედ ისინია დასახელებული: თავად იოანე დამასკელი (იოანე მონაზონი), კოსმა მაიუმელი (კოსმა მონაზონი), თეოდორე სტუდიოლი, პავლე ამორეველი, მიტროფანე სმირნელი, კონსტანტინე პორფიროსანი, ლეონ ბრძინი, იოანე კვჭიტელი, სტეფანე, იოსები, ანატოლი, ნილოქსანთოპულო, გერმანე, ბიზანტოსი და სხვა მრავალი ჰიმნოგრაფ-კომპოზიტორი.

ასე მაგალითად, აღდგომის კანონი, ანუ პასექის კანონი დაწერა იოანე დამასკელმა. ამაზე მიუთითებს წარწერა: “ქმნული უფლისა იოანე დამასკელისა, წმა ა”, ხოლო ჯვართამაღლების კანონი შექმნილია კოსმა მაიუმელის მიერ და აწერია: “ქმნული უფლისა კოსმასი, წმა ” და ა.შ. ეს კანონები იგალობება არა მარტო საბერძნეთში, არამედ იერუსალიმში, ჰალესტინაში, ბულგარეთში, სერბეთში, რუსეთში და ა.შ. - პრაქტიკულად ყველა ადგილობრივ ეკლესიაში იგალობება ერთსა და იმავე მელოდიებზე და მშობლიურ ქვებზე. საქართველოს ეკლესის მიერ გამოცემულ 2005 წლის საეკლესიო კალენდარში ჰირდაპირაა აღნიშნული: “ტ იპიკონი საეკლესიო , წმიდისა კეთილ-განგებულებისა წმიდისა და ღმერთ შემოსილისა მამისა ჩუენისა საბა ს ლავრისა , რომელი ესრეთვე იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა”.

როგორც აღნიშნეთ, წმინდა მამათა მიერ შექმნილი კანონების ძლისპირები შეადგენენ ძლისპირთა კრებულს, ირმოლოგიონს, რომელთა მელოდიებსაც ეწოდება სათვითხმოვნოები და ამ მელოდიებზე იგალობება მრავალი საგალობელი, ეწ. მსგავსები. საღვთისმსახურო წიგნებში სათვითხმოვნოზე მითითება მსგავსის თავში ეწ. წანამძღვრის საშუალებით ხდება. მაგალითად, წანამძღვრი: “**მარჯუნა შენი**”, რომელიც საღვთისმსახურო წიგნებში პირველი ხმის მრავალ საგალობელს აწერია, არნიშნავს, რომ ეს საგალობელი იგალობება ძლისპირის - “**მარჯუნა შენი უძლეველის**” მელოდიაზე.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ დასახელებული პრინციპით არის აგებული ყველა საღვთისმსახურო წიგნი - სათვითხმოვნო საგალობლებს თან ახლავს მათ შემქნელთა, წმიდა მამათა და გამოჩენილ შემოქმედთა სახელები, ხოლო მსგავსებს - წანამძღვრები, ანუ მითითებები სათვითხმოვნოებზე. ასეთი აგებულება - ჰიმნოგრაფ-კომპოზიტორ მამათა და შემოქმედთა ღვაწლის წარმოჩენასთან ერთად - ნათლად ასახავს საეკლესიო კანონიკური გალობის გვარ-სახეობას, რადგან ცნობილია, რომ დასახელებული ავტორები თავიანთ საგალობლებს დამასკელისეული კანონიკის დაცვით წერდნენ. შესაბამისად, საღვთისმსახურო წიგნებში დაცული და მითითებული საეკლესიო საგალობლები ბიზანტიურ საგალობლებს წარმოადგენენ.

გავიხსენოთ, რომ სათვითხმოვნოებს წარმოადგენენ არა მარტო კანონის ძლისპირები. სათვითხმოვნოები გვხვდება სხვა საგალობელთა ჯგუფებშიც: დასდებლებში (ე.წ. სტიქარონთა ჯვეფი), ტროპრებში და ა.შ. ტროპრებისა და პაპადიკურ საგალობელთა უმრავლესობა, რომლებიც იგალობება დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე, წარმოადგენს თვითხმოვნებს, ე.წ. ოდიომელონებს, ანუ მხოლოდ მათვის შექმნილ მელოდიებზე იგალობება.

როგორც აღვნიშნეთ, საეკლესიო კანონიკური (ბიზანტიური) გალობის საგალობელთა სისტემა წარმოადგენს ღია სისტემას, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი კანონიკით, ანუ დამასკელისეული კანონიკით დღესაც იქმნება და მომავალშიც შეიქმნება ახალ-ახალი მელოდიები - არა მხოლოდ ახალ წმინდანთა ტროპარ-კონდაკები და სადღესასწაულო საგალობლები, არამედ უკვე შექმნილი საგალობლებისთვისაც სხვა ახალი მელოდიები. ასე მაგალითად, წირვის საგალობლისთვის - “რომელი ქერუბიმთა” - სხვადასხვა ავტორის მიერ უამრავი მელოდია შექმნილი, თანაც ერთსა და იმავე ხმაში ამ საგალობლის რამდენიმე ვარიანტი გვაქვს. ეს სრულიად დასაშვებია, - ოღონდ დაცული უნდა იყოს კანონიკა, რომლის მიხედვითაც მკაცრად არის განსაზღვრული ხმის მუსიკალური ელემენტები და მელოდიის შედგენის წესები.

ზემოთქმულს, იმასთან დაკავშირებით, რომ საღვთისმსახურო წიგნებში დაცული და მითითებული ხმები წარმოადგენენ დამასკელისეული კანონიკის, ანუ ბიზანტიური გალობის ხმებს, დავამატებთ ამონარიდს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის 1995 წლის ლიტურგიკული კრებულიდან №1, გვ.3: “საეკლესიო ტიბიკონის მოთხოვნათა შესაბამისად, თითოეული საგალობელი გარკვეულ ხმაზე იგალობება (პირველიდან მე-8 ხმის ჩათვლით). ხმა, რომელზეც სრულდება საგალობელი, გარკვეული ლოცვითი განწყობილებისაკენ მიმართავს მღოცველის გულს. ერთმნიშნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ თუ საგალობელი საეპლესიო ტიბიკონი ბათვალის ზინებულ ხმაზე არ სრულდება (ხაზი ჩვენია, ა.უ.), ის მხოლოდ სიძლერაა და არა გალობა (ლოცვა). მათ შორის განსხვავება კი განუზომლად დღიდა: პირველი ადამიანის მშვინვიერ, ხოლო მეორე სულიერ სფეროებს განეკუთვნება.”

ჩვენი მხრივ დაგამატებთ: საკუთხით ვეთანხმებით მოყვანილ მოსაზრებას და აღვნიშნავთ, რომ ჩვენ არასდროს გვითქვამს ამაზე მეტი და მნიშვნელოვანი, ოღონდ, ჩვენდა სავალალოდ, ასე მწყობრად და გარკვევით ეს ვერ შევძელით.

დამატება 1. ეკლესიის კანონიკური ერთიანობის მნიშვნელობა

ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ კანონიკური ერთიანობა ეკლესიის ერთიანობას განსაზღვრავს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი განამტკიცებს ეკლესიის, მართლმადიდებელი ერის ერთიანობას. რა თქმა უნდა, ეკლესიის ერთიანობის უპირველესი საფუძველია ღვთისმეტყველების, დოგმატების, საზოგადოდ საეკლესიო სწავლების ერთიანობა, ყველა ადგილობრივი ეკლესიის მიერ მისი უპირობო აღიარება და მიღება. ეს არის ეკლესიის ერთიანობის შინაარსი, ეს სწავლება მაცხოვარმა, იქსო ქრისტემ მოგვიტანა; ამ პრინციპით დააფუძნა მან ამქვეყნად ჭეშმარიტი ეკლესია, რომელსაც ვერ მოერევა “ბჭენი ჯოჯონეთისანი”, დაგვიტოვა მოძღვრება ერთიანობისა და განუყოფელობისა.

საეკლესიო გალობა ჭეშმარიტ ეკლესიაში ღვთის მიერ არის გამოცხადებული და მართული. შედარება და პარალელის გატარება იმ ფაქტთან, რომ ადგილობრივ ეკლესიებში მიღებულია განსხვავებულ, მშობლიურ ენებზე წირვა-ლოცვების ჩატარება, ჩვენი აზრით, არ არის მართუბული. ენათა დაყოფა ღვთის დაშვებით მოხდა და ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ეს იყო არა ჯილდო, არამედ სასჯელი კაცობრიობის ამპარტავნებისათვის. ხოლო რაც შეეხება სხვა გამომსახველობით “ენათა”, მათ შორის საეკლესიო ხელოვნების “ენათა” დაყოფას, ასეთი ფაქტი ეკლესიისთვის უცნობია. ერთიანი კანონიკა საეკლესიო ხელოვნებაში ეროვნული, ეთნიკური თავისებურებების შეტანას არ გამორიცხავს, მაგრამ სწორედ იმისთვის არსებობს საეკლესიო კანონიკა, სწორედ იმიტომ ცდილობდნენ წმიდა მამები, შეექმნათ და დაედგინათ ეკლესიაში გალობის, ხატწერისა თუ არქიტექტურის კანონები, რომ ამით შეექმნათ ერთიანი მიღვომის მექანიზმები, რათა ეკლესია, მისი ხელოვნება მიუღებული ფორმებისაგან დაუცვათ.

დამატება 2. დედანი და თარგმანი

საქართველოს ისტორიოგრაფიიდან ცნობილია, ჩვენი ეკლესიის წმიდა მამებს როგორი ჯაფისა და რუდუნების ფასად უხდებოდათ საგალობელთა თარგმნისას ორიგინალთან მეტრული თანაფარდობის დაცვა (იხ. წმ. გიორგი მთაწმიდებლის ანდერძი, jer 98). ეს ხდებოდა ერთადერთი მიზნით - მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ და არ შეეცვალათ საგალობლის კანონიკური მელოდიები. ამით მეხელეებს უადვილდებოდათ თარგმნილ ტექსტებზე კანონიკური მელოდიების დადება.

ბიზანტიურ გალობაში სიტყვისა და მელოდის, ტექსტისა და მუსიკალური ელემენტის ერთმანეთთან ორგანულად შერწყმისა და ერთიანობის თაობაზე სხვა ადგილას ვისაუბრებთ. აქ კი შევეხებით ერთ საგულისხმო მომენტს, რომელიც დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მუსიკალურ ელემენტზე სიტყვის ზემოქმედებას აქვს მეორე მხარეც, კერძოდ: მუსიკალურ ელემენტზე ენის არტიკულაციური თავისებურებებისა და ბუნებრივი რიტმის ზემოქმედება, ასევე ბერის გამოცემის, სასიმღერო არტიკულაციის მექანიკისა და სხვა თავისებურებების ზეგავლენა. საგალობლის ერთი ენიდან მეორეზე თარგმნისას ეს გარემობები გარკვეულ სირთულეებს ქმნიან, მაგრამ, მეორე მხრივ, თარგმნილ საგალობელს ანიჭებს მთარგმნელი ერისთვის დამახასიათებელ იერს. თუ, დამატებით, თარგმნილი საგალობელი გამშვენებულია ამ ერისთვის დამახასიათებელი ორნამენტიკითა და მელიზმური ელემენტებით, მაშინ იგი დროთა განმავლობაში ეთვისება ერის სმენას და მის ესთეტიკურ და ემოციურ მოთხოვნილებებს სრულებით აკმაყოფილებს. ამავე დროს ხდება უკუქმედებაც: საეკლესიო გალობის მუსიკალური ელემენტები, მელოდიები და კომპოზიციები ეკლესიიდან გადის ერში და ამ ერის შემოქმედებაში აისახება. მაგალითად, საქართველოში, თუ ბიზანტიური გალობის მელოდიებს ხალხურ სიმღერებს შევადარებთ - ერთხმიანებს (ბანის თანხლებით), ან თუნდაც მრავალ ხმიანებს, რომლებშიც წამყვან მუსიკალურ ელემენტს წარმოადგენს მელოდია (და არა ჰარმონია), რაც მეტად დამახასიათებელია აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონისათვის, მთის (ფშავ-ხევსურეთის, თუშეთის და სხვ.), ქალაქური ფოლკლორის, ასევე დასავლეთ საქართველოს, განსაკუთრებით, მეგრული მელოდიური სიმღერებისათვის - ამ ორ ფენომენს შორის გასაოცარ მსგავსებასა და ნათესაობას აღმოვაჩენთ, რომელიც ხშირად კილოთა და მელოდიურ ხაზთა იგივეობის დონეზე მუღავნდება. ეს არც არის გასაკვირი, იმის გამო, რომ ბიზანტიური გალობა, როგორც აღმოსავლეთის ეკლესიის კანონიკური გალობა, საუკუნეების განმავლობაში საქართველოს აღგილობრივი ეკლესიის ტრადიციულ გალობას წარმოადგენდა.

საგალობელთა ტექსტების თარგმნისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის ჰიმნოგრაფია ეკლესიის დოგმატურ სწავლებას ეყრდნობა. ამიტომ ჰიმნოგრაფის მიერ დაწერილი ტექსტის თარგმნისას დოგმატურ საკითხებში არ უნდა იყოს ორაზროვნებები და უზუსტონები. ასეთმა შეცდომებმა შეიძლება წარმოშვას არაცალსახა, ჰეტეროდოქსული კონცეფციები და იდეები. ამიტომ დაუშვებელია საგალობელთა ტექსტების უფრო თავისუფალი, შესაძლოა სტილისტურად შედარებით ლამაზი და ლიტერატურულად შედარებით სრულყოფილი თარგმნები. ამის გამო იყო, რომ სიტყვასიტყვითი თარგმნის პრიციპით ხელმძღვანელობდნენ საქართველოში ჩვენი ეკლესიის წმინდა მამები და განმანათლებლები, საღვთისმსახურო და საღვთისმეტყველო ტექსტების მთარგმნელები. ბუნებრივია, რომ ასეთი მიღეომით თარგმანის ენა მოერგო ორიგინალის, დედნის ენას. ყოველივე ამან კი თავისი გავლენა იქონია თარგმანის ენის შემდგომი განვითარების პროცესზე, არა

მხოლოდ ჭეშმარიტი იდეებისა და მსოფლმხედველობის შეთვისებისა დაგათავისების თვალსაზრისით, არამედ სტრუქტურულ-კონსტრუქციული ფორმირების თვალსაზრისითაც³⁴.

საგალობელთა თარგმნასთან დაკავშირებით ი. გარღნერი აღნიშნავს (გვ 62):

“სხვა ენაზე თარგმნისა და ბერძნებისაგან თვით (საგალოობლის – ა.უ.) მელოდიის გადმოღების დროს (როგორც ეს ხდებოდა რუსების მიერ ბერძნებისაგან ქრისტიანობის მიღების შემდეგ), რა თქმა უნდა, კურადღება მიექცა თარგმანში მარცვალთა რაოდენობის რაც შეიძლება ზუსტ შესაბამისობას ორიგინალთან მიმართებაში.”³⁴

ეს გარემოება, რასაკირველია, თარგმნისას დიდ სიძნელეებს ქმნიდა. მაგრამ ამის მიუხედავად, ადგილობრივ ეკლესიებში ყოველთვის ითარგმნებოდა ბიზანტიური საგალობლების ტექსტები. როგორც ითქვა, საქართველოში ამასთან დაკავშირებით შეიქმნა მეხელეთა ინსტიტუტი, ბერძნულიდან თარგმნილ, ასევე ბიზანტიური (დამასკელისეული) კანონიკით შექმნილ ორიგინალურ ქართულ საგალობლებს მეხურნი ეწოდათ. ამის დასტურია წმ. გიორგი მთაწმიდელის ანდერძში მოყვანილი სიტყვებიც: “ჩუენ, კულა, რაოდენ ეგების, ბერძნულსა დაგვიმსგავსებია . . . ესე ვთა დაგვიწერია ჩუენ, ბერძნულად ესე არს, და მე ფრიადი ჭირი მინახავს მათსა გამოიძიგასა და შეწყობასა”.

ასეთი შრომის გაწევისა და დიდი სიძნელების გადალახვის ერთადერთი მოტივი იყო ის, რომ ერთიანი ეკლესიის კანონიკის დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა და დღესაც ენიჭება, რადგან კანონიკის ერთიანობა ეკლესიის ერთიანობას განამტკიცებს.






თავი III

საეკლესიო კანონიკური წმები სტრუქტურა, ელემენტები და დამახასიათებელი ნიშნები

ჩისცეს გერესით მი თორმერით ნორიზონტური, და
უძინაშინელო, რამეთო ყოველ წეს-ჩერელით მი აუგიალოს
სოფისტიურ, გრიკოს სოფისტის და სოფისტიურის გერესი.
Q უძინა, რამელი ალექსანდრე ხელი ხელოს და საბუძოთი
ყოველი, რამელი ალექსანდრე სტარი სტარი წეს-ჩერელისას
და კანონის, სოფისტიურის ალექსანდრე.

მიწოდონლიერი ინკუნაბული





ତାରିଖ III

საეკლესიო კანონიკური ხმების სტრუქტურა,
ელემენტები და დამახასიათებელი ნიშნები

1. ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ელემენტები

1.1. შესავალი

როგორც ითქვა, ღვთისმსახურება ეკლესიაში გაწყობილია რვა ხმაზე. “რვა ხმათა” (ანუ პარაკლიტონი, იგივე ოქტოიხოსი) შეადგინა წმ. იოანე დამასკელმა და დაამკვიდრა აღმოსავლეთის ეკლესიაში. არსებული ხმებიდან საეკლესიო კანონიკური გალობისათვის მან შეარჩია და დაადგინა 8 - 4 ძირითადი და 4 გვერდითი - ხმა, ოთხ დიატონურ კილოსთან ერთად - აღმოსავლეთის ეკლესიის არეალში შემავალი ხალხებისათვის, მათ შორის, ებრაელი, სირია-პალესტინელი, არაბი და სხვა ხალხებისთვის ნიშანდობლივი და ჩვენული ორი ქრომატული და ორი ენპარმონიული კილო¹.

რვახმათას ყოველი საგალობელი დაწერილია თითოეული ხმისთვის დადგენილი მუსიკალური ფორმულებით, ანუ კანონიკური მელოდიებით, ასევე სხვა მუსიკალური ელემენტების გამოყენებით, რომლებიც ერთობლიობაში განსაზღვრავენ ხმის მუსიკალურ მხარეს. საგალობლების აგება (შეთხვა) და გალობა ემყარება მკაფიოდ განსაზღვრულ წესებს, რაც ერთობლიობაში შეადგენს მართლმადიდებელი ქალების გალობის კანონიკას.

1.2. ბიზანტიური გალობის ხმები და კილოგრამი

საეკლესიო-საღვთისმსახურო მუსიკა მრავალფეროვანია არა მხოლოდ თავისი შინაარსით, არამედ თავისი ჟღერადობითაც. მუსიკალური მრავალფეროვანების გამოსახვის საშუალებას ე.წ. ხმები იძლევა. ამიზანობ ჰქია

დამასკელისეულ საეკლესიო კანონიკურ გალობას ხმიანი (“ზმეანი”, “მებური”) გაღობა. ხმა გამოსახავს საგალობლის მუსიკალურ მხარეს და არა ტექსტუალურს, როგორც ეს მრავალს ჰგონია - იქიდან გამომდინარე, რომ არაკანონიკურ გალობათა უმრავლესობაში დაკარგა ხმა, როგორც ასეთი, და რვახმათა, როგორც მწყობრი მუსიკალური სისტემა, დარჩა ოდენ ფორმალურად, მითითებების დონეზე საღვთისმსახურო წიგნებში, რაც გაუგებრობას იწვევს მგალობლებში და არც თუ იშვიათად - სასულიერო პირებშიც.

“ხმა” წარმოადგენს მუსიკალური გამოსახვის საშუალებას, რომელიც შედგება რამდენიმე მუსიკალური ელემენტისაგან (იხ. ქვემოთ). მაგრამ გამოთქმა “ხმა” ასევე გამოიყენება საგალობელთა სისტემის აღსანიშნავად. პირველი თვალსაზრისით ხმა ძირითადად კილოს მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ როდესაც მეორე თვალსაზრისით იგი საგალობელთა სხვადსხვა ჯგუფის ერთობლიობას აღნიშნავს და ასახავს საეკლესიო ღვთისმსახურების ციკლურობასა და ტიპიკონით განსაზღვრულ შემადგენლობას.

მოგვყავს ხმის მუსიკალური ელემენტების დახასიათება.

1.2.1. ბგერები, გამები და ინტერვალები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიზანტიურ მუსიკაში მუსიკალური ბგერები, რომელთა სახელწოდებებია ნი-პა-ვუ-გა-დი-კე-ზო’ (νη-πα-βιου-γα-δι-κε-ζω’), ევროპული მუსიკალური სისტემისგან განსხვავებით, არ არიან ეტალონირებული. ისინი სხვადასხვა ხმის გამებში ერთმანეთის მიმართ განსხვავებულ ინტერვალებს ქმნიან. ბიზანტიურ მუსიკაში მუსიკალურ გამას უწოდებენ კიბეს (ალიმაჯ), ბგერებს – ფორნგებს (φθόγγοι), ხოლო ინტერვალებს - ტონებს (τόνοι). ქვედა ოქტავის ბგერებს ძირითადი ოქტავის ბგერებისაგან განსასხვავებლად მთავრულით წერენ, ხოლო ზედა ოქტავის ბგერებს უწერენ შტრიხს: . . . ბა-დი-კე-ზო-ვი-პა-ვუ-გა-დი-კე-ზო’-ნი-პა’-ვუ’-. . . დაგაკვირდეთ, რომ ქვედა “ზო” არის შტრიხის გარეშე. შტრიხს ზედა “ზოს” ვუწერთ.

ბიზანტიური გალობის კანონიკური ხმები აგებულია სამი სახის გამაზე: ბკელ დატონურ, ქრომატულ (მსუბუქად და ძლიერად ქრომატულ) და ენკარმონიულ გამებზე. აღვნიშნავთ, რომ გამას ენკარმონიულს პირობითად ვუწოდებთ, რადგან მისი ინტერვალები არ მოიცავს ენკარმონიზმისათვის დამახსიათებელ ინტერვალებს. ეს სახელი მას კანონიკური ხმებიდან (მესამე და მეშვიდე) გამომდინარე ეწოდა. რაც შეეხება ამ ხმების მელოდიებს, ენკარმონიზმსა და მისთვის დამახასიათებელ ინტერვალებს, ისინი იმ მრავალფეროვნი ალტერაციის - ამაღლება-დაღაბლების ნიშნების გამოყენებით მიიღწევა, რომლებიც ბიზანტიურ მუსიკალურ სისტემას აქვს. ევროპული მუსიკისაგან განსხვავებით, ბიზანტიური მუსიკის გამებში გვხვდება სამი სახის ინტერვალი: დიდი (ძ მεტას), საშუალო (ძ ჭარას) და პატარა (ძ ჭარას). გამა 8 ძირითადი ბგერისაგან შედგება, რომელთაგან მე-8 ოქტავით

ზევით პირველს იმეორებს. სიტყვა “ოქტავა” სწორედ ამ გარემოებას გამოსახავს. ოქტავის შემადგენელ ბერებს ქორდები (Хօρδօι) ეწოდებათ.

მოვიყვანთ ზემოთ დასახელებული გამების ინტერვალებს:

1. ძველი დიატონური:

ნი	პა	ვუ	გა	დი	კე	ზო'	ნი'
	12		10		8		12

2. მსუბუქად ქრომატული:

ნი	პა	ვუ	გა	დი	კე	ზო'	ნი'
	8		14		8		12

3. ძლიერად ქრომატული:

პა	ვუ	გა	დი	კე	ზო'	ნი'	პპ'
	6		20	4	12		6

4. ენტარმონიული:

ნი	პა	ვუ	გა	დი	კე	ზო'	ნი'
	12		12		6		12

ამ გამოსახულებებში მიღებულია, რომ ერთი ერთეული ჭონის მეთორმეტედის ტოლდიდ ინტერვალს, მიკროტონს წარმოადგენს. მაგალითისათვის, დიატონურ გამაში გვაქვს სამი დიდი ინტერვალი: ნი-პა, გა-დი და დი-კე, რომელთაგან თითოეული მათგანი 12 მიკროტონს შეიცავს, ორი - საშუალო: პა-ვუ და კე-ზო, თითოეული 10 მიკროტონის სიდიდის, და ორიც - პატარა: ვუ-გა და ზონი, 8 მიკროტონის სიდიდის. შევნიშნავთ, რომ სხვადასხვა გამაში დიდი, საშუალო და პატარა ინტერვალები სიდიდით განსხვავებულები არიან. მაგალითად, მსუბუქად ქრომატულ გამაში დიდი ინტერვალი 14 მიკროტონის სიდიდისაა, საშუალო – 12, ხოლო პატარა – 8 მიკროტონის სიდიდის. სულ ოქტავა 72 მიკროტონის სიდიდისაა.

თითოეული გამა ორი ტეტრაქორდისაგან შედგება: ზედა და ქვედა ტეტრაქორდებისაგან, რომლებიც ერთმანეთს გამყოფი ინტერვალით უკავშირდებიან. მაგალითად, დიატონურ გამაში გვაქვს ორი ტეტრაქორდი: ნი-პა-ვუ-გა ქვედა და დი-კე-ზო'-ნი ზედა ტეტრაქორდები, რომლებიც ერთმანეთს გა-დი გამყოფი ინტერვალით უკავშირდებიან. თითოეული ტეტრაქორდის სიდიდე 30 მიკროტონის ტოლია.

ბერებისა და ინტერვალების რიცხვითი გამოსახულებების ტრადიცია ძველ საბერძნეთში ოდითგან არსებობდა. ამისათვის საკმარისია დავასახელოთ პითაგორელთა სკოლა. ხმათა გამების ინტერვალთა რიცხვითი გამოსახულებები მათი შესწავლისა და გაანალიზების საშუალებას გვაძლევს. შესაძლოა, მთელი სიზუსტით მიკროტონების აღქმა და შესრულება რთული იყოს, განსაკუთრებით ევროპულ ტემპერირებულ გამებზე გავარჯიშებული ყურისათვის, მაგრამ არსებითია ხმების მიხედვით გამებისა და კილოების ცოდნა, თავდაპირველად

თუნდაც თეორიულად. მოწადინებულთათვის დროთა განმავლობაში არატემპტრირებული გამების აღქმა და შესრულება ასევე შესაძლებელი გახდება.

1.2.2. ზმის ზოგადი დახასიათება

ბიზანტიური გალობა იყენებს მუსიკალურ ელემენტებსა და მუსიკალური გამომსახველობის ხერხებს, რომელთა ერთიანობა განსაზღვრავს ბიზანტიური გალობის ხმებს (Hχος). ხმები იყოფიან ორ ჯგუფად: 4 მთავარ და ოთხ გვერდით ხმებად. როგორც ითქვა, ტექსტურ-მუსიკალური თვალსაზრისით, საგალობლები ორი საწყისის - სიტყვისა და მუსიკის ერთობას წარმოადგენს. წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით, ხმა არის ყალიბი, ჩარჩო, თარგი, რომლის ფარგლებში და რომლის მიხედვითაც კანონიკური საგალობელი უნდა ჩამოყალიბდეს და აიგოს.

1.2.3. ზმის ელემენტები

ყოველ ხმას თავისი მახასიათებელი ელემენტები აქვს, რითაც ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ეს ელემენტებია:

1. ბგერათრიგი (მუსიკალური გამა),
2. კილო, რომელიც წარმოადგენს ბგერათრიგს, შემდეგი განსაზღვრული ელემენტებით:
 - ფუძე ბგერა (ტონიკა),
 - ღომინანტური და სუბდომინანტური ბგერები (ღომინანტა და სუბდომინანტა),
3. მელოდიური ფორმულები,
4. მელოდიური კადენციები (კატალექსისი),
5. ინტონაციური ფორმულები (აპიქება),
6. სხვა ელემენტები.

მეტი სიცხადისათვის ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ ბგერათრიგებს (გამებს), კილოებსა და ხმებს და შევეცდებით დავახასიათოთ ზემოთ მოყვანილი ელემენტები:

1. **ბგერათრიგი (მუსიკალური გამა).** ბგერათრიგი მუსიკალური ბგერების მიმდევრობაა, რომელიც განსაზღვრული ინტერვალების მიხედვით არის აგებული. ბიზანტიურ გალობაში გამოყენებულია ბგერათრიგების სამი ძირითადი გვარი (თაობა – Γένοις): დიატონური, ქრომატული (ძლიერად ქრომატული და სუსტად ქრომატული) და ენპარმონიული. I, IV, გვ. I (ანუ V) და გვ. IV (ანუ VIII) ხმები ძირითადად აგებულია დიატონურ გამებზე, II და გვ. II (ანუ VI) ხმები – ქრომატულ, და III და გვ. III (ანუ VII) ხმები - ენპარმონიულ გამებზე. განმარტებისათვის აღნიშნავთ, რომ ძველი, ბუნებრივი დიატონური კილოები რამდენადმე განსხვავდებიან მათი

“ეგროპელი” შთამომავლებისაგან, რომლებიც ქული კილოების ტექსტერირებულ შესატყვისებს წარმოადგენენ.

2. კილო. კილოში ვიგულისხმებთ მუსიკალურ გამას, რომელშიც განსაზღვრულია (დაფიქსირებულია) ძირითადი ბგერები: ფუძე ბგერა (ტონიკა), დომინანტური და სუბდომინანტური ბგერები, ასევე ფინალური ბგერები. ხმის კილოს დამახასიათებელი ნიშანია იმ ბგერების არსებობა, რომლებიც მელოდიაში ყველაზე ხშირად ისმის, ან ისეთი ბგერებისა, რომლებზეც ხმის მელოდიებს “უყვართ” მიმოქცევა; ასევე ერთ-ერთი მახასიათებელია დამასრულებელი, ფინალური ბგერები, რომლებზეც მთავრდება მელოდიის კადენციები და ხმის საგალობლები.

- ფუძე ბგერა, ანუ ტონიკა. ყოველ კილოს აქვს თავისი ფუძებგერა, იგივე – ფუძე ტონი, რომელიც წარმოადგენს მისი გამის ძირითად, საყრდენ ტონს. სწორედ ამ ბგერის მიმართ ხდება გამის თუ მელოდიური ხაზის შემადგენელი მუსიკალური ბგერების სიმაღლეების (ინტერვალური დაშორებების) აღქმა, გაგება. ხშირად საგალობელი ბოლოვდება ტონიკაზე, თუმცა შესაძლოა იყოს სხვა შემთხვევებიც. ბიანტოური გალობის პრაქტიკაში ტონიკა ძირითადად ისმის ისონის² (იზოკრატიმას) სახით, ანუ მას აქვს დამხმარე, გამომსახველობითი და არა დამოუკიდებელი ფუნქცია. ამიტომაა, რომ ბიზანტიური გალობა თავისი შინაარსით ერთხმიან, მელოდიურ გალობას წარმოადგენს³.
- გაბატონებული (დომინანტური) ბგერები – კილოს აქვს ერთი ან რამდენიმე დომინანტური ტონი, რომლებიც ხმის მელოდიებში გაბატონებული (მომძლავრებული, უპირატესი) ბგერებია, როგორც წესი - კადენციების დამსარულებელი ბგერები.

ერთი და იგივე ბგერათრიგი (ინტერვალების თანმიმდევრობა) იმისდა მიხედვით, თუ რომელ ბგერას მივიჩნევთ ფუძე ბგერად (ტონიკად), გვაძლევს ერთმანეთისაგან განსხვავებულ კილოებს. მაგალითად, დაატონური გამა განსხვავებული ფუძე ბგერების შესაბამისად გვაძლევს განსხვავებულ კილოებს: დორიულს (იყენებს I ხმა), ფრიგიულსა და მიქსოლიდიურს (იყენებს IV ხმა), ეოლიურს (იყენებს V ხმა), იონურსა და ლიდიურს (იყენებს VIII ხმა). ჩვეულებრივ, ერთსა და იმავე ხმაში ვხვდებით რამდენიმე კილოს, რომელთაგან ზოგიერთი წარმოადგენს ძირითად, ხოლო ზოგიერთი – არაძირითად კილოებს. ეს უკანასკნელი საგალობლებში შედარებით ნაკლებად გამოიყენება. ასევე არის შემთხვევები, როდესაც თვით ერთი საგალობლის ფარგლებში გვხვდება სხვადხვა კილო.

ხმა, თავის შხრივ, წარმოადგენს კილოს, რომელსაც ემატება ამ ხმისთვის დამახასიათებელი მელოდიური და ინტონაციური ფორმულები, მელოდიური კადენციები, ემოციური ხასიათისა და სხვა სახის ელემენტები.

² ისონისა და იზოკრატიმას შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება.

³ განსხვავებით მრავალხმანი – ჰარმონიული გალობისაგან, რომელშიც ხმებს მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მოძრაობა ახსიათებთ და ერთიანდებიან ჰარმონიაში.

- 3.** მელოდიური ფორმულები. ამა თუ იმ ხმის სხვადასხვა საგალობელში გამოყენებულია ერთნაირი ან მსგავსი მუსიკალური ფრაზები. ყოველ ხმას აქვს თავისი სტანდარტული, დამახასიათებელი, სანიმუშო მელოდიური ფრაზები, რომელთა კომბინირებითაც იგება ბიზანტიური საგალობლები. თუმცა მათი შექმნის ხელოვნება რიგი მელოდიური ფრაზების უბრალოდ ერთმანეთზე მექანიკური მიბმით არ შემოიფარგლება. მუსიკალური ფრაზების მიმდევობა გარკვეულ კანონზომიერებებსა და წესებს ემყარება და საგალობლის შექმნა შემოქმედებით მიღომას მოითხოვს. ამგვარად, ყოველ ხმას აქვს თავისი დამახასიათებელი მელოდიური ფორმულები, რომელთა გამოყენება საგალობლებში ანიჭებს ხმას დამახასიათებელ, განსაკუთრებულ, სხვა ხმებისაგან განსხვავებელ ჟღერადობასა და გამომსახველობას, განსაზღვრულობასა და მდგრადობას.
- 4.** მელოდიური კადენციები, ანუ დასასრულები (კატალექსისი). კადენციები წარმოადგენს მელოდიური ფორმულების განსაკუთრებულ სახეს. ყოველ ხმას აქვს მისთვის დამახასიათებელი კადენციები. ისინი საგალობლის ტექსტში მუსიკალური პუნქტუაციის როლს ასრულებენ და, გარდა ამისა, გვეხმარებიან იმის გარკვევაში, თუ რომელ კილოში იგალობება ესა თუ ის ტექსტი. კადენციები ოთხი სახისაა:
- ნაწილობრივი კადენციები – ასრულებს იმავე როლს, რასაც მძიმეები ტექსტში. ისინი მუსიკალური და ტექსტური პასაჟის დასასრულს აღნიშნავენ, ამავე დროს მიუთითებენ, რომ კიდევ დარჩა საგალობლის ნაწილი. ნაწილობრივი კადენცია შეიძლება კილოს ნებისმიერ დომინანტურ ნოტზე დაბოლოვდეს.
 - სრული კადენციები – აღნიშნავს საგალობლის ბოლო ნაწილის დამასრულებელ მუსიკალურ პასაჟს და იმავე როლს ასრულებს, რასაც წერტილები და წერტილ-მძიმეები ტექსტებში. სრული კადენციები ხშირად ბოლოვდება კილოს ფუძე ტონზე.
 - საბოლოო კადენციები – წარმოადგენს სრული კადენციების სპეციფიკურ სახეობას, რომელიც მთლიანი საგალობლის დასასრულს აღნიშნავს. ისინი ჩვეულებრივ ბოლოვდებიან კილოს ფუძე ტონზე.
 - მოკარნახე კადენცია – წარმოადგენს საბოლოო კადენციის უფრო მეტყველ სახეს, რომელიც გამოიყენება როგორც საგალობლის დასრულებისათვის, ასევე - მომდევნო ასამაღლებლის ტონის საკარნახებლად. ამ სახის კადენციაში მგალობელი იჭერს ნელ ტრელს საგალობლის უკანასკნელ ნოტზე. მღვდლისთვის კარნახის მიზნით, საგალობელი ხანდახან მთავრდება იმ ნოტზე, რომელიც მოძევენო ასამაღლებლის ფუძე ბგერას წარმოადგენს.
- 5.** ინტონაციური ფორმულა (ინტონაცია), ანუ გამღერება (აპიქემა) – ძველ დროში გუნდის ხელმძღვანელები იყენებდნენ სანიმუშო (სტანდარტულ) მელოდიურ ფრაზებს, მრავალმარცვლიან გამღერებებს. მას “აპიქემა” ეწოდებოდა და იმ მიზნით გამოიყენებოდა, რომ გუნდისათვის ეკარნახათ კილო, რომელშიც მორიგი საგალობელი უნდა შესრულებულიყო. მოგვიანებით

ეს მუსიკალური ფრაზები დამოკლდა. ამჟამად წმების მიხედვით გამოიყენება აპიქემას შემდეგი ტექსტები (მარცვლები):

მა ა	-	ანანეს (Ανανες)
„ ბ	-	ნეანეს (Νεανες)
„ ბ	-	ნანა (Νανα)
„ ღ	-	აგია (Αγια)
მა ა გ ~ ი	-	ანეანეს (Ανεανες)
„ ბ გ ~ ი	-	ნეხეანეს (Νεχεανες)
„ ბ ბ ~ ი	-	აანეს (Αανες)
„ ღ გ ~ ი	-	ნეაგიე (Νεαγιε)

გარდა ამ ფრაზებისა, გამოიყენება მოკლე მელოდიური ფრაზები, რომლებშიც გვხვდება მხოლოდ მარცვალი “ნე”. ამგვარად, ძველი გრძელი ინტონაციური ფორმულების ნაცვლად ამჟამად ძირითადად ხმარობენ შემოკლებულ აპიქემას ზემოთ დასახელებულ მარცვლებზე, ან მოკლე აპიქემას მარცვალ “ნე”-ზე.

6. ემოციური ხასიათი. “რვა ხმის” განსაზღვრასა და დადგენას აქვს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მხარეც, რომელიც დაკავშირებულია ხმების ემოციურ ხასიათთან. როგორც ითქვა, საზოგადოდ, მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმსახურებას ციკლურობა და რიტმულობა ახასიათებს. ხმათა მონაცემებით, მათი ემოციური ხასიათის ცვლილებით და მრავალფეროვნებით ხდება მღლოცველი სულის კონცენტრაცია, მღლოცველის ყურადღების მოქრება სიტყვაზე, საგალობელთა ტექსტებზე, რომლებშიც მოცემულია მართლმადიდებლობის მთელი დოგმატიკა, ეკლესიის სწავლება, ღვთის, ღვთისმშობლისა და წმინდანთა სადიდებლები, მრავალი განმარტება, დიდაქტიკა და ა.შ. წმ. ორანე დამასკელის მიერ ხმებისა და კილოების, მელოდიური ფორმულებისა და სხვა მუსიკალური ელემენტების შერჩევა ისე მოხდა, რომ მელოდია მეტად ესადაგება საგალობლის ტექსტს, გამოხატავს მის ლოცვით შინაარს. ყოველივე ეს მღლოცველს ეხმარება სინანულის, შემუსვრილების, ღვთის მოშიშებისა და ღვთისმოსაობის განცდაში, ასევე ღვთის სიდიადის, ღმერთთან, ღვთისმშობელთან და სხვა წმინდანებთან ურთიერთობის სიხარულის აღმვრასა და სწორად წარმართვაში. ხმებში, მათ ტექსტურ-მუსიკალურ ერთობლიობაში, ასახულია ადამიანური განცდისა და გრძნობების (ემოციის) სრული სპექტრი: სინანულის, მწუხარების, გლოვის, სიხარულის, დღესასწაულისა და აღმატებული საზეიმო განწყობის მთელი გამა და პალიტრა; ამასთან, თითოეული ხმა სხვა ხმებისაგან მისთვის დამახასიათებელი ემოციური ხასიათთა და ინტონაციური შეფერილობით განსხვავდება. ხმების აღწერა-დახასიათებისას, მათი ტექსტურ-მუსიკალური შინაარსიდან, მათი მუსიკალური ფილოსოფიიდან, სახასიათო მელოდიებიდან და სხვა მუსიკალური ელემენტებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მკვლევარი განსხვავებულ სიტყვებსა და ეპითეტებს იყენებს, მაგრამ ყველა მათგანი აღნიშნავს მუსიკალური ხმის, მისი მელოდიების ემოციური ხაზისა და

ხასიათის სრულ შესაბამისობას სიტყვასთან, საგალობლის ტექსტის შინაარსთან.

7. სხვა ელემენტები. სხვა ელემენტების დასახასიათებლად დაგვჭირდება ზოგირთი განმარტება, რომელიც მოცემულია ამ თავის ბოლოს, დამატებაში (იხ. დამატება). აქ კი აღვნიშნავთ, რომ:

- ხმებისთვის დამახასიათებელია ისეთი მუსიკალური ხასიათის ელემენტი, როგორიცაა გადახრის მუხლები, საწყისი, შუალედური და დამამთავრებელი მუხლების საწყისი და დამამთავრებელი ბგერები, მუსიკალური სისტემები;
- ხმებისთვის ასევე დამახასიათებელია ისონის მოძრაობის წესები.

ხმა, როგორც მუსიკალურ-გამომსახველობითი ფორმა, სავსებით იძლევა მელოდიის შექმნის, კომპონირების საშუალებას, იმ დაშვებით, რომ დაცული იქნება პირობები ბგერათრიგის დაბაზონის მიმართ, ხმისთვის დამახასიათებელი ბგერათა მონაცვლეობის მიმართ, ასევე, ძირითადი, გაბატონებული და დამასრულებელი ბგერების მიმართ. მეორე მხრივ, ამ წესებით ხდება ტიპური მელოდიური საქცევების მდგრადობის უზრუნველყოფა, მათ სახეთა, გამომსახველობის მუდმივობა, რაც განმტკიცებულია მათი მრავალჯერადი გამეორებითა და გამოყენებით. შედეგად იქმნება ცნება ხმის შესახებ, როგორც ცნობილი და მუდმივი მელოდიის, უფრო ზუსტად – მელოდიათა დამოუკიდებელი სისტემის შესახებ, რომელიც ხასიათდება ჰანგების, მელოდიური ფორმულების განსაზღვრული ფონდით და საგალობლის მელოდიაში მათი ორგანიზების - კომპონირების კანონზომიერებებით. ეს პრინციპები და კანონზომიერებები, ზემოთ მოყვანილ მუსიკალურ ელემენტებთან ერთად, “რვახმათას” გალობას ანიჭებენ სახეობის (გვარის, ტიპის) მდგრადობასა და მუდმივობას, მოწესრიგებულობას, თვით ხასიათის ერთობას, ასევე აახლოვებს მას ცნობილ ნიმუშთან და იდეალთან – ზეციურ გალობასთან.

“რვახმათას”, როგორც მუსიკალურ-სამგალობლო სისტემისა და საეკლესიო გალობის ძირითადი კანონის, მთავარი დანიშნულებაა, დაიცვას გალობა თვითნებობისაგან, რომელიც შეიძლება გამოიხატოს შეუფერებელი ბგერათრიგის ან სასიმღერო სახეობის არჩევაში, ასევე ისეთი მელოდიების შექმნაში, რომლებიც ეკლესიაში დადგენილ გალობას არ მიესადაგება; და საზოგადოდ – დაიცვას იგი ნებისმიერი შემოქმედებისაგან, რომელიც კანონიკური გალობის კრიტიკუმებთან შეუთავსებელია.

2. დამატება: სხვა ელემენტები

2.1. საგალობლის შემადგენელი ნაწილები

საგალობლების უმრავლესობა, რომლებიც გვხვდება საეკლესო-სამგალობლო წიგნებში⁴, შინაგანი სტრუქტურის თვალსაზრისით შეიძლება განვიხილოთ შემდეგნაირად: ისინი რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილად იყოფიან, რომელთაც მუხლები ეწოდებათ. ყოველ მუხლს აქვს თავისი დასრულებული მუსიკალური

⁴ როგორიცაა პარაკლიტონი, თვენი, მარხვანი, ზატიკო და სხვა.

შინაარსი და ორგანულ კავშირშია წინამორბედ და მომდევნო მუხლებთან. მუხლების მეტ-ნაკლები დამოუკიდებლობის მიუხედავად, ისინი ერთმანეთთან იდეურ-მუსიკალურ და კომპოზიციურ კავშირში არიან და ერთ მთლიანობას ქმნიან, რადგან ერთ საგალობელში იკრიბებიან.

საგალობელი შედგება სამი სახის მუხლისაგან: საწყისი, შუალედური და დამამთავრებელი. საგალობლის გალობა საწყისი მუხლით იწყება და დამამთავრებელი მუხლით მთავრდება. შუალედური მუხლები შეიძლება რამდენიმე იყოს და მათი რაოდენობა საგალობლის სიღიღეზეა დამოკიდებული. ზოგჯერ ხდება, რომ “მსგავსის” ტექსტის ზომა განსხვავებულია იმ სათვითხმოვნოს ტექსტის ზომისაგან, რომლის მელოდიაზეც იგალობება მსგავსი. ასეთ შემთხვევაში, მსგავსის ტექსტზე მელოდის მორგება - მოკლება ან დამატება - შუალედური მუხლების ხარჯზე ხდება. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ შუალედური მუხლების თანმიმდევრობა და მათი გამეორება ან მოკლება-დამატება გარკვეულ კანონზომიერებებსა და წესებს ემყარება.

2.2. მუსიკალური სისტემები

ევროპულ სისტემებთან შედარებისას უნდა გვახსოვდეს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის კანონიკური გალობის მუსიკალური ფაქტურა ყოველთვის არ ექვემდებარება ოქტავური სისტემის კანონებს, რაც დამახასიათებელია ევროპული მაჟორული და მინორული გამებისათვის. ეს თავისებურება ევროპული მუსიკისაგან ბიზანტიური გალობის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია. მელოდიების სტრუქტურა ზოგიერთ ხმაში განსხვავებულ მუსიკალურ სისტემებს ემყარება. საზოგადოდ საეკლესიო (კანონიკურ) ხმებში მელოდიების განვითარება ოთხი სხვადასხვა სისტემით ხდება: ოქტაქორდული, პენტაქორდული, ტეტრაქორდული და ტრიქორდული სისტემებით.

ამ სისტემების შესახებ საუბარი შემდეგი თავის ბოლოს გვექნება.

2.3. გადახრები და გადახრის მუხლები

ბიზანტიური საგალობელი სხვადასხვა ჰანგებისაგან⁵ შედგება, რომლებიც ერთმანეთს ებმიან და ჰანგთა ბმულებს ქმნიან. ხშირად ეს ჰანგები - განსაკუთრებით დასლებლის ტიპის (სტიქარულ) და გამშვენებულ (პაპადიკურ) საგალობლებში – სხვადასხვა ხმასა და სხვადასხვა კილოს განეკუთვნებიან. ამგვარად, საგალობლის ჰანგთა ბმულის შემადგენელი ნაწილები შეიძლება იყოს ერთი და იმავე ან განსხვავებული ხმის, კილოს და/ან ფუძე-ტონის მქონე მელოდიები. ისინი, როგორც წესი, მონათესავე, მუსიკალურად დაკავშირებულ მელოდიებს წარმოადგენენ, რომლებიც საგალობლის სახით

⁵ რუსულში ამ თვალსაზრისით გამოიყენება ტერმინი “І аї აї”, რომელიც ზოგჯერ კილოს მნიშვნელობითაც გვხვდება მაგალითად სადაგი კილო და ა.შ.

ქნიან ჰანგთა ბმულს. ამ შემთხვევაში საგალობლის შემადგენელი მუხლები შეიძლება სხვადასხვა ხმასა და კილოს განეკუთვნებოდეს. ამ მოვლენას სხვაგვარად გადახრასაც უწოდებენ, ხოლო მუხლებს – გადახრის მუხლებს.

საგალობლის საწყის ხმას ძირითადი ხმა ეწოდება, ხოლო სხვა ხმებს, რომელებშიც მელოდია გადადის განვითარებისას, დამხმარე ხმები ეწოდებათ. როგორც წესი, გადახრისას საგალობლის მელოდია ძირითადი ხმიდან დამხმარე ხმაში (ან ხმებში) გადადის და შემდეგ კვლავ ძირითად ხმას უბრუნდება.

თუ ბმა ხდება ერთი და იმავე ხმის, ან სხვადასხვა ხმის, მაგრამ ერთი და იმავე კილოს ჰანგებს შორის, რომელთაც განსხვავებული ფუძე ტონები აქვთ, მაშინ ასეთ ბმას უბრალოდ გადახრას ვუწოდებთ. ხოლო, თუ ბმა ხდება იმ ხმების ჰანგებს შორის, რომელთაც განსხვავებული კილოები აქვთ, მაშინ ასეთი ბმა მოდულაციურ გადახრას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში გადახრის მუხლებს მოდულაციური გადახრის მუხლები ეწოდებათ.

ბმული ხმების ძირითად ტონებს შორის შეიძლება განსხვავებული თანაფარდობები არსებობდეს: ტონიკური (ანუ ემთხვეობნენ ერთმანეთს), ერთ, ორ, სამ და ოთხსაფეხურიანი დაშორებები.

გადახრის მუხლები მელოდიის გამშვენების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენს. ამ ხერხის გამოყენებით მელოდია მეტი ემოციურობასა და გამომსახველობას იძებს. მართალია, გადახრები ერთი ხმის კილოდან მეორე ხმის კილოში საეკლესიო საგალობელთა შემოქმედებაში მიღებული ხერხია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მისი გამოყენება ზომიერებასა და დადგენილ ჩარჩოებში მოქმედებას მოითხოვს. ეს ჩარჩოები იმისთვის არის განსაზღვრული, რომ საგალობელთა შექმნა არ იქცეს თავისუფალი და მიუღებელი მუსიკალური ფორმების შემოქმედებად. მიტომ საეკლესიო გალობაში ყოველი ხმისთვის დადგენილია გადახრის მუხლების რამდენიმე სახეობა, რაც ხმას გამოკვეთილობასა და განსაზღვრულობას ანიჭებს.

2.4. იზოკრატიმა (ისონი)

როგორც ითქვა, ბიზანტიური გალობა თავისი ბუნებით არის ერთხმიანი გალობა, ანუ მისი მთავარი ელემენტია მელოდია, მელოდიური ხაზი. მელოდიური ხაზის გარდა, ბიზანტიურ გალობაში დამკვიდრდა იზოკრატიმა, რომელიც ერთი ან რამდენიმე მგალობლის მიერ ბერის დაჭრას ნიშნავს. მას ისონსაც უწოდებენ (ISOV - თანაბარი) და შემოკლებით – კრატიმასაც. ჩვენ სამივე ტერმინს გამოვიყენეთ, რადგან ისინი სინონიმებია.

გადმოცემის თანახმად ისონმა ახალი აღთქმის ეკლესიასში დავით მეფის ებანი შეცვალა, ანუ იგი თანმხლების ფუნქციას ასრულებს, ისევე როგორც ებანი დავით მეფსალმუნის ხელში. ახალი აღთქმის ეკლესიაში დაშვებული არ არის ინსტრუმენტების გამოყენება, რადგან ქრისტეს ეკლესიაში მუსიკა, გალობის სახით, მხოლოდ სულიერ არსებათა მიერ სრულდება. ისონის გაჩენას და დამკვიდრებას სამგალობლო პრაქტიკში არ შეუცვლია ბიზანტიური

გალობის ბუნება – ერთხმიანობა, რადგან ისონს დამხმარე ფუნქცია აქვს, იგი მხოლოდ აძლიერებს მელოდიის გამომსახველობას და მსმენელის აღქმადობას. მისი მოძრაობა მაქსიმალურად შეზღუდულია – ძირითადად ჭონიკებს – და საეკლესიო გალობაში არ შემოაქვს ჰარმონიული ელემენტი.

ისონი, როგორც გალიბის შემადგენელი ნაწილი, გვხდება უკვე შორეულ წარსულში, არაუგვიანეს X საუკუნისა, ხოლო ზოგიერთი ვერსიით იგი მერვე საუკუნეში დამასკელის რვა ხმასთან ერთად დაკანონდა⁶. მოციქულთა 26-ე კანონის თანახმად, ხდებოდა მგალობელთა ხელდასხმა და მგალობელთა ხარისხში აყვანა. ისონის დაკანონების შემდეგ კი იზოკრატებისათვის - ისონის დამჭერთათვის საგანგებო ხელის დადება შემოიღეს.

ისონის აღნიშვნის ტრადიცია არ ჩანს არც ხელნაწერებში, არც ნაბეჭდ სამგალობლო წიგნებში, რადგან იზოკრატები კარგად ერკვეოდნენ და აცნობიერებდნენ მისი მოძრაობის კანონზომიერებას. ყოვლად დაუშვებელია ისონის მიმართ თავისუფალი დამოკიდებულება, მისი ზედმეტი მიმოსვლა და მელოდიის ჰარმონიზების მცდელობა. ბიზანტიურ გალობაში ისონის მოძრაობას ყოველი ხმისთვის აქვს თავისი, საუკუნების განმავლობაში დადგენილ-განმტკიცებული კანონები და მისი გადაადგილება მხოლოდ კანონის ფარგლებშია დასაშვები.

ისონის გამრავალფეროვნების სურვილი ეწინააღმდეგება მის მისტიკურ დანიშნულებას - გამოხატოს ლოცვის ჭვრეტითი არსი. ის უნდა იყოს ნაკლებად მოძრავი. ისონის თავისუფალ მონაცემებისას, ჯერ ერთი, ბიზანტიური გალობისათვის უცხო ელემენტები შემოაქვს, და გარდა ამისა, საგალობლის შინაგან წყობასაც არღვევს. ისონის დანიშნულებაა, ხელი შეუწყოს მელოდიის სწორ აღქმას, ხაზი გაუსვას გალობის კილოს სტრუქტურას და მდგრადობა მისცეს ბერების ტონალურ სიმაღლეებს, ანუ მკაფიო გამომსახველობა მიანიჭოს მელოდიას და მსმენელისათვის მეტად და ზუსტად აღქმადი გახადოს. ისონი შეიძლება იგალობებოდეს სიტყვებით ან რომელიმე ხმოვნის გაბმით. იმ შემთხვევაში, როდესაც ისონი სიტყვებით იგალობება (მაგალითად, ირმოლოგიურ და სხვა სწრაფ საგალობლებში), აუცილებელია, ისონის არტიკულაცია აბსოლუტურად შეერწყას მელოდიის შემსრულებლის ხმის არტიკულაციას, მისდევდეს მის დინამიკურ პლასტიკას და არ არღვევდეს გალობის რიტმულ სტრუქტურასა და ტემპს. ძლისპირის სახის გალობისაგან განსხვავებით, პაპალიკური და, ნაწილობრივ, დასდებლის სახის გალობისათვის დამახსინებელია ისონის გაბმით გალობა, იზოკრატის მიერ რომელიმე ხმოვანი ბერების დაჭრა.

ქვემოთ მოკემულია იზოკრატიმას ხუთი ძირითადი ტიპი:

- მდგრადი (სტაბილური) ისონი - როდესაც იზოკრატს საგალობლის კილოს ფუძე ტონი უჭირავს და მისგან არ გადადის იმ შესაძლო შემთხვევის

⁶ “Í ðèæðanýí áðí (olmbo, a.ú.) áðí æð í àðæðí ðí ñé i ðaúðááí êà áððááí i ñò, í ðí áðæðí i ôðí áí i è òçáæðí i áí i çàððáí i ñ Áðí àñêðí i áí ðí i ñí i áðæðanýí êúðí i ñí i ðí ñòi èððæð”, Í áðouð Áðí áá, “Í áþ èððái Áúçéððamí èð”, Ní ðe ðí 2000, n.44

გარდა, როცა ის საგალობლის კადენციებში უერთდება მელოდიურ ხაზს. წშირად ხდება იზოკრატიმას დუბლირება ოქტავით ქვევით.

- იზოკრატიმა ტეტრაქორდის ფუძე ტონზე – იზოკრატიმას უფრო გავრცელებული ფორმა: იზოკრატს უჭირავს ტეტრაქორდის ფუძე ტონი და როდესაც მელოდია კილოს ერთი ტეტრაქორდიდან გადადის მეორეზე, ისიც გადადის მეორე ტეტრაქორდის ფუძე ტონზე და მხარს უჭერს მელოდიურ ხაზს.
- მოძრავი ისონი დომინანტურ ტონებზე – იზოკრატიმას უფრო მოძრავი ფორმა. იგი დგას მიმდევრობითი მელოდიური ფრაზების დომინანტურ ტონებზე მათი მხარდაჭერის მიზნით. ჩვეულებრივ, ყოველი მელოდიური ფრაზის მხარდაჭერა ხდება იმ დომინანტური ნოტით, რომელზეც მისი კადენცია ჩერდება.
- შედგენილი იზოკრატიმა – იმ ტრადიციის გარდა, რომელიც მელოდიას ერთი ტონის დაჭერით უბამს მხარს, არსებობს მეორე, ასევე ძველი ტრადიცია შედგენილი იზოკრატიმისა, რომელიც ფუძე ტონისა და რომელიმე დომინანტური ტონის ერთდროულად დაჭერით სრულდება.
- ნახევრადჰპარმონიული იზოკრატიმა. ზოგიერთი ლოტბარი, მელოდიის ჰპარმონიული გამშვენების მიზნით, თავისუფლად მოძრავ იზოკრატიმას იყენებს, რომელიც სხვადასხვა ნოტზე გადადის. ასეთი ფსევდო-ჰპარმონიული უვერტი ნამდვილ ბიზანტიურ გალობაში მიღებული არ არის და არ უნდა გამოვიყენოთ.

რაც შეეხება თავად ისონის შესრულების პრაქტიკას, იგი უმრავლეს შემთხვევაში ხმის გამის ან ტეტრაქორდის ტონიკას ემთხვევა. წარმოადგენს რა მელოდიის ქვედა წერტილს, ისონის მოძრაობა ფრიად შეზღუდულია. უმრავლეს შემთხვევაში იგი უძრავია და მელოდიის საყრდენად გვევლინება. ისონის მოძრაობა ძირითადად დაკავშირებულია მელოდიის ზედა მიმართულებით განვითარებასთან, როდესაც მელოდია გადადის ზედა ტატრაქორდში ან უფრო ზევით და გამის გაბატონებული ბგერების (სუბდომინანტას ან დომინანტას) გავლენის სფეროში ექცევა. მისი მოძრაობა ასევე უკავშირდება მელოდიურ გადახრებს, როდესაც კილო და ტონიკა იცვლება. კერძოდ, ქვედა მიმართულებით მელოდიის განვითარების დროს, როდესაც მელოდია ჩადის ფუძე ტონს ქვემოთ, ხშირია ისონისა და მელოდიის უნისონური მოძრაობა. გადახრების შემთხვევაში, როგორც წესი, მელოდია კვლავ ხმის ძირითად ტონალობას უბრუნდება და, შესაბამისად, ისონიც ძირითად ტონიკას უბრუნდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისონი გამის ფუძე ტონსა და მელოდიას შორის ამყარებს კავშირს.

წესები, რომლის მიხედვითაც ისონის მიმოსვლა ხდება, შემდეგია:

1. როდესაც მელოდია გამის ძირითადი ტონის ფარგლებში მოძრაობს, მაშინ ისონს უჭირავს ტონიკა.
2. როდესაც მელოდია IV საფეხურის გავლენის სფეროში გადადის, მაშინ ისონი სუბდომინანტაზე გადადის.

3. როდესაც მელოდია V საფეხურის გავლენის სფეროში გადადის ან პენტაქორდული სისტემის ზედა ტეტრაქორდში ვითარდება, მაშინ ისონი დომინანტაში გადადის.

მრავალი ხმის კილოში, განსაკუთრებით I და V დიატონურ ხმებში, ისონის საკითხთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია “ზო”-ს დადაბლების საკითხი. მოქმედებს შემდეგი ზოგადი წესი (თუმცა, შესაძლოა, გვქონდეს გამონაკლისები):

1. როდესაც მელოდია განვითარებისას აღწევს ზო-ს და უკან ბრუნდება, მაშინ ზო დაბლდება.
2. როდესაც მელოდია ზედა ნი-ს აღწევს და უკან ბრუნდება, ზო მაშინაც დაბლდება⁷.
3. როდესაც მელოდია ზედა პა-ს აღწევს ან უფრო ზევით გადადის, ანუ მელოდია ისე ვითარდება, როგორც პენტაქორდული სისტემის გამოყენების დროს, მაშინ ზო არ დაბლდება.

ამ საკითხთან ისონის მიმართებას შემდეგი კანონზომიერება ახასიათებს:

1. როდესაც ისონი დგას ტონიკაზე დიატონურ ხმებში (მაგ. I ან V) და მელოდია “ზო”-ს აღმავალი ან დაღმავალი მიმართულებით გაივლის, მაშინ “ზო”, როგორც წესი, დადაბლებულია.
2. როდესაც ისონი სუბდომინანტაში გადადის და მელოდია მის მიმართ განვითარებისას გაივლის “ზო”-ს, მაშინ მისი ამაღლება-დადაბლების საკითხი დამოკიდებულია კილოს ინტერვალებზე, ანუ ზედა ტეტრაქორდის ან პენტაქორდის ინტერვალებზე და იმაზე, თუ როგორი სისტემითაა აგებული საგალობელი.
3. როდესაც ისონი გადადის V საფეხურზე, დომინანტაზე, მაშინ არც ერთ დიატონური ხმის კილოში “ზო” არ დაბლდება.

2.5. ხმის მუხლები და ხმის ჰანგის რიტმი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხმის ჰანგი ერთი ან რამდენიმე მუსიკალური ფიგურისაგან შედგება, რომელთაც სტრიქონებს ან მუხლებს ვუწოდებთ. თუ ხმის ჰანგი რამდენიმე მუხლს შეიცავს, მაშინ ისინი საწყის, შუა და დამასრულებელ მუხლებად იყოფიან. საწყისი მუხლი, როგორც წესი, მხოლოდ საგალობლის დასაწყისში გამოიყენება. თუ იგი განმეორებით გამოიყენება საგალობლის ტექსტის გაგალობებისათვის, მაშინ მას მივაკუთვნებთ შუალედურ მუხლებს. საგალობელს შეიძლება რამდენიმე შუალედური მუხლი ჰქონდეს. საგალობლის ტექსტის გაგალობებისათვის ისინი შეიძლება განმეორებით გამოვიყენოთ ერთხელ ან რამდენიმეჯერ. ამ დროს შესაძლებელია, შუალედურმა მუხლმა განიცადოს გარკვეული წესით მცირედი ცვლილება, რის შედეგადაც ამ მუხლის “ვარიანტი” მიიღება. დამასრულებელი მუხლი მხოლოდ საგალობლის დასრულებისათვის გამოიყენება.

⁷ გამონაკლის შემთხვევებში აღმავალი მიმართულებით “ზო” ჩვეულებრივია, ხოლო დაღმავალი მიმართულებით – დადაბლებული.

ხმის ჰანგები, როგორც წესი, რამდენიმე მუხლისაგან შედგება. ეს მუხლები, მათი მუსიკალურ-ბევრითი მასის ძალისა და დაბაბულობის მიხედვით, შედარებით ძლიერ და შედარებით სუსტ მუხლებად იყოფა. ასეთ მუხლებს შორის იმგვარი თანაფარდობაა, რომ საგალობლის მელოდიაში ბერა ხან ძლიერდება, ხან სუსტდება: ძლიერ მუხლს სუსტი მუხლი მოსდევს და პირიქით.

ასევე ყოველი მუხლის შემადგენელი ბერები ძლიერ და სუსტ ბერებად იყოფა. ძლიერს წარმოადგენს ის ბერა, რომელზეც მუსიკალური ან ტექსტური მახვილი მოდის, სუსტებს კი – ნაკლებად გამომსახველობითი ძალის მქონე მუსიკალურ-ტექსტური ბერები. მუხლებში ძლიერი და სუსტი ბერები ერთმანეთთან მონაცემებენ - ძლიერ ბერას სუსტი მოსდევს და პირიქით. შესაბამისად, მელოდიის რიტმული თვლაც ძლიერი და სუსტი თვლების მონაცემების მიმდევრობას წარმოადგენს. თუ გვაქვს ორი სუსტი ბერა ერთმანეთის მიმდევრობით, მაშინ ისინი, როგორც წესი, ერთ რიტმულ თვლაში აიღება, ამასთან სუსტ თვლაში.

როგორც წესი, სწორედ სუსტ ბერებზე ხდება მუხლის ზომის გაგრძელება - ეს სუსტი ბერისათვის იმავე სიმაღლის და, ტექსტიდან გამომდინარე, საჭირო რაოდენობის ბერების დამატებით ხორციელდება, რაც ხშირად რეჩიტატივის სახესაც იღებს. ამასთან, უნდა ვეცადოთ, რომ დამატებითი მარცვლები რამდენიმე სუსტ ბერაზე გადავანაწილოთ, რათა გრძელი და მუსიკალური ქარგიდან ამოვარდნილი რეჩიტატივები არ მივიღოთ. იმ შემთხვევაში, როდესაც ტექსტი მოკლეა, მუსიკალური ფრაზა კი – გრძელი, და არ გვინდა, რომ საგლობლის სილაბურთან მიახლოებული ფორმა დაირღვეს, მუხლის მუსიკალური ზომის შემცირებას ვახდენთ. ესეც, მირითადად, ერთი და იმავე სიმაღლის სუსტი ბერის მიმდევრობიდან რამდენიმე (საჭირო რაოდენობის) ბერის მოკლებით მიიღწევა.

საგალობლის მუხლი შეიძლება იწყებოდეს როგორც ძლიერი, ასევე სუსტი ბერით. იმ შემთხვევაში, თუ მუხლი ძლიერი ბერით იწყება, ხოლო ტექსტი – სუსტი მარცვლით, მაშინ მუხლის პირველ ძლიერ ბერას წინ უსწრებს წანამღერი, ანუ იმავე სიმაღლისა და საჭირო რაოდენობის სუსტი ბერები. რიგ შემთხვევაში ხდება მუხლის ზომის არა შემცირება, არამედ ტექსტის რომელიმე მარცვლის გამღერება, ანუ ამ მარცვლისათვის რამდენიმე მუსიკალური ბერის შეთანადება (გამონაკლისის სახით – თვით სილაბური ტიპის საგალობლებშიც). ეს იმისთვის კეთდება, რათა ბერების დამატება-მოკლების ზემოთ მოვანილ წესთან ერთად მივაღწიოთ მელოდიისა და ტექსტის ძლიერი და სუსტი მარცვლებისა და ბერების, აღმავალი და დაღმავალი ხაზების ერთმანეთთან შეთანადებას.

რადგან საგალობლის მელოდია ტექსტთან ერთად იგალობება, ამიტომ მისი რიტმიკა და ტემპი მნიშვნელოვნად განისაზღვრება ამ ტექსტით. ამავე მიზეზით, საგალობლის რიგი ბერების გრძლივობა ყოველთვის ზუსტად არ სრულდება, - ზოგჯერ გრძელდება, ზოგჯერ კი მოკლდება, იმის და მიხედვით, თუ რომელ სიტყვასა და მარცვალს შეესაბამება ეს ბერები. ძლიერ მახვილიან

მარცვალზე ბგერა შეიძლება რამდენადმე გაგრძელდეს, ხოლო თუ ბგერა ედება სუსტ მახვილიან მარცვალს ან წარმოადგენს მოტივის სუსტ ბგერას, იგი შეიძლება შემოკლდეს. მაგალითად, წარმოთქმით (რეჩიტატულ) ნაწილში ბგერები მათ გრძლივობებთან შედარებით უფრო სწრაფად იგალობება. ამგვარად, საგალობლის მელოდიის ბგერები გრძელ და მოკლე ბგერებად იყოფა.

ტექსტის გაგალობებისათვის მუხლის ვარიანტის მისაღებად ძირითად საშუალებებს ზემოთ მოყვანილი წესები წარმოადგენენ, რომელთა პრაქტიკული განხორციელება გარკვეულ გამოცდილებასა და შემოქმედებით მიღეობას საჭიროებს. უნდა ვეცადოთ, რომ მათი გამოყენებით მუსიკალური ფრაზების დინამიკა ტექსტის ფაქტურამ არ დაარღვიოს, მუსიკისა და ტექსტის აღმავალი და დაღმავალი ემოციური ხაზები ერთმანეთს შეესაბამებოდეს, მუსიკალური და ტექსტურ-ინტონაციური მახვილები ერთმანეთს არ სცილდებოდეს, ძლიერ და სუსტ მუსიკალურ ბგერებს შესაბამისი ექსპრესიის ტექსტური მარცვლები ედებოდეს. ამასთან, უნდა გვახსოვდეს მთავარი პრინციპი: კანონიკური მელოდია რაც შეიძლება უცვლელად უნდა შევინარჩუნოთ. საგალობლის მელოდიის თანხვედრა სიტყვასთან რიტმულ ზომაში და ტემპში, საზოგადოდ, მელოდიის ყოველმხრივი შერწყმა ტექსტთან იმდენად სრული და ღრმა უნდა იყოს, რომ ხმის მელოდიები სიტყვა-მელოდიებად უნდა აღიქმებოდეს, ხოლო გალობა წარმოადგენდეს არა იმდენად საკუთრივ მელოდიას, რამდენადაც მელოდიაში გარდამავალ მეტყველებას.





თავი IV

ბიზანტიური გალობის ნოტაციის სისტემა და ნიშნები (ნევმები)

მიწად ბიზანტიური გალობი - როგორი ყვითლით იგი! სოლის
ორბლივის და თბილების. სხვლი სტანდარტის გალობი მიზანი
სოლის მდგრადობის გარეთ აძლევთ ეს. ეს ლითაციონი
მხიარულება! ასე ერთი გრძელ აძლიერების და ტაბადის
გულითად ქსიარება მიზანის ეს. თუ კი ამავე გრძელ აძლიერების
თასახლისამართის იმა, რასაც გალობის, მამი, თა სიცემის დადგითით
მიუწვდომოთ, იგი თავადაც უკრძალო და ისიც უკრძალო, უკრძალო.

ძრო პირი (მოხმილეები)





თავი V რვაწმათას კანონიკური ხმები

Sაკულესონ ციძიკონის მოთხოვდთ შესაბამისად, თითოეული საგადლობელი გამოეკვლეს ხმაზე იუტლობებით (პირებულიფაზ ძე-ბემის ჩათვლით). ნამდვილი სრულდებოდ საგადლობელი, გრავიური ლოგოთი განხილული იქნებოდა მიმღებობის მრავალის გულას. ყოთის მტერობიდან შემდობა ითვალისწინებული საგადლობელი საგადლობელი სისტემის გადამდებრების შესახებ თავის სრულდებოდ, ის მხოლოდ სიცილითა და მათ გარეობრივი გამოხატვის შესახებ კი განხილული დოფინ: პირებული ადამიანის შემოწმენა, ხოლო მოლენ სისტემის განვითარების განვითარების.

თავისის სისურვეზო იყდებოდა და სიმინდის
როცხულელი ჭრისა, 1995 წ., №1





თავი VI

წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება და შემოქმედება

d ამსკურამძე თითოეულ ადგილობრივ გულესისა
და თითოეულ პოსტის სატყობრივი ციხის
ჭრიდა, ხოლო წმინდა იოანე დამასკელის
შემოქმედით ფატიროდა სატყობრივი ეკითიდობა
გორგი მამადონოსი





თავი VI

წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება და შემოქმედება

მრავალი თვალსაზრისით მიზანშეწონილად ჩავთვალეთ ამავე წიგნში მოგვეთავსებინა მასალა წმ. იოანე დამასკელის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. მასალა ამოკრებილია სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის, წიგნიდან - “წმიდანთა ცხოვრება” წმ. იოანე როსტოველის რედაქციით; გეორგიოს ი. პაპადოპულოსის წიგნიდან¹, თავი: იოანე დამასკელი – ღმრთ. ბიზანტიური მუსიკის მომწესრიგებელი და განმაახლებელი; წიგნიდან – Î ÖÅDEÎ ÁÍ Î Ì Ê ÁÍ ÈÈ, ÑÁÍ ÍÍ ე ე შბაბაშ, “Ëî ააყ”, 1. 2001, და სხვა წყაროებიდან.

საეკლესიო გალობის რაობა წმ. საეკლესიო გადმოცემის სფეროს განეკუთვნება. წმ. გადმოცემა განსაზღვრავს სწავლებას საეკლესიო გალობის შესახებ. წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება და შემოქმედება წარმოადგენს ამ წმ. გადმოცემის შემადგენელ ნაწილს და ყველა მართლმადიდებელმა, მეტადრე მათ, ვინც თავს უფლებას აძლევს, აზრი გამოთქვას და ისაუბროს გალობის თემაზე, უნდა იცოდეს იგი. წმ. საეკლესიო გადმოცემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სრულიად ნათლად და მკაფიოდ გვასწავლის, რომ წმ. იოანე დამასკელის მიერ სეკლესიო გალობა ქრისტეს ეკლესიაში დადგენილ იქნა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კურთხვეითა და სულიწმიდის დახმარებით, და მეორედ მოსვლამდე იქნება; რომ საღვთისმსახური წიგნებში მითითებულია იოანე დამასკელის, კოსმა მაიუმელის, ანატოლის, თეოდორე სტუდიელის, პავლე ამორეველის, მიტროფანე სმირნელის, კონსტანტინე პორფიროსანის, ლეონ ბრძენისა და სხვა ბიზანტიურ საგალობელთა შემოქმედი ეკლესიის წმინდა მამებისა და კომპოზიტორების მიერ დამასკელისეული კანონიკით შექმნილი საგალობლები; რომ ეს საღვთისმსახურო წიგნები ერთია ყველა ადგილობრივ ეკლესიაში და ისინი ადასტურებენ ქრისტეს ეკლესიის კანონიკურ ერთიანობას. საეკლესიო გალობის ისტორიის ის პერიოდი, რომლის დროსაც ბიზანტიური გალობა იქცა ქრისტეს ეკლესიის კანონიკურ გალობად, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია წმ. საბა განწმენდილის მონასტერში ეკლესის უდიდესი მამის, წმ. იოანე დამასკელის მოღვაწეობასთან, რომლის სამგალობლო

¹ ქრისტეს დადი ეკლესიის დადი პროტეპტიკოსი და კონსტანტინეპოლის ეკლესიის მუსიკალური სკოლის დირექტორი გეორგიოს ი. პაპადოპულოსი, “ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ისტორიული მიმოხილვა (მოციქულთა ხანიდან ჩვენს დრომდე (1-1900 ა.წ.)”, გამომც. “ტერტიოს”, კატერინი, 1-ლი გამოცემა, ათენი., 1904 წ., შუა საუკუნეების საეკლესიო მუსიკა (700-1453), პერიოდი მე-3, იოანე დამასკელი – ღვთ. ბიზანტიური მუსიკის მომწესრიგებელი და განმაახლებელი.

შემოქმედება წარიმართა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის კურთხევითა და სულიწმიდის შთაგონებით. აღსანიშნავია, რომ წმ. იოანე დამასკელთან და წმ. კოსმა მაიუმელთან ერთად საბატმინდის მონასტერში მოღვაწეობდნენ სხვა, მათ შორის, ქართველი მამებიც, რომელთა კრებისთი ღვაწლისა და შემოქმედების შედეგად წარმოდგა ღვთივკურთხეული, ერთიანი ეკლესიის კანონიკური გალობა, ბიზანტიურად წოდებული. სწორედ წმ. საბა განწმენდილის მონასტერში წმ. იოანე დამასკელის, წმ. კოსმა მაიუმელისა და სხვა წმინდა მამათა მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს მართლმადიდებელი ეკლესიის ტიპიკონის შექმნა და დამკვიდრება, ტიპიკონისა, რომელიც დღემდე მოქმედებს საქართველოს ადგილობრივ ეკლესიაში და რომლის ორგანულ და განუყოფელ ნაწილსაც შეადგენს ბიზანტიური გალობა. უმთავრესად ამის გამო ბიზანტიურ გალობას ეწოდა კანონიკური საეკლესიო გალობა. ი. პაპალოპულოსი ზემოთ დასახელებულ წიგნში აღნიშნავს: “აქვე დავსძენდით იმასაც, რომ დამასკელისა და კოსმა მელოდოსის ახალმა საგალობლებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს საეკლესიო მსახურების ციკლი. ამიტომაც მართებდა დამასკოს ღვთიურ მნათობს, თავიდან განეხილა წმ. საბა განწმენდილის ფასდაუდებელი ტიპიკონი², რომელიც მოიცავს ძველთავანვე კურთხეულ საგალობლებს და რომელმაც გადმოვცა საეკლესიო მსახურების მთელი წესი. დამასკელამდე თითოეულ ადგილობრივ ეკლესიასა და თითოეულ მონასტერს საკუთარი ტიპიკონი ჰქონდა, ხოლო წმ. იოანე დამასკელის შემოქმედებით დამყარდა საეკლესიო ერთიანობა”.

წმ. იოანე დამასკელის ცხოვრება³

‘იგი იგაღობამს სულიმრ, ზეციშრ ჰანგმბს და
მიბაძავს ჩერუბიმთა გაღობას’

«. . . “იოანე დამასკელი დაიბადა ასურეთის დედაქალაქ დამასკოში დაახლოებით 680 წელს. იმ დროისათვის ასურეთი დაიპყრეს არაბმა ბედუინებმა, რომლებმაც ქრისტიანები ისე შეაგიწროვეს, რომ შვილების მონათვლასაც კი უკრძალავდნენ. აგარიანელთა დროს იოანეს მამას მაღალი თანამდებობა ეკავა და ფარულად ეხმარებოდა ქრისტიანებს. უფალმა ისევე დაიცვა იგი, როგორც იოსები ეგვიპტელებთან და დანიელი - ბაბილონელებთან. მშობლებმა ფარულად მონათლეს ვაჟი და იოანე დაარქვეს, რაც ებრაულად ღვთის წყალობას ნიშნავს. იოანეს მამამ შვილი და, მასთხ ერთად, ნაშვილები ობოლი, სახელად კოსმა, წარმოშობით იერუსალიმელი, აღსაზრდელად მიაბარა აგარიანელთა ტყვეობიდან

² წმ. საბა განწმედილის ტიპიკონი ჩვენს ეკლესიაში დღესაც ხმარებაშია.

³ მასალა ამოკრეფილია წიგნიდან: “წმიდანთა ცხოვრება” წმ. დიმიტრი როსტოველის რედაქციით (თარგმანი გადმოღებულია წიგნიდან “ასე გალობდნენ ძველად საქართველოში”, თბილისი, 2001წ); ბ) “ცხოვრება წმიდისა იოანე დამასკელისა” თარგმანი ეფრემ მცირისა (ძველქართული ტექსტი);

გამოსყიდულ იტალიელ ბერს კოსმას, რომელიც ფრიად განსწავლული იყო როგორც საღვთისმეტყველო და საერო მეცნიერებებში, ასევე მუსიკის ხელოვნებასა და გალობაში. აღსაზრდელები საოცრად ბეჯითნი აღმოჩნდნენ. შემდგომში იოანემ და კოსმამ წმ. საბას ლავრაში დაასრულეს სრულყოფა. მოგვიანებით კოსმა პალესტინაში მაიუმის ეპისკოპოსად დაადგინეს.

ბერად აღკვეცამდე დამასკოში იოანეს საკმაოდ დიდი თანამდებობა ეკავა. ამ დროს საბერძნეთში მეფობდა ხატებრძოლი ლევ ისავრიელი, რომელმაც არნახული დევნა გამოუცხადა ქრისტიანობას. იოანე თავის ნაცნობ ბერძენ ქრისტიანებს ამ საშინელი ერესის საწინააღმდეგო ეპისტოლებს უგზავნიდა, რითაც მათ განსაცდელის უამს აძლიერებდა. განრისხებულმა და მზაკვარმა ბერძენმა მეფემ ამის გამო ცბიერებით დაარწმუნა აგარიანელთა მთავარი, იოანე შეთქმულებას გიწყობს და დასაჯეო. განრისხებულმა არაბმა მთვარმა მარჯვენა ხელი მოჰკვეთა უდინაშაულო იოანეს. და აი, აღსრულდა სასწაული: ტკივილებისაგან გულშეღონებულმა იოანემ მოკვეთილი მარჯვენა აიღო, თავის სალოცავ ოთხში შევიდა, მოკვეთილი ნაწილი სახსართან მიიღო, ღმრთისმშობლის ხატის წინ დაემსო და შველა სთხოვა. ლოცვისას მას ჩაეძინა და ქალწული მარიამი იხილა, რომელმაც ხელი განუკურნა. გამოღვიძებულმა იოანემ ნახა, რომ მოკვეთილი ნაწილი ისე შეზრდოდა სახსარს, მოკვეთის ადგილზე მხოლოდ წვრილი წითელი ზოლიდა დარჩენილიყო. სიხარულით აღვსილი იოანე თავის სახლეულთან ერთად მთელი ღამე სამადლობელ გალობას აღუვლენდა უფალს. მაშინ იშვა ახალი გალობა, რომელიც შემდგომში პირველ ხმას დაედო საფუძვლად: „მარჯვენა შენი, უძლეველი ღუთივშუენიერი“.

„სამხელინად“ წოდებული ღვთისმშობლის ეს სასწაულმოქმედი ხატი ათონის მთაზე სერბთა მონასტერში ინახება. იმ

ნაჭერს კი, რომელშიც გახვეული იყო მისი მოკვეთილი ხელი, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დიდებული სასწაულის აღსანიშნავად წმ. იოანე მოუხსნელად თავსაბურავად ატარებდა.

წმ. საბას ლავრაში სულიერმა მოძღვარმა, მორჩილებისათვის, იოანე დამასკელს ყველნაირი საღვთისმეტყველო წერილებისა და წიგნების წერა აუკრძალა.

“რომელსა იგი შემდგომად მცირედთა დღეთა ჩუენებით გამოუჩნდა წმიდა ღმრთისმშობელი და ეტყოდა: რა სა დაგიყოფიეს წყარო და არა დაუტევებ განფენად ნაკადულთა მათ ოქრონექტარისათა? . . .”; “დაახშე წყარო ტკბილი და უხვი წყლისა – წყალი, რომელიც უკეთესია უდაბნოში კლდიდან გადმოსულისა⁴, წყალი – რომელიც სწყუროდა დავითს, წყალი – რომელიც უფალმა აღუთქვა სამარიტელს⁵.



⁴ ოგულისხმება მოსეს სასწაული

⁵ ანუ სულიწმიდის მადლი

ნუ გადაუღობავ წყაროს დინებას: იგი უხვად გადმოდინდება და მთელ სამყაროს დაფარავს და დაარწყულებს, დაფარავს ერესთა ზღვებს და მათ საოცარ სიტკბოებად გადააქცევს. დაე, მწყურვალნი ამ წყალს დაეწაფონ, და მათ, ვისაც წმიდა ცხოვრების საუნჯე არ გააჩნია, დაე, გაყიდონ თავიანთი მიკერძოებანი და სათხომყოფელ იოანეს მიბაძვით მოიპოვონ სიწმიდე დოგმატებისა და სიწმიდე საქმეებში. იგი აიღებს წინასწარმეტყველთა ებანს, დავითის ფსალმუნებს, უფალს ახალ გალობას აღუვლენს, რაც მოსესა და მარიამის გალობას აღემატება. არაფერი იქნება მასთან შედარებით ორფეოსის უსარგებლო სიმღერა, რომლებზეც ზღაპრებში მოგვითხრობენ . . .

იგი იგალოებებს სულიერ ზეციურ ჰანგებს და მიბაძავს ქერუბიმთა გალობას. იერუსალიმის ყველა ეკლესიას⁶ ქალწულთ ებანზე დამკვრელად გარდააქცევს, რათა უგალობონ უფალს, მიუთხრან ქრისტეს სიკვდილი და აღდგომა. იგი მართლმადიდებლობის დოგმატებს დაიცავს და ერეტიკოსთა ცრუ სწავლებებს ამხელს. გული მისი აღმოთქვამს სიტყვას კეთილს და მიუთხრობს საქმეთა მეუფისათა“.

“ზემთა გარდამეტებულად ეგულვების იოანეს შემკობად ეკლესია და ღმრთისა და სიხარულევან-ყოფად დღესასწაულებსა და წმიდათა სა სენებელსა ყოვლადბრძნითა მით სიტყუათა მისთა შეწყობილებითა და საგალობელთა მატებილობითა, რომლითა ყოველნი მორწმუნენი განანათლენ მართლმადიდებლობამან შჯულთა მისთამან და საზოგადოდ საშუალებელად ცხოვრებისად დაუტევნეს მათ ღმრთივშუენიერი სწავლანი თ სნი. ვინა ცა ამიერითგან უბრძანე მას თქუმად, რა ცა სთნდეს, რამეთუ ნუგეშინისმცემელი და ყოვლადწმიდა სული იტყ ს ენით მისით”.

“მოძღვარმა გათენებისთანავე დაუბახა იოანეს და უთხრა: „ქრისტეს მორჩილო შვილო, გახსენ ბაგენი შენნი, და ის, რაც გულით აღიქვი, ბაგებით აღმოთქვი, დაე მათ იღაღადონ სიბრძნე, რომელიც შენ გულისხმაპყავ ღმერთზე ფიქრისას, გახსენ პირი შენი არა უქმი თხრობისათვის, არამედ ჭეშმარიტებისათვის, არა მჩხიბაობისათვის, არამედ დოგმატებისათვის; მიუთხარ გულს იერუსალიმისას, ანუ შსოფლიო ეკლესიას, რომელიც ჭვრეტს ღმერთს. ილაპარაკე არა პაერში გაბნეული უქმი სიტყვებით, არამედ იმ სიტყვებით, რომლებიც სულიწმიდამ ჩაგიბეჭდა გულში. სინას ადი ღვთის ჭვრეტისა და ღმრთის საიდუმლოებათა გამოცხადების სიმაღლეზე და რაღგან შენი თავმდაბლობით ჩახვედი ამ სიღრმეში, ახლა ადი კლდესა ზედა ეკლესიისასა და იქადაგე და ახარე იერუსალიმს, თამამად აღიმაღლე ხმა, რადგან მრავალი სასახელო რამ მითხრა შენ შესახებ

⁶ იგულისხმება ქრისტიანული ეკლესია

ღმრთისმშობელმა. მე კი გევეღრები, შემინდე, რომ გიშლიდი ჩემი უხეშობისა და უმეცრების გამო“.

“ესრეთ განი სნა რა დუმილისაგან მისის ყოვლადბრძნი იოანე, ვითარცა განბრძნობილი საღმრთოთა შინა, და ეპრძან სიტყუად და სწავლად ბერისა მის მიერ, იწყო გამოთქუმად გალობებსა აღდგომისას და საუფლოთა სდესასწაულთასა და განაწყო დასდებლები სტიქარონთა ”.

“იმ დღიდან მოყოლებული, ნეტარმა იოანემ დაიწყო საღვთისმსახურო წიგნების წერა და მასზე კეთილხმოვანი გალობის გაწყობა. მან შეაღვინა „რვახმათა“, რომელიც როგორც სულიერი სტკირი, დღემდე ახარებს ღმრთის ეკლესიას. თავისი პირველი წიგნი იოანემ დაიწყო შემდეგი სიტყვებით: „მარჯვენა შენი, უძლეველი დუთივშუენიერი“. ეს არის „რვახმათას“ პირველი ხმის პირველი ძლისპირი. „რვახმათას“ დაკანონებამ შეცვალა და განაახლა საეკლესიო ღმრთისმსახურების წესი⁷.

წმ. იოანე დამასკელის სიცოცხლეშივე რვა ხმათა მთელმა აღმოსავლეთის ეკლესიამ მიიღო, ცოტა ხნის შემდეგ კი დასავლეთის ეკლესიაშიც გავრცელდა.

საეკლესიო გალობას „რვახმათამ“ განსაზღვრულობა და ერთგვაროვნება მიანიჭა, რითაც იმ დროისათვის გაბატონებულ მოუწყობლობას დაუდო ზღვარი. მრავალფეროვანი მელოდიებიდან მან ეკლესიური გალობისათვის უპირატესად ისინი აირჩია, რომელნიც ქრისტიანთათვის საკადრის გრძნობებს გამოხატავენ, ხოლო ის მელოდიები, რომლებიც ვნებებს აღაგზნებენ, განაგდო. იგი შემოიფარგლა რვა ხმით, რათა მღლოცველები არ გართულიყვნენ მელოდიების ხშირი ცვალებადობით; თითოეული ხმა განსაზღვრულ და ამასთანავე ღირსეულ გრძნობას აღძრავდა.

ჰანგის⁸ განსაზღვრულობამ თვითნებურად შეთხზულ, ნატიფ, გაფანტულ, არაღმრთისსათნო ხელოვნებას ბოლო მოუღო; ხოლო უბრალოებამ, რამაც თავმდაბალი ქრისტიანული ლოცვის უბრლოება გამოხატა, სული ლოცვისათვის განაწყო, გამოიყენა იგი ამაღებაზე ფიქრებიდან, თითქოსდა უფლის საყდრამდე აღამაღლა. რვა ხმა ამავე დროს ზეციური იერარქიის რვახმოვანებაზე მოუთითებს, ასე ადიდებებ უფალს ღმრთისმშობელი, ანგელოზები, წინასწარმეტყველები, მოციქულები, მღვდელმთავრები, მოწამენი, ღირსნი და მართალნი. „რვახმათას“ გალობა ღმრთის ტახტის წინაშე მარადიულად მოზეიმე წმიდანების დაუდუმებელ სულიერ და საიდუმლო გალობას მიანიშნებს” . . . »



⁷ როდესაც იოანე დამასკელმა საბაწმიდის მონასტერში დაიწყო სამგალობლო-მუსიკალური შემოქმედება, იგი დაახლოებით 60 წლის იყო. მან შექმნა წმინდა პასექის საუცხოო შახურება, დაწერა 64 კანონი, უამრავი დასდებელი და როგორც გვირგვინი თავის შემოქმედებისა - პარაკლიტონი (“რვა ხმათა” ანუ ოქტოიქოსი).

⁸ ი ამ აბა

« დამასკელის პოეტური და სამგალობლო შემოქმედება⁹

წმ. იოანე დამასკელის შემოქმედება 5 ნაწილისაგან შედგება – წმინდა ფილოსოფიური, ანუ დიალექტიკური, ჰერმენევტიკული (განმარტებითი), ანუ კრიტიკული, საღვთისმეტყველო, პოეტური და სამგალობლო, ანუ მუსიკალური.

ღვთაებრივმა დამასკელმა, როგორც ჰიმნოგრაფმა და გამოცდილმა მუსიკოსმა, მიმოიხილა თავისი ეპოქისდროინდელი სადა, მარტივი სახის ფსალმოდია¹⁰ და ხელი მიჰყო მის მოწესრიგებასა და კანონიზაციას. მან შეადგინა რვახმათა (ოქტოიქოსი, იგივე პარაკლიტონი – ა.უ.) რვა ხმის მიხედვით. ეს ხმები ნასაზრდოები იყო ბერძნული მუსიკის მრავალრიცხოვანი სახეობის მელოდიებით¹¹, რომლებიც შესწორებისა და შეცვლის შემდეგ თავისი შინაარსით უკვე შეესაბამებოდნენ ეკლესიურ წმინდა გრძნობებს. ღირსი მამა წინ აღუდგა უჯერო, უხამს, ეკლესიისთვის შეუფერებელ, ბობოქარ მელოდიებს, რომლებიც იწვევდნენ აღმაფრუნას, შფოთს, მბაფრ, დაუოკებელ, საბრძოლო გრძნობებს და დატოვა ისეთი მელოდიები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ღვთის განდიდებასა და სინანულს. მან უბრალო, სადა მელოდიებით აღჭურვა თავისი რვახმათა, რომელიც შედგებოდა თანაბარი სიღილის ნაწილებისაგან და თითოეულ ნაწილს სათაურად უწოდა თითო ხმის სახელი.

წმ. იოანე დამასკელმა ამ მელოდიების ჩასაწერად შეადგინა კავისებური ნიშნები. მართალია, ისინი შეგავსი იყო მათი წინმორბედი ნიშნებისა, რომლებიც სამი საუკუნით ადრე არსებობდნენ, მაგრამ ღვთიურმა მელოდიოსმა მნიშვნელოვნად გარდაქმნა და შეასწორა გრაფიკული მასალა; დამასკელისული სიმბოლოები ემსგაესებოდა ძველ ეგვიპტურ იეროგლიფებს: ხშირად ერთი ნიშანი აღნიშნავდა ერთ ბერასაც, მრავალ ბერასაც და მთელ მელოდიასაც¹¹.

მუსიკის თეორიაში გაწაფულმა და დახელოვნებულმა შემოქმედმა შეამჩნია, რომ მელოდიების შესწავლა შემოიფარგლებოდა მხოლოდ პრაქტიკით, ხოლო

⁹ წიგნიდან გეორგიოს ი. პაპადოპულოსი “ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ისტორიული მიმოხილვა (მოციქულთა ხანიდან ჩეკენ დრომდე (1-1900 ა.წ.”), გამომც. “ტერტიოს”, კატერინი, 1-ლი გამოცემა, ათენი, 1904 წ., იბეჭდება შემოკლებით. ზოგიერთ საკითხთან და ტერმინთან დაკავშირებით სქოლითში მოვათავსეთ ჩვენეული განმარტებები და კომენტარება.

¹⁰ ფსალმოდია, პირდაპირი მნიშვნელობით, ფსალმუნთვალობას ნიშნავს. პირველ საუკუნეებში ძირითადად ფსალმუნებს გალობდნენ. ამიტომ ფსალმოდია გალობის სინონიმად დამკვიდრდა. თავის მხრივ, ძველი ბერძნული მუსიკა, მისი კილოები და მელოდიები, ნასაზრდოებია სხვა ხალხების კილო-მელოდიებით: დორიელების, ფრიგიელების, ლიდიელებისა და სხვ. ასევე, ბიზანტიური ხელოვნების ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ ბიზანტიის იმპერიის სივრცეში მოქცეული და მის გარეთ მყოფი ხალხები: სირიელები, არაბები, ებრაელები, ქართველები, სომხები და სხვა.

¹¹ დამასკელის დროს და შემდგომ პერიოდშიც საგალობლის ჩაწერია ემყარებოდა, ერთი მხრივ, მუსიკალურ ნოტაციას, მეორე მხრივ კი - ზეპირ გადმოცემასა და ეკლესიის ცოცხალ პრაქტიკას. საგალობელთა უფრო ზუსტად ჩაწერის მიზნით, ნოტაციის სისტემა რამდენჯერმე შეიცვალა. თანამედროვე სისტემა იძლევა მელოდიის უნატიფესი ნიუანსების აღწერისა და გადმოცემის საშუალებას.

თეორიული ნაწილი და ხმების ურთიერთკავშირი უგულებელყოფილი იყო. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რვახმათა ემსგავსებოდა ხალხის სამეტყველო ენას, რომელსაც არ გააჩნდა თავისი გრამატიკა. დამასკელმა პირველმა მოაწესრიგა ოქტოქია (რვახმოვანება) და შექმნა ღვთიური მუსიკის თეორია¹².

შემდგომში მუსიკის თეორიაზე

მეცნიერული ნაშრომები სხვებმაც დაწერეს:

მანუელ ვრიგიოსმა, იოანე კუკურმასმა – პლუსიდელმა მღვდელმა, მაგისტრმა იოანე კუკუზელმა, იოანე კლადასმა, მანუელ ქრისაფისმა, დიმიტრი კანტემირისმა, ტინოსის მთავარეპისკოპოსმა კირილემ, ბასილი სტეფანიდისმა-ბიზანტიელმა, ქრიზანთოსმა - დორაქსის მიტროპოლიტმა, პორმოზიოს ქარტოფილაკმა, თეოდორე ფოკაელმა, მარგარიტის დავრიელმა, გიორგი ლესბოსელმა, პანაგიოტის ალათოკლეოსმა, კვირიკე ფილოქსენისმა - ეფესიომაგნისელმა და სხვებმა. ასევე, 1881 წ. გამოქვეყნდა საპატრიარქოს მუსიკალური კოლეგიის მიერ შედგენილი თეორეტიკონი.



წმ. იოანე დამასკელის პოეტური და სამგალობლო შემოქმედების უპირველესი ნაყოფია რვახმათა, რომელიც მოიცავს მთელ ქრისტიანულ დოგმატურ სწავლებას. კარლოს დიდის განკარგულებით საყოველთაო სარგებლობისათვის იგი დამასკელის სიცოცხლეშივე გადაეცა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ყველა ეკლესიას. რვახმათას მრავალფეროვანი საგალობლები შეტანილია მხოლოდ შაბათის მწუხრისა და კვირის ცისკარის განვებაში, რომელიც საუკუნეების მანძილზე შეივსო სხვა შემოქმედთა ნაწარმოებებით. “აღმოსავლურად” (ანატოლიკურად) წოდებული დასდებლები განეკუთვნება დამასკელის კვალად აღზევებულ სტუდიელ ბერს – ანატოლის, სტიქარონის დასდებლები - პავლე ამორეველს, ევრეგეტიდელს, სამების კანონი (შუაღამიანის) – მიტროფანე სმირნელს, აღსავლები - თეოდორე სტუდიელს, თერთმეტი საცისკრო გერი – ლეონ ბრძენს, თერთმეტი განმანათლებელი – კონსტანტინე პორფიროსანს.

ღვთაებრივმა შემოქმედმა, რვახმათას კანონების გარდა, დაწერა კეთილრითმული წყობით გამორჩეული კანონი პასექის დღესასწაულისათვის - “აღდგომისა დღე არს, გავბრწყინდებოდეთ აწ ერნო”, რომლის ტექსტი გრიგოლ ღვთისმეტყველის მიერ აღდგომისთვის თქმული სახოტბო სიტყვის

¹² ჩვენამდე მოაღწია უძველესმა კითხვა-პასუხების მომცველმა პერგამენტმა და ხბოს ტყავზე დაწერილმა მუსიკის გრამატიკამ, ანუ კანონმა, ძველ ბერძნოთა ცნებებისა და კანონების ტექსტმა, რომელიც შეეხება რვა ხმათა დაყოფას, ძირითადისაგან გვერდითი ხმების წარმოებას და ძველ ბერძნულ მუსიკაში მათ შესაბამისთა წარმოებას. სათაურად აწერა: “საგალობლოს ხელოვნების – სხეულთა და სულთა და ყოველთა ხელქმნილთა აღმავლობისა და დაღმავლობის წესი”. ვარაუდობენ, რომ ისინი თავად წმ. იოანე დამასლელს ეკუთვნის. ასევე ზოგიერთი მკვლევარი დამასკელსავე მიაკუთვნებს თეორიულ ფრაგმენტს სათაურით “აგიოპოლიტი”.

მიხედვით არის შექმნილი. ეს კანონი კოზმა მელოდოსმა¹³ რომ მოისმინა - რომელმაც იმავე პასექს მეორე წმის კანონი მიუძღვნა, - მართებულად გაოცდა და შესძახა: “შენ კი, ძმაო იოანე, მთელი სამყარო მოიცავი და გარეთ აღარაფერი დატოვე. ამიტომ დამარცხებული ვაღიარებ - დაე, შენს კანონს ერგოს პირველობა და ჯილდო და იგალობებოდეს ქრისტეს ეკლესიაში საჯაროდ, ხოლო ჩემი დარჩეს მიგდებული ბნელ კუთხეში, როგორც არაღირსი სინათლის ხილვისა, რადგანაც დაწერილია სევდისა და ტირილის მომგვრელ ხმაზე, რომელიც არ შეეფერება ბრწყინვალე და საყოველთაოდ სასიხარულო აღდგომის დღეს¹⁴”.

გარდა პასექის კანონისა, წმ. იოანე დამასკელმა შეადგინა უმთავრესი დღესასწაულების 60 საგალობელი კანონი¹⁵, რომლებიც ასევე რითმულადაა გაწყობილი წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის და სხვა წმ. მამათა სადღესასწაულო სიტყვებზე. სვიდა ხაზს უსვამს დამასკელისა და კოსმა მელოდოსის კანონთა დიდ მნიშვნელობას და ამბობს: “ხოლო იოანესა და კოსმას საგალობელი კანონები შეუდარებელია და ჩვენი ცხოვრების მანძილზე ბადალი არ ეყოლება”.

ღვთაებრივი იოანეს კანონებიდან გამოყოფთ იამბური ტრიმეტრით¹⁶ დაწერილ სამ კანონს: ქრისტესმობის – “სასწაულითა იხსნა”, ნათლისღების – “ზღუისა ღელვათა” და სულთმოფენიბის – “საღმრთომან ნისლმან”, რომლებიც გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებების მიხედვითაა შექმნილი. ეს წმ. მამა ორივე მელოდოსის შთაგონების წყარო იყო. გარდა ამისა, აღსანიშნავია ანბანურად გაწყობილი ხარების კანონი – “აღაღე პირი ჩემი” და ამავე კანონის მეოთხე გალობისათვის შექმნილი ორი ძლისპირი: “განზრახვა საიდუმლო ” და “იესო მჯდომარე”. ასევე – ღვთისმშობლის მიძინების კანონი – “მოისწრაფეთ ქალწულნო”, ამაღლების – “მხსნელსა ჩუენსა”, მირქმის, ჯვართმაღლების, ღვთისმშობლის შობის, წინასწარმეტყველთა, მოციქულთა, მღვდელმთავართა, მოწამეთა, ღირსთა, აღდგომის ტაძრის განახლების (ენკენის), თვითმპყრობელ კონსტანტინეს წინაშე გამოჩინებული ჯვრის დღესასწაულის კანონები და სხვა. ხოლო ღვთაებრივი მელოდოსის საგალობელი კანონებისათვის დაწერეს გამოკვლევა და განმარტებები ზონარამ, თეოდორე პროტოპროდრომოსმა, გრიგორი პარდისმა – კორინთოს ეპისკოპოსმა, ევსტათი თესალონიკელმა, მარკოზ ეფესელმა და ნიკოდიმოს მთაწმინდელმა.

წმ. იოანეს მიეკუთვნება ასევე შემდეგი საეკლესიო საგალობელები: “უფრო სად დიდებულო კურთხეულო ღვთისმშობელო, მარადის ქალწულო”;

¹³ კოსმა - მაიუმის ეპისკოპოსი, ქრისტეს ეკლესიის უდიდესი წმინდა მამათაგანი, რომლის საგალობელი - ”უპატიოსნესა ქერუბიმთასა” დიდად სათნო ეყო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რაც პირადად განუცხადა კიდეც წმ. კოსმას.


¹⁴ დიდი მამის ეს კურთხევა პირნათლად სრულდება: წმ. იოანე დამასკელის პასექის კანონი, დამასკელისეული ღვთიური მელოდით დღესაც სრულდება ქრისტეს ეკლესიაში ყველა ადგილობრივ ენაზე, მათ შორის – ქართულადაც.

¹⁵ ზოგიერთი ავტორის ცნობით, წმ. იოანე დამასკელმა დაწერა 64 კანონი.

¹⁶ მოკლე და გრძელი მარცვლების სამგზისი მიმდევრობა ერთ სალექსო სტროფში, მახვილით გრძელ მარცვალზე.

“შენდამი იხარებს, მიმაღლებული”, “უხრწელსა სატსა შენსა თაფუანის ვსცემთ”, “მიწყალენ ჩუენ, უფალო”, “უფალო, შეგვიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ”, “მოწყალებისა კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო”, “აურაცხელ არიან სიმრავლენი ცოდვათა ჩემთანი, ღვთისმშობელო”, “ყოველი სასოება ჩემი შემდამი დამიძს”, “ზეცისა მხედრობათა მთავარანგელოზნო”, აგრეთვე - ტროპარები ჟამნობათათვის და პასექის დასდებლები, 26 სამგლოვიარო თვითხმოვანი და დასდებლები, შექმნილი წმინდა საბას მონასტერში ნუგეშისცემისათვის თანამონაზონისა, რომელმაც დაკარგა საყვარელი ძმა და ამის გამო დიდი დარღით იყო მოცული; ასევე - თვენში “იოანე მონაზონის” სახელით ცნობილი დასდებლები მირქმისათვის, ჯვართამაღლებისათვის, მოციქულთა და მოწამეთათვის, აგრეთვე - ლოცვები უხრწელ საიდუმლოთა ზიარებისათვის. მასვე ეკუთვნის რვა დიდი ღალადვებავი, ღაუჯდომელის შესავალი ნაწილი (იკიმატარიონი), ანუ ნელი “ღმერთი უფალი” ღაუჯდომელისა, “ბრძანებული საიდუმლო ”, ნელი “ზესთა მბრძოლისა” ორი გუნდისათვის, “აპა ესერა სიძე მოვალს”, “რაჟამს დიდებულნი მოწაფენი”, პირველი ხმის განიცადენი (ზიარებისა) - “განიცადეთ და იხილეთ”, პირველშეწირულის მეექსე ხმის ქერუბიკონი - “აწ ძალნი” და სხვა მრავალი, ქერუბიკონისა და განიცადენის მსგავსი.

ასეთია ღვთაებრივი დამასკელის შესანიშნავი და ბრწყინვალე შემოქმედება, რომელიც ნიმუშად გამოიყენეს მომდევნო თაობების მელოდოსებმა¹⁷. აქვე დავსძენდით იმასაც, რომ დამასკელისა და კოსმა მელოდოსის ახალმა საგალობლებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს საეკლესიო მსახურების ციკლი. ამიტომაც მართებდა დამასკოს ღვთიურ მნათობს, თავიდან განეხილა წმ. საბა განწმენდილის ფასდაუდებელი ტიპიკონი¹⁸, რომელიც მოიცავს ძელთაგანვე კურთხეულ საგალობლებს და რომელმაც გადმოგვცა საეკლესიო მსახურების მთელი წესი. დამასკელამდე თითოეულ ადგილობრივ ეკლესიასა და თითოეულ მონასტერს საკუთარი ტიპიკონი ჰქონდა, ხოლო წმ. იოანე დამასკელის შემოქმედებით დამყარდა საეკლესიო ერთიანობა.»



¹⁷ სხვადასხვა დროის შემოქმედებმა (განსაკუთრებით პელოპონესელმა) შეადგინეს სამგალობლო კრებულები, რომელებშიც ადაპტირებული, რიგ შემთხვევაში - გამარტივებული სახით შევიდა წინა პერიოდის საგალობლები. თვით ამ შემოქმედთა მიერ დაწერილი ორიგინალური საგალობლები შექმნილია დამასკელისეული რვახმათას ხმებითა და მელოდიებით, ანუ დამასკელისეული კანონიკის დაცვით.

¹⁸ როგორც აღვნიშნეთ, წმ. საბა განწმედილის ტიპიკონი ჩვენს ეკლესიაში დღესაც მოქმედებს.




თავი VII

თარგმანები

g აუდ დოლ და ადამიაზები დათავტსებინ, ლომ დაწეს
ეს სისწოდები ინიციატივის გულების ლიონისგითს, რხებისა
და სიღიბდებს. თი ნახავთ, ისინი ისეკი ძველს
და ამავლი დაუტინებინ. თი, შეხედე, პირაც უპლოდი
ლოგოს უმოქნდები ყველაზე თავის ადგილს!

ძველი პირი (მოსმილელი)





თავი VII თარგმანები

ბერი პაისი (მთაწმიდელი) “ადამიანები ისევ ძველს დაუბრუნდებიან” (შემოკლებით)

გავა დრო და ადამიანები დააფასებენ, რომ დღეს ქრისტიანები ინახავენ ეკლესიის ღირსებას, რწმენასა და სიდიადეს. აი ნახავთ, ისინი ისევ ძველს დაუბრუნდებიან. ხატწერასთან დაკავშირებითაც ხომ იგივე მოხდა. იყო დრო, როცა ბიზანტიური ხელოვნება არ ესძოდათ. ადამიანები ტაძრების კადლებიდან ხელეჩოთი ყრიდნენ უძველეს ფრესკებს, რათა შეებათქაშებინათ და თავიდან მოეხატათ – აღორძინების სტილში. ახლა, ამდენი წლის შემდეგ, დააფასეს ბიზანტიური ხელოვნება. მრავალი იმათგანიც კი, რომლებსაც მოკრძალება არა აქვთ, ისინიც კი, რომლებსაც ღმერთი არა სწამთ, ნელ-ნელა ხელეჩოთი დაზიანებულ უძველეს ფრესკებს დასავლურ სტილში მოხატული ბათქაშისგან ათავისუფლებენ. ზუსტად ასევე, ადამიანები ნელ-ნელა იმის ძებნას დაიწყებენ, რასაც დღეს, როგორც უსარგებლოსა და ზედმეტს, თავიდან იცილებენ.




აი, შეხედე, ბიზანტიურ გალობაში როგორ უბრუნდება ყველაფერი თავის ადგილს! ახლა ბიზანტიურად გალობა პატარა ბავშვებმაც კი შეისწავლეს. ადრე მნელად მოიძებნებოდა ისეთი ადამიანი, რომელმაც ბიზანტიური გალობა იციდა. ახლა კი იგი პატარა ბავშვებმაც იციან და უფროსები, ამის შემყურენი, ჩაფიქრდებიან.

როგორი ლამაზი და ტკბილი “ხვეულები” აქვს ბიზანტიურ გალობას! განსაკუთრებით წმინდა ბიზანტიურ ნაწარმოებებში. ზოგნი ბულბულის გალობის მსგავსია, სხვანი – მოქცეული ტალღის ნაზი ტყლაშუნის, მესამენი მელოდიას განსაკუთრებულ სიდიადეს ანიჭებენ. საერთო ჯამში კი ღვთაებრივ აზრს გადმოსცემენ და უსვამენ ხაზს.

წმინდა ბიზანტიური გალობა – როგორი ტკბილია იგი! სულს მოალბობს და ამშვიდებს. სწორი საეკლესიო გალობა შინაგანი სულიერი მდგომარეობის გარეთ ამოხეთქვაა. ეს ღვთაებრივი მხიარულებაა! ანუ ქრისტე გულს ამხიარულებს და ადამიანი გულითად მხიარულებაში ღმერთს ესაუბრება. თუ მგალობელი თანამონაწილებს იმაში, რასაც გალობს, მაშინ, ამ სიტყვის დადებითი მნიშვნელობით, იგი თავადაც იცვლება და ისინიც იცვლებიან, ვინც მას უსმენენ. მრავალი წლის წინ წმინდა მთაზე ერიდან ჩამოსულ ერთ ძველ მგალობელს შერცხვა, როცა ნახა, რომ მთაწმინდელები ძველებურად გალობდნენ. ის გვერდით დაიყენეს, რომ მათთან ერთად ევალობა, მაგრამ იგი ”ხვეულების” გარეშე გალობდა, რადგან არ იცოდა ისინი. მთაწმინდელებმა კი ეს ხვეულები გადმოცემით ისწავლეს. აი შემდგომ, ამ მგალობელმაც და ზოგიერთმა სხვამაც პეფა მოიფხანეს. მათ გაუჩნდათ კეთილი წუხილი, დაიწყეს ძებნა, ლიტერატურის კითხვა, ძველ მგალობელთა მოსმენა, რომლებიც გადმოცემის მიხედვით გალობდნენ. და ამგვარად, ამ მგალობელმა ერისკაცებმაც დაიწყეს ”ხვეულებით” გალობა.

თურქებმაც ხომ თავიანთი მუსიკა ბიზანტიიდან გადმოიდეს, როდესაც მცირე აზიაში მოვიდნენ. ამიტომ თურქული ხალხური სიმღერები გარკვეულწილად მსმენელის გულს ხვდება. ხალხში კიდეც ამბობენ: “იგალობე თურქულად, ილაპარაკე ფრანგულად, ხოლო წერე – ბერძნულად”. . . ზოგიერთი ბერძნი, რომელმაც არ იცის, რომ თურქული ხალხური სიმღერები ბიზანტიიდან წარმოიშვნენ, ამბობს, თითქოს ჩვენ ბიზანტიური გალობა თურქებიდან გადმოვიდეთ! როდესაც თურქები აზიის სიღრმეებიდან ბიზანტიაში მოვიდნენ, მათ მუსიკა და სიმღერა არ ჰქონდათ! მათ მაშინ საერთოდ არაფერი გააჩნდათ. მათ თავიანთი მელოდიები ბიზანტიური საეკლესიო წესიდან აიღეს.

- გერონდა, რატომ მოსწონთ კათოლიკებს ევროპული ჰარმონია?
- რატომ? ამბობენ, რომ ასეთი მუსიკა ხალხისთვის უფრო გასაგებია. და შენ გახსოვს ის კათოლიკე მონაზვნები საფრანგეთში, “ქრისტე აღდგას” რომ გალობდნენ და თან ხატთან ერთად თანამედროვე ცეკვას რომ ცეკვაგდნენ? აღდგომას დღესასწაულობდნენ! ხატი კი თავად მონასტრის წინამდვარს ეჭირა! ყველაფერი ცვალეს, ერთი მეორეთი შეანაცვლეს და ზედავ, ბოლოს სადამდე მივიდნენ!





წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვის წერილების თარგმანის შემოთავაზებამდე, ორიოდე სიტყვით გვინდა აღვნიშნოთ, რომ რამდენიმე წლის წინ საქართველოში ხატწერის კანონიკასთან დაკავშირებით ცხარე კამათი მიმდინარეობდა. საუკუნეების მანძილზე საქართველოში (და სხვა ადგილობრივ ეკლესიებშიც) დაკარგული იყო კანონიკური ხატწერის ტრადიცია, რომლის ადგილი დაიკავა ბოლო ორი-სამი საუკუნის მანძილზე რუსეთიდან თუ პირდაპირ ევროპიდან შემოსულმა ე.წ. იტალიურმა სტილმა. საბედნიეროდ, ხატწერის კანონიკა შენარჩუნდა მართლმადიდებელი ეკლესიის სხვა ადგილობრივ ეკლესიებში, რომელთა მაგალითთა და ისტორიული მემკვიდრეობის საფუძველზე, ღვთის შეწევნით, ქართული ეკლესია ხატწერის კანონიკასაკენ შემობრუნდა.

ამჟამად საქართველოში გალობის კანონიკასთან დაკავშირებით იგივე პროცესი მიმდინარეობს. ფრიად ნიშანდობლივია, რომ კანონიკური (ბიზანტიური) გალობისადმი ინტერესი რამდენიმე ადგილობრივ ეკლესიაში თითქმის ერთდროულად გაღვივდა: რუსეთის, სერბეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, ევროპის, ამერიკისა და სხვა ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში. ამიტომ ეს მოვლენა კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ადგილობრივ ეკლესიებში ბიზანტიური გალობის შესწავლისა თუ ღვთისმსახურებაში გამოყენების პროცესი უმტკივნეულოდ, დიდი დაპირისპირების გარეშე მიმდინარეობს.

ცნობები იმის შესახებ, რომ რუსეთში მრავალხმიანობა დასავლეთის გავლენით დამკვიდრდა, რუსულ წყაროებში მრავლადაა დაცული. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა დავით მაჩაბლის მოსაზრება, რომელიც მან გამოიქვა ერთ-ერთ წერილში (“ქართველთა ზნეობა”, გალობა, XIX ს-ის I ნახ. დ. მაჩაბელი “ცისკარი” №5, 1884წ.): “*კოველს საქართველოში ორი უმთავრესი გალობა არის სათავე სხუათა ყოველთა გალობათა: ბერძული და იტალიანური. პირველი არის მხოლოდ ერთი ხმა, მოქმედი, მრავალს ერთს ხმად შეწყობილს ბანში, გამომხატველი საღმრთოთა საგალობელთა, მოყვანილი საქმაოს სისრულეში, გალობა ესე ემსევანების დაბალსა ქუხილსა, რომელშიაც ელვებრ გამოკრთის მშვენიერად მიმოვრავნილი კანონიერს კილოზედ ხმა ერთისა მოქმედისა, ანათლებს გულსა და გონებასა. ხოლო მეორე, ესე იგი იტალიანური, არს შეწყობილი მრავალთა ხმათაგან ერთს ღარმონიად, მქონი ფრიად სასიამოვნოსა კაცობრივსა ზედა. იგი პპოვეს ევროპელთა უნადვილეს ღარმონიად და მიიღეს ყოველთა სამეფოთა. როგორც საეკლესიოს საგალობელად, ისე საეროსა და სამხედროსა სახიობად (მუზიკად)*”.

ხატწერასა და გალობას, ხატწერის კანონიკასა და გალობის კანონიკას შორის მრავალი მსგავსება არსებობს. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ,



წმ. ეგნატე ბრიანჩანინოვი განხეთქილებისა და ერესის ცნების შესახებ (ამონარიდი სამგალობლო ხელოვნებასა და ხატურაზე)

ყველა რუსმა შეიგნო, რომ იტალიური ხატები არ შეიძლება იყოს წმინდა ხატები. და მანც, იტალიური ფერწერა - რუსეთის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნის დროიდან მოყოლებული - თთქმის ყველა რუსულ მართლმადიდებლურ ტაძარში შევიდა. ეს ფერწერა აცდუნებს “რასკოლნიკს”, ხოლო ჭეშმარიტ მართლმადიდებელს ამწუხრებს: ის არის დასავლელი რვაფეხა მართლმადიდებლურ ტაძარზე. რის მიხედვით ხატავინენ იტალიული ფერმწერი უწმიდეს დედათა გამოსახულებებს? თავიანთი საყვარლების ნატურის მიხედვით. რაფაელის მადონები უდახვეწილეს ავხორცობას გამოხატავენ. ცნობილია, რომ რაფაელი უგარევუნილესი ადამიანი იყო: სურდა, გამოესახა იდეალი, რომელიც ყველაზე ძლიერად იმოქმედებდა მასზე და ხშირად ფუნჯს ხელიდან აგდებდა და ისწრაფოდა, რათა მის წინაშე მდგარ მენატურე ქალს ჩახვეოდა. სხვა ფერმწერები, რომელთა ნიჭი უფრო უხეში იყო, ვიდრე რაფაელისა, თავიანთი წარმოსახვით უფრო აშკარად გამოსახავდნენ ხატებზე ვნებას; ხოლო ზოგიერთი გამოსახავდნენ არა მხოლოდ ვნებას, არამედ ურკვეობასა და უწესობასკ.

ზოგიერთი წმინდა მამის ხატი ქალის ნატურის მიხედვითაა დაწერილი, როგორც, მაგალითად, დომინიკენეს მიერ დაწერილი იოანე ღვთისმეტყველის ცნობილი გამოსახულება. ზოგიერთი წამებულის ხატი ითალიელმა აკხორქვა

ფერწერებმა თავიანთი თანაგარუცხილი მეგობარი კაცის² გარევნობის მიხედვით დაწერეს, მათ მიერ უწესოდ გატარებული ღამისა თუ ღამეების შემდეგ, როდესაც ასეთი ქცევა ასახული იყო მათ დაქანცულ სახეებზე. იტალიურ ტილოებზე, რომლებიც დაწერილია დასავლელი ერეტიკოსების მიერ და გამოსახავენ წმინდა საგნებს - ყველა მოძრაობა, ყველა პოზა, ყველა გამომეტყველება გრძნობისმიერი და ვნებიანია, მოჩვენებითი და თეატრალურია; მათში არაფერია წმინდა, სულიერი; ასეც ჩანს - ფერწერები არიან მეტად ხორციელი ადამიანები, რომელთაც მცირედი წარმოდგენაც კი არა აქვთ სულიერი მდგომარეობის შესახებ, ამ მდგომარეობის არანაირი განცდა არ აქვთ და ამიტომ სავსებით არ ძალუძთ, ფერწერით გამოსახონ სულიერი ადამიანი. მათ წარმოდგენა არა აქვთ, თუ როგორ განლაგდება ლოცვაში ჩაღრმავებული წმინდა მამის სახის ნაკვთები, როგორ მდგომარეობას იღებენ მისი თვალები, ტუჩები, ხელები, მთელი მისი სხეული; ამიტომ ისინი საკუთარ უმეცარ წარმოსახვაში თხზავდნენ თავიანთ თავისუფალ, უმეცარ ოცნებას, შემდეგ ამ ოცნების შესატყვისად აყენებდნენ მენატურე ქალსა თუ კაცს, და მათი შესანიშნავი ფუნჯები გამოსახავდნენ ტილოზე სრულ უაზრობას, - ისეთსავეს, როგორიც იქნებოდა უმჭევრმეტყველესი ორატორის სიტყვა, რომ აეძულებინათ, მისოთვის სრულიად უცნობ საგანზე ელაპარაკა.

რუსული აკადემიის აღზრდილებმა განათლება დასავლური ნიმუშების შესაბამისად მიიღეს და ტაძრები გაავსეს ხატებით, რომლებიც სავსებით არ არიან ღირსნი, ხატებად იწოდებოდნენ. ეს ხატები, რომელთა წინაშეც დაბლა ეშვება უბიწო მზერა, ტაძრებში რომ არ ყოფილიყვნენ, არავინ იფიქრებდა, რომ მათ ხატების ღირსება მიეწერებოდათ. მრავლისმნახველი და ღიდი გამოცდილების მქონე ერისკაცი ვერ წარმოიდგენს, თუ როგორ ზემოქმედებებ ქალწულებრივ ბუნებაზე ასეთი გამოსახულებები. ერთი ბერი, რომელიც

ამაღლებული ბერული ცხოვრებით უდაბნოში ცხოვრობდა, გარკვეული გარემოებების გამო იძულებული გახდა, პეტერბურგში ჩასულიყო. იგი ერთ საღამოს სულიერი საუბრებისათვის ბებრუხუნა ქალბატონმა მიიწვია. ამ დროს ბებრუხუნას გოგონები იმოსებოდნენ, რათა მეჯლისზე გამგზავრებულიყვნენ.

შემოსილები, უფრო სწორად, თანამედროვე მოდის მოთხოვნების შესაბამისად ზომაზე გაშიშვლებულები, ისინი დედიკოსთან მივიღნენ, რათა ხელზე ამბორევოთ და ეტლში ჩამსხდარიყვნენ. ბერი, რომელსაც ცხოვრებაში არ ეხილა დასავლური წესდების მიხედვით ერესისა და წარმართობის რიგზედ გაშიშვლებულები ქალიშვილები, დიდად შეშფოთდა. ის ირწმუნებოდა, რომ მის მიერ ნანაზი საცდურის მერე უკვე აღარ იყო საჭირო, საცდუნებლად თავად ეშმაკი გამოცხადებოდა. მაშ რა იქნება, ასეთმა უმანკო თვალებმა

² დღეს რომ “ბოი-ფრენდებს” უწოდებენ (ა.უ.)



შეგავსი გამოსახულება ხატზე რომ ითილონ, გამოსახულება, რომელიც აღანთებს არა ლოცვას, არამედ ყველაზე უწმინდურ ვნებებს.

ის, რომ იტალიური სახის ფერწერა არ შეეფერება ხატწერას, ამჟამად უკვე საჩინო და აღიარებულია. მაგრამ, სამწუხაროდ, თანამედროვე მოდა მიიღოდა სხვა უკიდურესობისაკენ – ძველი რუსული ხატწერის მიბაძვისაკენ, რომელსაც თან ახლავს მიბაძვისთვის დამახასიათებელი ყველა შეცდომა, მათ შორის მიბაძვისას უახლეს გამოგონებათა სხვადასხვა შეუსაბამობების გამოყენება და მისადაგება. აქ არის ცდუნებისათვის ახალი მიზეზი. ასეთი ხატის წინ ვერ ცდუნდება “რასკოლნიკი”, რომელსაც არ შეუძლია არასწორი ნახატი სწორისაგან გაარჩიოს; მის წინაშე ცდუნდება უახლესი პროგრესის ქარაფშუტა ნაშიერი. ეს ნაშიერი ხედავს ხატზე გამოსახულების სიმახინჯეს და ცდუნდება, იცინის, მკრეხელობს. ზედაპირული განათლება მას საშუალებას არ აძლევს, გაარჩიოს წმინდა და ღვთიური განწესება იმ მრავალფეროვანი ნაგვისაგან, რომელიც ეკლესიაში სხვადასხვა დროს შემოდიოდა ადამიანური უძლურების, შეზღუდულობის, ცოდვილობისა გამო, ღრო-ჟამის სულისკვეთების შესაბამისად. უახლესი პროგრესის ეს ნაშიერი, საღ აზრს მოკლებული, ხედავს ადამიანის სისუსტის გამო ეკლესიაში შეტანილ მანკიურებას და იმწამსვე იწყებს მერყეობას ეკლესიისადმი ნდობაში, იწყებს მის განკითხვას, იქცევა მისთვის უცხოდ. რამდენადაც მავნეა “რასკოლნიკების” ცდუნება, იმდენადვე მავნეა თანამედროვე თაობის ცდუნება.

ჩვენს ღროში ფერწერის ხელოვნებამ სრულყოფილების მაღალ ხარისხს მიაღწია. ფერმწერს, რომელსაც სურს ღვთის ტაძრის ღირსი და ქრისტიანების დამმოძღვავი ხატი დაწეროს, ამისათვის უმეტესი საშუალებები აქვს, ვიდრე ოდესმე, მაგრამ ის აუცილებლად ძალზე ღვთისმოსავად უნდა ცხოვრობდეს, რათა სულიერი მდგომარეობები გამოცდილებით შეიმუცნოს; განსაკუთრებით უნდა იცნობდეს ღვთისმოსავთა ხატებს, რათა მათ სახეებზე დაინახოს ის ღრმა სიმშვიდე, ჩუმი, ციური სიხარულის ის ანაბეჭდი, ის ბავშვური უბრალოება, რომელიც ამ სახეებზე გულმოდგინე ლოცვისა და სხვა ღვთივსათნო საქმიანობის შედეგად გამოისახება. დაე, დააკვირდეს იყი მათ ბუნებრივ მოძრაობას, - არაფერი შეთხზული, არავითარი გამოგონილის არ არსებოს მათში. ხატისათვის ნახატის სისწორე აუცილებელია. ამასთან წმინდანები უნდა გამოისახოს წმინდანებრივად, ისეთებად, როგორებიც ისინი იყვნენ: უბრალოები, მშვიდები, მხიარულები, მორჩილები: ისეთ შესამოსელში, როგორითაც ისინი იმოსებოდნენ; ყველაზე თავმდაბალ მოძრაობებში და მდგომარეობებში, სავსენი მოწიწებით, საფუძლიანობით, ღვთისმოშიშებით.

წმინდანის გამოსახულებისათვის უცხო უნდა იყოს დახვეწილი პოზა, მოძრაობა, სახის აღფრთოვანებული გამომეტყველება, - რომანული,




სენტიმენტალური, ღია პირით, უკან გადაგდებული თავით ან მკვეთრად ზევით მიმართული თვალებით. ეს უკანასკნელი პოზა, რომელსაც ჩვეულებრივ ლოცვითი ძდომარეობის გამოსახატავად მიმართავენ, იკრძალება წმინდა მამების მიერ ლოცვისას. ასევე არ უნდა გამოისახოს წმინდა დედები და ქალწულები დაბლა დახრილი თვალებით: ქალწული მაშინ იწყებს თვალების დაბლა დახრას, როდესაც მას ცოდვის შეგრძნება ეწვევა; თავისი უმანკოებისას იგი პირდაპირ იყერება.

ასევე, მრავალი იწყებს იმის შეგნებას, რომ იტალიური გალობა მართლმადიდებლურ ღვთისმსახურებას არ შეეფერება. იგი დასავლეთიდან დაგვატყდა თავს და რამდენიმე ათეული წლის წინათ განსაკუთრებულად იყო მიღებული. ლიტურგია შეიცვალა კონცერტით, რომელიც ოპერას მოგვაგონებს. ერისკაცი, რომელიც მიცემულია გართობებსა და მხიარულობებს, არ ცვიფრდება ამ უმსგავსოებით ისე ძლიერად, როგორც ღვთისმოსავი ადამიანი, რომელიც ეწვევა სერიოზულ ცხოვრებას, რომელიც ბევრს მსჯელობს თავის გადარჩენაზე და ქრისტიანობაზე, როგორც ცხონების საშუალებაზე; რომელსაც გულით სურს, რომ ეს საშუალება შეინარჩუნოს მთელი თავისი სიწმიდითა და ძალით, როგორც უმნიშვნელოვანესი განძი, როგორც მექვიდრეობა, მისთვის ყველაზე ძვირფასი, შვილებისა და შვილიშვილებისათვის. უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთში ძალიან ბევრი ადამიანი ცხოვრობს მძიმე ცხოვრებით - ისინი ვითარებათა გამო არიან იძულებული, იცხოვონ ასე. გამართობელი, მხიარული, თანამედროვე პროგრესის სფეროში ცხოვრებით მხოლოდ მცირეოდნო თუ შეუძლიათ იცხოვონ, ვინაიდან ასეთი ცხოვრებისათვის საჭიროა საკმაო ოდენობის მატერიალური საშუალებები. მხიარულებაში მყოფი არ უნდა მსჯელობდნენ სხვა ადამიანებზე თავიანთი მაგალითით, როგორც ამას ისინი ხშირად სჩადიან. იმისათვის, რომ ერთი მხიარულობდეს, ხშირად ათასი და ათასი მძიმედ უნდა შრომობდნენ, უნდა ღვრიდნენ მწარე ცრემლებსა და სისხლიან ოფლს. როგორ შეიძლება ამ ათასების გრძნობები ისეთივე იყოს, როგორიც მომხიარულე ერთეულებისა?

როგორც სახარება გვასწავლის, დაცემული ადამიანის ხვედრი მიწაზე ტანჯვა და გოდებაა; და ეს დაცემული და დაღუპული ადამიანი ღვთის ტაძარში მოდის, რათა ღვთის წინაშე სწორედ თავისი დამწუხრებული გრძნობები გადმოღვაროს, აღიაროს თავისი გაჭირვებული მდგომარეობა. ლოცვათა უმეტესობა, რომელიც იკითხება ეკლესიაში, გამოხატავს დაღუპულის ვედრებას შეწყალებისათვის, გადმოსცემს კაცობრიობის დაღუპვის შესახებ მრავალ ნიშანს, მოიცავს, საზოგადოდ, ადამიანის დაცემის აღსარებასა და დაცემის კერძო მაგალითებს. ისინი დროდადრო გადადიან ღვთის დიდებაზე, გამომსხველის შემწეობისა და გამოხსნის სასიხარულო ქებაზე; მაგრამ ეს საღიღებლები და ეს ქებანი ტყვეების მიერ წარმოითქმება, რომლებიც ჯურლმულში არიან ჩაყრილნი, რომლებმაც განთავისუფლებისა აღთქმა მიღეს, მაგრამ თავად ჯერ არ განთავისუფლებულან. ჩვენი გადარჩენის იმედით გამოწვეული სიხარული უცილობლად შეერთებულია ჩვენში ცოდვილი მონობის სამწუხარო შეგნებასთან.

წმინდა მამები ჩვენს სულიერ შეგრძნებებს სავსებით სამართლიანად უწოდებენ “სევდიან-სასიხარულოს”. ეს შეგრძნებები მთელი სისაცით “ზნამენი რასპევით” გადმოიცემა, რომელიც ზოგიერთ მონასტერში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია⁴. “ზნამენი რასპევი” ჰგავს ძველ ხატებს. მისი ყურადღებით მოსმენა ისეთივე გრძნობით გავსებს, როგორითაც ძველი ხატის დაუინებული ცქერა, რომელიც რომელიმე წმინდა კაცის მიერ არის დაწერილი. ღრმა ლვთისმოსაობის გრძნობას, რომლითაც განმსჭვალულია პანგი, სული მოწინებისა და ლმობიერბისაკენ მიჰყავს. ხელოვნების უკმარისობა თვალნათელია, მაგრამ



სულიერი ღირსებების წინაშე ის ქრება. ქრისტიანი, რომელიც თავის ცხოვრებას ტანჯვაში ატარებს, რომელიც გამუდმებით ებრძვის სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიძნელებს, გაიგონებს რა “ზნამენი რასპევს”, თავის სულიერ მდგომარეობასთან იმწასვე თანხმობაში მოდის. ამ პარმონიას ის უკვე ვერ პოულობს მართლმადიდებელი ეკლესიის თანამედროვე გალობაში. კარის გალობა, რომელიც ეკლესიაში ამჟამად საყოველთაოდ გამოიყენება, უჩვეულოდ ცივია, უსიცოცხლო, როგორდაც ქარაფშუტული, სულსწრაფი! თანამედროვე კომპოზიტორების ქმნილებები გამოხატავენ მათი სულის განწყობილებას - დასავლეთის განწყობილებას - მიწიერს, მშვინვიერს, ვნებიანს ან ცივს; მათთვის უცხოა სულიერი შეგრძნებები. ზოგიერთებმა შეამჩნიეს, რომ გალობის დასავლური ელემენტი შეუძლებელია მართლმადიდებელი ეკლესიის სულს შეუთანხმდეს, მათ სამართლიანად მიიჩნიათ ბორტიანსკის ცნობილი ქმნილებები ტკბილვნებიანად და რომანულად და მოინდომეს საქმისთვის ეშველათ: “ზნამენი რასპევი” კონტრაპუნქტის ყველა წესის დაცვით ოთხ ხმაში გადაიტანეს. დაკვამყოფილა თუ არა მათმა შრომამ ეკლესის მოთხოვნები, მისი სულის მოთხოვნები? ჩვენ ვალდებული ვართ უარყოფითად ვუპასუხოთ. “ზნამენი რასპევი” ისეა დაწერილი, რომ უნდა იგალობებოდეს ერთ ხმაში და არა პარტესულად, იმისდა მიუხედავად, რამდენი მგალობელიც არ უნდა გალობდეს – ერთი თუ მეტი. ეს გალობა ხელშეუხებელი უნდა დარჩეს: მისი პარტესულში გადატანა უეჭველად მის დამანინჯებას გამოიწვევს. ასეთი დასკვნა უცილობლად საწყისი მიზეზიდან გამომდინარეობს: ის თვით გამოცდილებით მართლდება. მიუხედავად გადატანის სისწორისა, პასექის კანონმა თავისი საზეიმო სიხარულის ხასიათი დაკარგა და სევდიანი გახდა: ეს უკვე აღარ არის ქრისტეს აღდგომით ადამიანთა მოდგმის გამოხსნის გამო გამოწვეული აღფრთოვნება; ეს არის ტირილი საფლავსა ზედა. ასეთი ხასიათის ცვლილება, თუმცა არა იმდენად საგრძნობი, “ზნამენი რასპევისა” და სხვა ყველა ძველი საეკლესიო საგალობლების გამრავალხმოვნებაში შეიმჩნევა.

⁴ ნიშანდობლივია, რომ ამ მონასტრებში “ზნამენი რასპევთან” ერთად ბიზანტიურსაც გალობენ სლავურად (ა.უ)

ამ საქმის მკეთებლებმა ზოგიერთ მათგანში შეიტანეს თავიანთი საკუთარი ხასიათი, რითაც სავსებით გაანადგურეს საეკლესიო ხასიათი: მათში ისმის სამხედრო მუსიკა, როგორც, მაგალითად, საგალობელში “აკურთხევს სული ჩემი უფალსა”. რატომ არის ასე? იმიტომ, რომ გადატანას სამხედრო პირი ხელმძღვანელობდა, საერო ადამიანი, რომლის გემოვნება ანტისაეკლესიო მუსიკის მიხედვით ჩამოყალიბდა, და რომელმაც უნებლიერ და ბუნებრივად შეიტანა თავისი ელემენტი წმიდა საეკლესიო “ზნამენი რასპევში”.

“ზნამენი რასპევი” ხელშეუხებელი უნდა დარჩეს: მუსიკათმცოდნეთა მიერ მისმა წარუმატებელმა გამრავალხმოვნებამ ეს ჭეშმარიტება უდავოდ დაამტკიცა. ნებისმიერი ამგვარი მცდელობისას მისი ხასიათი უცილობლად იცვლება. ძველებური ხატი, თუნდაც რომ ხელუხებლად დარჩეს ნახატი, ახალი საღებავებით არ უნდა გადაიღებოს: ეს არის მისი დამახინჯება. ვერც ერთი კეთილგონიერი ადამიანი, რომელმაც ბრწყინვალედ იცის უცხო ენები, ვერ გაბედავს მათემატიკური წიგნების თარგმნას, თუ მათემატიკა არ იცის. რატომ არ უნდა მისდოონ საეკლესიო გალობაში ასეთსავე კეთილგონიერებას იმ მუსიკათმცოდნებმა, რომლებიც მოკლებულნი არიან ეკლესის მაკურთხეველ სულს, რომელიც ადამიანს ღვთისმოსავი ცხოვრებისათვის ღმრთისაგან ეძლევა. ეს არის არა რომელიმე კერძო პიროვნების მოსაზრება, არამედ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება. სულიწმიდისაგან გვეუწყა, რომ ღვთაებრივი საგალობელი შეუძლებელია იგალობებოდეს “ქუეყანასა უცხოსა” (ფს. 136, 4). ამ გალობისთვის უუნაროა არა მხოლოდ წუთისოფლის შვილი, არამედ ის ღვთისმოსავი ქრისტიანიც, რომელიც ვნებების მონობისაგან არ არის განთავისუფლებული, რომლის გულიც ჯერ არ არის თავისუფალი და, ცოდვას დამოწებული, ჯერ ამ გალობას ეკუთვნის. ამ გალობისათვის ასევე უუნაროა ის, ვინც ქრისტიანული ღვაწლის ასპარეზზე გამოსული, მთელ დღეს ჭმუნვით ატარებს, ანუ ჯერ კიდევ თავისი ცოდვის ჭვრეტაშია და, მასზე მოტირალს, ჯერ კიდევ არ უერძება სიხარულის შინაგანი ხმა, რომელიც ისმის წმინდანთა სულიერ სამკიდრებელში. ვის შეუძლია იგალობოს საღმრთო საგალობელი? ვის სულში შეიძლება დაიბადოს იგი მართლმადიდებელი ეკლესიის იმედად და სიხარულად?





გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანდრეას ფიორაკისი, “ჩვენი საეკლესიო პოეზია. მისი ძირითადი ფაზები”, ათენის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ბიულეტენი №11, 1955-1956 წ.
2. გიორგი მთაწმინდელის ანდერმები, jer 98, jer 110.
3. გიორგი პაპალობულოსი, “ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ისტორიული მიმოხილვა მოციქულთა დროიდან ჩვენს დრომდე”, 1-ლი გამოცემა, ათენი, 1904წ.
4. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, “ქართული პროზა”, წიგნი I.
5. დეკანოზი თეიმურაზ ჩაჩიბაძა – საეკლესიო წესი ანტიფონური გალობისათვის, თბილისი 2000 წ.
6. დ. მაჩაბელი, “ქართველთა ზნეობანი”, გალობა. XIX ს-ის I ნახ. “ცისკარი” №5, 1864 წ.
7. ელენე მეტრეველი – ძლისპირნი და ღვთისმშობლისანი, თბილისი, 1971 წ.
8. ეპისკოპოსი დიონისიოს ლ. ფსარიანოსი, “ბიზანტიური მუსიკა ბერძნულ მართლმადიდებელ ეკელსიაში”, ათენი, 1960 წ.
9. ივანე ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბილისი, 1938 წ.
10. ი. ტაბაღუა, საქ. ევრ. არქ. და წიგნსაც.
11. კონსტანტინე კავარნოსი – ბიზანტიური სასულიერო მუსიკა, მართლმადიდებელი ეკლესიის ჭრადიციული მუსიკა, მისი არსი, დანიშნულება და შესრულება.
12. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ I, 1960.
13. კ. ვ. პასხოსი, “წმ. იოანე დამასკელის დოგმატური ღვთისმშობლისანები”, ათენის უნივერსიტეტის საღვთისმეტყველო ფაკულტეტის ყოველწლიური სამეცნიერო ბიულეტენი №26, 1984 წ.
14. À. Í èéî èüñêè - Èðàðèé è í ÷åðê èñòð ðèé öåðéé áí î áí í è ý â í åðéé ä I-X áåðéé á, Í Öåðéé áí î í áí èé (ñáî ñí èé ñòðàðåé), “ËÍ ÄÜ Ì Í ÑÊÂÀ” 2001 á, ñ.27.
15. Àèçáí òè ý è Áî ñòð ÷í àý Åâðí í à, Èè òðóðæ÷åñêè å è í óçè êàëüí û å ñâýçè, Àèí í î èé âè ý, áû í . 4, Í . 2003ä
16. Å.È. Í àðòû í î á, Í í ðåäåëé áí è á í í ýòè ý “Åðåâí åðóññéí á áí áí ñëóæåáí î á í áí è á”.

17. Åï èñêî ï Í èêî äèì ï èëàø - Òr ëêî ââí è å 75-äi ï ðââèëà VI-äi
Âñâëåí ñêî äi Nî áí ðà, ï Öäðêî áí ï ï áí èè (ñáî ðí è ê ñòàðåé), “ËÍ ÄÜß
ï ï ÑÊÂÀ” 2001 ä, n. 82.
18. È. Åàðäí åð - ï ñâëì ï äèà, ï Öäðêî áí ï ï áí èè (ñáî ðí è ê ñòàðåé),
“ËÍ ÄÜß ï ï ÑÊÂÀ” 2001 ä, n. 143
19. È. Åàðäí åð - Ór ðí áí å öäðêî áí ï å i áí è å è “ðââàðâëüí i ñòü” å åäi
èñi i eí áí èè, ï Öäðêî áí ï ï áí èè (ñáî ðí è ê ñòàðåé), “ËÍ ÄÜß
ï ï ÑÊÂÀ” 2001 ä, n. 92.
20. “È ñôr ðè ý ðóññêi äi öäðêî áí i ãi i áí è ý” <http://www.mediatera.ru>.
21. È. N. Èâéëëèäçå, Åðóçéí ñëàÿ ââðñè ý àðââñêi äi Æè ðè ý ñâ. Èâ áí i à
Åâi àñëèé à: Öðèñòèáí ñêèé Áâ ñòi ê, ð. III, áû i . II, 1914.
22. È. Ë çáí ø èëüä, È ñôr ðè ý çâðóáâæí i é i óçû êè, áû i . I , ï . 1978 ä.
23. ï i i àòëí ý ï ï eüäà - ï óçèéâëüí àÿ Èóëüðöðà Åè çáí ðèè, Ñðâðåí ñêèé
i i i àñòëðü, “Í i ââý êí è äà”, 1998 ä
24. ï . Èâ ñâëèáí è, Åðââi i ñòè ä. Òâè èëñè.
25. ï ðâi áðâæåí ñêèé À. È.: Èçú i áðâû ñó ëåðóú i àððâñí àäi i áí è ý å
ï i ñêâå. «Ì N», 1915, 1 . 3.
26. ï ðí ði è åðâæé Áâ ðè ï èâåå - “Ç ài áí i û é ðâñi åâ . . . ”, 1995 ä.
- 1) Åí ðè öäðêî áí û å ñi ði è i áí è ý (í áâi äi ñëóæåáí û å). ï àði äi i -
i åñâi i û å è è i i ñëàáí û å i åëi åèè.
 - 2) ï àði äi i -ðâëèäèi çí û å i åëi åèè áí åi ñëóæåáí û o i åñi i i áí è é è
åí ðè öäðêî áí àÿ ñòü i i ñò ýòè ñi åëi åèè.
 - 3) Ñââðñèàÿ è ðâëèäèi çí àÿ i óçû êè. ï áo áðâæèäèi çí àÿ è öäðêî áí àÿ
i óçû êèþ ï ðí ðâñòàí ñëàÿ è ñâðòàí ñëàÿ i óçû êè.
 - 4) Åði ðæåí è å áðâði áí i ãi i è ðà áí áí óðâði í þ þ Æèçí ü öäðâæè -
i åðâi i ðè ði è i å ñòði áí è é å ðâðêî áí i i i áí è è.
27. ï ðí ði è åðâæé È. Áâ çí åñâi ñêèé «Í áû ñi ëi i åi ñòi è i ñòâå è
åëàäi ðâi ï i åëëëí èè i à ëþ åâé öäðêî áí i ãi i áí è ý», Èâåå, 1897 ä
28. Ëâçói i âñëèé Ä. Á. «Ái äi ñëóæåáí i å i áí è å ï ðââi ñëàáí i é Åðâæi -
ï ññè ñêi é Öäðâæé», ï . 1886.
29. Ëâçói i âñëèé Ä. Á., Öäðêî áí i å i áí è å áû Ëi ññè, 1867 ä
30. Ñâýòèðâëü Èâ áí i Çèàði óñò, Äëý ði ñëóæåáí i ï ðââðâëü i åí è å, ï
Öäðêî áí i i i åí è è (ñáî ðí è ê ñòàðåé), “ËÍ ÄÜß ï ï ÑÊÂÀ” 2001 ä
31. Ñâýu . Åâëâðèé Èóëèáí i å - Äóði áí àÿ èâåñòâåí i i ñòü i åù åñòâåí i i é
i i è è ðâè, ï Öäðêî áí i i i åí è è (ñáî ðí è ê ñòàðåé), “ËÍ ÄÜß ï ï ÑÊÂÀ”
2001 ä
32. “Òâi ðè ý ái äi ñëóæåáí i åi i áí è ý”, <http://www.mediatera.ru>,
33. ï ÑÀËØÈÉÈÍ À ËÈØÓÐÃÈß, ñúñòââèë ï èí àñèé i . Òäi ði å,
ÑÈÍ i ÄÈÄEÜÍ i .
34. ÈÐÀØÚÈ ï ÑÀËØÈÉÈÁÍ ÂUQÈÐÅÑÍ ÈÊ, ï m i ææñí è ê, i ð ï èí àñèé
i . Òäi ði å, ÑÈÍ i ÄÈÄEÜÍ i ÈÇÄÀØÄÑÒÄI , Nî ÔÈÀ - 1992 ä.

35. Öåðêî âí î -İ åâ-åñêè Ñáî ðí èê, ÷àñò ï úðâà – Êðàòúê î ñî î æàñí èê, İ åðúð Åèí åâ, Ñí ô è ý 1999 á.
36. Öåðêî âí î -İ åâ-åñêè Ñáî ðí èê - Î áø èðåí Âúçêðåñòí èê, ñ i i ëèåëåè, åâéè ÷àí è ý, êàðàâàñè è i i äî áí è, î ð İ åðúð Åèí åâ, Ñí ô è ý 2000 á
37. Αντωνιου Ε. Αλυγιζαχη Δρ.Θ, Θεματα Εκκλησιαστικης Μουσικης, Θεσσαλονικη 1991.
38. Θεοδωρου Φωκαεως – Κρηπις του θεωρητικου Πρακτικου της Εκκλησιαστικης Μουσικης, εν Αθηναις, 1902.
39. Ιωαννου Δ. Μαργαζιωτη, Θεωρητικο, Βυζαντινης Εκκλησιαστικης Μουσικης.
40. Ιωαννου Δ. Μαργαζιωτη, Μελωδικες ασκησεις, Βυζαντινης Εκκλησιαστικης Μουσικης.
41. Μπουκουβαλας Ιωαννης - Συστηματικη Ταχυρρυθμη Μεθοδος Εκκλησιαστικης Βυζ. Μουσικης, ΕΚΔΟΣΕΙΣ “ΤΟ IEPO ΑΝΑΛΟΓΙΟ”.
42. Byzantine Music, The modal structure of the 11 Eothina Anastassima ascribed to the Emperor Leo (+912), A musicological studi by Dr. Solomon J. Hadjisolomos, The Holy Monastery of Kykko, Nicosia-Cyprus 1986.
43. Gregorios Th. Stathis, An Analysis of the Sticheron, Studies in stern Chant, General Editors Egon Wellesz and Milos Velimirovic.
44. David J. Melling, Reading Psalmodia, Part I, Part II, Part III;
45. Eerwin Koschmieder, “Die ältesten Novgoroder Hirmologien-Fragmente”, Zweite Lieferung, München, 1955.
46. Intonation formulas and signatures in Byzantine musical MSS, Copenhagen, 1966.
47. M. Velimirovic, “Byzantine Elements in Earli Slavic Chant: The Hirmologion, v. IV, Copenhagen, 1960.
48. P. Peeters, Le trefonds oriental de l’ hagiographie byzantine, Bruxells, 1950.
49. Thibaut J. B., “La musique bizantine . . .”, Tribune de St. –Gervais, Paris, 1904, maj-juin.





ს ა რ ჩ ე ვ ი:

ავტორის შესახებ	3
წინასიტყვაობა	5
თავი I. რათა ჩვენც მსგავსად ვიგალობოთ	
1. “გალობა წართქვეს”	10
2. ანგელოსთა გალობას მიმსგავსებული	13
3. ბიზანტიური თუ ბერძნული	14
4. რვა ხმათა	20
5. მეხელენი	21
6. დასავლეთის ეკლესიაში	23
7. რუსეთის ეკლესიაში	24
8. “გამომხატველი საღმრთოთა საგალობელთა, მიმოგრაგნილი კანონიერს კილოზედ” თუ “მქონი ფრიად სასიამოვნოსა კაცობრივთა ზედა”?	31
9. მელოდიური თუ პარმონიული?	32
10. ტიპიკონით თუ უტიპიკონოდ	33
11. კაცობრივი სიბრძნის საფრთხე	34
12. ორი სტიქიის ერთიანობა	35
13. თაყვანს გსცემთ ღვთისმშობლის სამხელინად წოდებულ სასწაულმოქმედ ხატს	37
14. ნიშნად უკვდავებისა	37
თავი II. საეკლესიო გალობა: არსი, დანიშნულება, ჯგუფები, სახეები, ფორმები, ტიპიკონთან შესაბამისობა	
1. შესავალი	40
2. “რეგახმათა”	41
3. დანიშნულება – სიტყვის თანაფარდი	43
4. საგალობელთა ჯგუფები, სახეები, ფორმები, შესრულების ხერხები	47
4.1. სიტყვის შინაარსის მიხედვით დაჯგუფებული საგალობლები	47
4.1.1. დოგმატური ხასიათის საგალობლები	47
4.1.2. თხრობით-ისტორიული ხასიათის საგალობლები	48
4.1.3. ზნეობრივ-დიდაქტიკური ხასიათის საგალობლები	48
4.1.4. ჭვრეტითი ხასიათის საგალობლები	49
4.1.5. მცირერიცხოვანი საგალობლები, რომლებიც ლიტურგიული მოქმედებების თანხმლებნი არიან	49
4.1.6. მკაფიოდ გამოხატული სადიდებელი (დოქსოლოგიური) და ლოცვითი (ევქოლოგიური) ხასიათის პიმნი-საგალობლები	50

4.2. მუსიკალური ნიშნის მიხედვით დაჯგუფებული საგალობლები	50
თვითხმოვანი (იდიომელონი)	51
სათვითხმოვნო, იგივე თვითსამსგავსო (აუტომელონი)	51
მსგავსი (პროსომიოსი)	51
ძლისპირი (ირმოსი)	52
სწრაფი (სინდომოსი)	52
ნელი (არგოსინდომოსი)	52
ძალიან ნელი (არგოსი)	52
ძლისპირის სახის (ირმოლოგიური)	52
დასდებლის ტიპის	53
გამშვენებული (პაპადიკური, ანუ სამღვდელო)	53
დიასტალტიკური	53
სისტალტიკური	53
ისიხასტიკური	53
4.3. საღვთისმსახურო გალობის შესრულების სახეები	53
4.3.1. მუსიკალური ელემენტის გრადაციები	53
4.3.2. შესრულების ძირითადი სახეები	54
4.3.3. გუნდური შესრულება	55
1. ანტიფონური სახე	56
2. ეპიფონური ან იპოფონური სახე	56
3. რესპონსორული სახე	56
4. კანანარხი	57
5. ჰიმნური გალობის სახე	57
4.4. საგალობლთა სახეობები, მათი დასახელებები და ფორმები	58
1. დასდებელი	58
2. ტროპარი	61
3. კანონი	62
4. კონდაკი და მასთან დაკავშირებული იკოსი	68
5. დაუჯდომელი (აკათისტო)	69
6. იპაკო	70
7. აღსავალი (ანტიფონი)	70
8. წარგომა	71
9. ალილუიარი	73
10. დასაფარები (კატავასია)	74
11. განმანათლებელი (ექსაპოსტელარიონი)	74
12. განიცადენი	75
4.5. მითითებები ტიპიკონში	76
დამატება 1. ეკლესიის კანონიკური ერთიანობის მნიშვნელობა	80
დამატება 2. დედანი და თარგმანითავი	80

თავი III. საეკლესიო კანონიკური წმების სტრუქტურა, ელემენტები და დამახასიათებელი ნიშნები	
1. ბიზანტიური საეკლესიო მუსიკის ელემენტები	84
1.1. შესავალი	84
1.2. ბიზანტიური გალობის წმები და კილოები	84
1.2.1. ბგერები, გამები და ინტერვალები	85
1.2.2. წმის ზოგადი დახასიათება	87
1.2.3. წმის ელემენტები	87
2. დამატება: სხვა ელემენტები	91
2.1. საგალობლის შემადგენელი ნაწილები	91
2.2. მუსიკალური სისტემები	92
2.3. გადახრები და გადახრის მუხლები	92
2.4. იზოკრატიმა (ისონი)	93
2.5. წმის მუხლები და წმის ჰანგის რიტმი	96
თავი IV. ბიზანტიური გალობის ნოტაციის სისტემა და ნიშნები (ნევმები)	
1. შესავალი: ნოტაციის ნიშნების განვითარების პერიოდიზაცია	100
2. ნოტაციის ნიშნები (ნევმები)	103
2.1. ფონეტიკური ნიშნები	103
2.2. უხმო ნიშნები	105
2.3. დროის ნიშნები	105
2.4. ხარისხის მახასიათებლები	109
2.4.1. ტონალური ნიშნები	110
2.4.2. მოსართავი ნიშნები	111
2.5. ფონეტიკურ ნიშანთა გამოყენების რამდენიმე წესი	113
2.6. სხვა ნიშნები	116
2.6.1. ბგერათა მარტინიები	116
2.6.2. ფთორები	118
2.6.3. ალტერაციის ნიშნები	121
2.6.4. რიტმი და ტემპი	124
3. მუსიკალური სისტემები	127
3.1 ოქტაქორდული სისტემა	128
3.2 პენტაქორდული სისტემა	128
3.3 ტეტრაქორდული სისტემა	129
3.4 ტრიქორდული სისტემა	130
თავი V. რეაბილიტაციური წმები	
1. კანონიკური წმების აღწერა	132
1.1. წმა პირველი, ანუ წმა პ	132
1.2. წმა მეორე, ანუ წმა ბ	137
1.3. მესამე წმა, ანუ წმა გ	141
1.4. მეოთხე წმა, ანუ წმა დ	143

1.5. მეხუთე ხმა, ანუ ხმა ვ	147
1.6. ხმა მეექსე, ანუ ხმა პ	151
1.7. მეშვიდე (დაბალი) ხმა, ანუ ხმა ზ	154
1.8. მერვე ხმა, ანუ ხმა □	157
2. კანონიკური ხმების მარტირიები	159
2.1. დიატონური გვარის ხმები	159
2.2. ქრომატული გვარის ხმები	160
2.3. ენპარმონიული გვარის ხმები	160
2.4. შერეული ხმები	161
3. დამატება: ბერათა მიზიდულობა	
თავი VI. წმ. ოოანე დამასკელის ცხოვრება და შემოქმედება . . .	164
წმ. ოოანე დამასკელის ცხოვრება	165
დამასკელის პოეტური და სამგალობლო შემოქმედება	169
თავი VII. თარგმანები	
ბერი პაისი (მთაწმიდელი): “ადამიანები ისევ ბეჭელს დაუბრუნდებიან”	174
წმ. ეგნატე ბრიანჩანინვი: განხეთქილებისა და ერესის შესახებ, ამონარიდი სამგალობლო ხელოვნებასა და ხატწერაზე	182

